მაია ოთიაშვილი ია გაბუნია

მუსიკა და ბავშვები

1



მასწავლებლის წიგნი

წყაროსთვალი

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების

განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების

ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

მაია ოთიაშვილი ია გაბუნია

მუსიკა და ბავშვები

მასწავლებლის წიგნი

I კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

წყაროსთვალი
2018

ავტორები
მაია ოთიაშვილი
ია გაბუნია

მუსიკალური რედაქტორები
ირინე მიქაძე
ლევან მიზანდარი

ეთნომუსიკოსი
ნანა ვალიშვილი

ლიტერატურული რედაქტორები
მარინა ნონიკაშვილი
თამარ ფაშალიშვილი

მხატვარი
თინათინ მღებრიშვილი

ყდის დიზაინი
ია გაბუნია

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ზაზა გელაშვილი

აუდიო და ვიდეომასალით, ფონოგრამებითა
და მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ით უზრუნველყოფა
მიხეილ ვაწაძე

მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა
LMMS -ის ინსტრუქცია
მიხეილ ვაწაძე

აუდიო რეჟისორები
მიხეილ კილოსანიძე
მიხეილ ვაწაძე

ფსიქოლოგი
ლია ქურხული

„წყაროსთვალი“

მის: თბილისი, გარე-კახეთის ქ. 4
ტელ: 274 63 69; 227 30 73
599 76 10 39; 599 30 16 84
ვებ-გვერდი: www.tskarostvali.ge
ელ-ფოსტა: tskarostvali@gmail.com

© „წყაროსთვალი“ 2018
© მაია ოთიაშვილი
© ია გაბუნია

ISBN 978-9941-9295-0-2

Maia Otiashvili
Ia Gabunia
MUSIC AND CHILDREN
2018 © “Tskarostvali“

სარჩევი

წინათქმა 5
მუსიკის სტანდარტი 7
მუსიკის წლიური პროგრამა 12
სტრატეგია და ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები 17
შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები 18
გარე სამყარო მუსიკაში; თემა: ხმების მრავალფეროვნება
მოუსმინე სამყაროს გულისყურით 22
მხიარული ნოტები 23
ლალე 25
დედამიწის ხმა 27
მზე შინა და მზე გარეთა 28
ააჟღერე და მოუსმინე საგნებს 30
წიკო-წიკო 31
პენალი-ჟღარუნა 34
სახაზავი 35
პატარა ამადეუსი 36
სავარცხელი 37
მწყემსი ბიჭის სალამური 38
მაი ლამაზი ბაჩაჩები 39
შემოდგომის დღესასწაული – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 42
ბგერა 44
მუსიკა და ჩვენი ყოფა; თემა: ყოფითი საგნები მუსიკაში
საათი 45
მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS 50
დაუკარი ჭიქებით 53
ალილო 54
„ააშრიალე“ ხელები 55
ფლეიტა 57
ააჟღერე და მოუსმინე საგნებს 61
შობის დღესასწაული – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 62
სათამაშო მაკრატელი 63
მაკნატუნა 64
განასხვავე საგნის ხმა-ბგერები 66
აი ია 68
ჩემი ხატია სამშობლო 69
იავნანა თუ არაბული ცეკვა? 72
ორი რეზო 74
ხმების ამოცნობა და გამღერება 1 – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 75
ხმების ამოცნობა და გამღერება 2 – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 79

ეთნოგრაფია და მუსიკა; თემა: გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში
ბეთჰოვენი 81
ქართული ხალხური დასარტყამი საკრავები 82
აკვარიუმი 83
ა, ე, ი, ო, უ 86
ჩიტის ნალი მიპოვნია 90
დააჯგუფე ხმა-ბგერები **– შემაჯამებელი გაკვეთილი** 92
ნოე ბაბუს კიდობანი 93
ფორტეპიანო 98
„აი, ჩემი საქართველო“ 99
მუსიკა და ჩვენი ყოფა; თემა: თამაშები მუსიკაში
ვითამაშოთ ეზოში – 1 103
შაირები 104
სათამაშო საყვირი 106
ვითამაშოთ ნახატებით – 1 107
ინოლას გიტარა 108
ცანგალა და გოგონა 109
ვითამაშოთ ნახატებით – 2 111
ვითამაშოთ ეზოში – 2 112
ვითამაშოთ ფერადი ბუშტებით 114
ვითამაშოთ ნახატებით – 3 117
ფერხული ჩავაბათ, ბიჭო! 118
ვითამაშოთ ნახატებით – 4 120
ჰიმნი დედა ენას **– შემაჯამებელი გაკვეთილი** 121
სკოლობანა – საბავშვო სპექტაკლი ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით 123
1 კლასის შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები 136
ფსიქოლოგიური დასკვნა 138
LMMS-ის ინსტრუქცია 139
ელექტრონული რესურსების ნუსხა 143
მუსიკალური ლექსიკონი 147

წინათქმა

მუსიკა ადამიანის სულიერი ენაა. ბავშვს დაბადებიდან ესმის მუსიკა, მღერის, ცეკვავს, თამაშობს... მუსიკის სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში, განსაკუთრებით დაწყებით ეტაპზე. 2016-17 წლებში დაიწერა და დამტკიცდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. შეიცვალა სტანდარტი მუსიკაში, რაც, ჩვენი აზრით, დროული და მართებული იყო, რადგან თორმეტი წლის წინ დაწყებულ საქმეს, სწორედაც რომ, განახლება და გადახალისება სჭირდებოდა. პირველ კლასში ბავშვი თავისი ზღაპრული სამყაროთი, ოცნებებით, მისწრაფებებით მოდის. მასწავლებელი მოვალეა, არ დაურღვიოს ბავშვს ეს სამყარო – ასეთივე ლამაზი, მშვენიერი, ხალისიანი გარემო შეუქმნას საკლასო ოთახში. ეს კი თამაშის პროცესშია შესაძლებელი. მუსიკის გაკვეთილებზე ბავშვს უნდა განვუვითაროთ შემოქმედებითი უნარები, ფანტაზია, ინტერესი, გემოვნება და დამოუკიდებელი აზროვნება. ამავე დროს მივანიჭოთ თავისუფლებაც.

განათლების ახალი 2016-2017 წლის ეროვნული პროგრამით შემოთავაზებული მუსიკის სტანდარტი ამ საგნის სწავლებაში სრულიად ახალი ეტაპი, ახალი ხედვაა. მრავალმხრივი მიდგომით, გამოხატვის მრავალსახოვნებით და შემოქმედებითი თავისუფლებით იგი კარგად ესადაგება თანამედროვე ბავშვის ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს და სწორად წარმართავს მომავალი თაობის ჰარმონიულ აღზრდას. მუსიკის ახალი სტანდარტის მიხედვით, ძირეულად შეიცვალა სასწავლო გეგმის თემატიკა და მეთოდიკა. ჩვენ ახალი გამოწვევების წინაშე დავდექით; ამ თორმეტმა წელმა პრაქტიკულად დაგვანახა ძველი სახელმძღვანელოების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ სახელმძღვანელოებში მოცემული მრავალმხრივი თეორიული და მუსიკალური მასალა გამოადგათ ბავშვებსა და მასწავლებლებს მუსიკის სფეროში გარკვეული ცოდნის მიღებაში (თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ I-IV კლასებში დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ასწავლიდნენ), მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი ბავშვებში შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად. მუსიკის ახალი სტანდარტი, ახალი თემატიკა და აქტივობები უფრო სახალისოს, აქტიურს და შემოქმედებითს გახდის გაკვეთილს. ახალმა აქტივობებმა თითქოს „გააცოცხლა“ წიგნში მოცემული „მიძინებული“ მუსიკალური მასალა და თემატიკა. ახალი ხედვა, ახალი მიდგომა, ხელს შეუწყობს სკოლაში მუსიკის გაკვეთილების უფრო მიზნობრივ წარმართვას.

I-VI კლასებზე თემატურად გაწერილი სტანდარტი კარგად არის ორგანიზებული. ის, რაც იწყება პირველ კლასში, გრძელდება მეექვსე კლასამდე, პრინციპით – მარტივიდან რთულისაკენ და ყოველ ახალ საფეხურს ემატება ახალი თემატიკა. ახალი მოცემულობები დაეხმარება ბავშვებს სამყაროს ახლებურად აღქმაში, თვალსაწიერის გაზრდასა და განვითარებაში, კოგნიტური უნარების გაღვიძებაში. ამ პროგრამით შედგენილი სახელმძღვანელოები დაეხმარება არა მარტო ბავშვებს, არამედ მასწავლებლებსაც, ავიდნენ თავიანთი პროფესიული განვითარების ახალ საფეხურზე და მეტი ცოდნა და უნარ-ჩვევა შეიძინონ.

ვფიქრობთ, ახალი სახელძღვანელოები დაეხმარებათ მასწავლებლებს სიახლეების მარტივად გაგებასა და გააზრებაში. სახელმძღვანელოში დავტოვეთ შემოქმედებითი ნაწილი, დავამატეთ და შევავსეთ ახალი თემატიკითა და აქტივობებით, რადგან მიგვაჩნია, რომ ხალისიანი, სხარტი და საინტერესო აქტივობები, დაფუძნებული მდიდარ თემატიკასა და მუსიკალურ მასალაზე, გახდის გაკვეთილს შემოქმედებითსა და უფრო სრულყოფილს.

თუ ადრე, ჩვენს სახელმძღვანელოებში მოცემული გაკვეთილის სტრუქტურა შედგებოდა ხუთი აქტივობისაგან, ახლა ძირეულად შევცვალეთ გაკვეთილის აგებულება და მიდგომაც. დავტოვეთ რა მეტ-ნაკლებად შემოქმედებითი ნაწილი (სიმღერები, თეორიული თუ მუსიკალური მოსასმენი მასალა, მუსლიტერატურის საკითხები, ზღაპრები, რომლებიც შევამცირეთ რაოდენობრივად და დავხვეწეთ ტექსტები), თითქმის გაკვეთილის ნახევარი (20-25 წუთი) დავუთმეთ ახალ აქტივობებს, დანარჩენი კი შევავსეთ მუსიკალური განტვირთვითა და თამაშობებით.

თითქმის ყველა გაკვეთილი რიტმული მოთელვით იწყება. მასწავლებელი მარტივ რიტმულ სავარჯიშოს ასრულებს ტაშით. ბავშვები ჰყვებიან მას. თანდათანობით მასწავლებელი ცვლის რიტმულ სურათს და შესაბამისად ბავშვებიც ბაძავენ მას. მასწავლებელს ეძლევა სრული შემოქმედებითი თავისუფლება, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი აქტივობები დახვეწოს, მოიფიქროს მსგავსი და ორიგინალურად ჩაატაროს გაკვეთილი. ეს ახალი რიტმული სავარჯიშოები და აქტივობები ისეა გაწერილი I-VI კლასებზე, რომ მასწავლებელს შეუძლია ჩამოაყალიბოს პატარა ,დასარტყამ საკრავთა ორკესტრი", რომელიც შედგება თავად ბავშვების მიერ კლასში შექმნილი „საკრავებისაგან". მაგალითად, აქტივობაში „ააჟღერე საგნები", მოსწავლე არსებული საგნებით (საწერი კალამი, სახაზავი, წიგნის ფურცლები, პენალი, ფანქრები, სათამაშო მაკრატელი, პლასტმასის ბოთლი, ჭიქები და სხვა..) მასწავლებლის მითითებით ქმნის და ასრულებს სხვადასხვა რიტმულ სავარჯიშოს. ამ სავარჯიშოებს უთანხმებს ნასწავლ სიმღერებს. ამით ბავშვებს უვითარდებათ ერთიანობის, ანსამბლურობისა და კომპოზიციის შეგრძნება, აგრეთვე, რიტმის გრძნობა, მეხსიერება, ახალი ხმების მოძიების უნარი.... აქტივობები ყოველ ახალ საფეხურზე რთულდება და მდიდრდება ახალი საგნების გამოყენებითა და სავარჯიშოებით, ფერადი ნახატებით, ვიდეომასალით. ჩვენი მხრიდან ამ აქტივობებს მივუდექით შემოქმედებითად და შევიტანეთ ახალი შტრიხი. ყოველ ახალ საფეხურზე „დასარტყამ საკრავთა ორკესტრს" ემატება ბავშვებისათვის მისაღები და მარტივი მუსიკალური საკრავები: საყვირი, დაირა, ფანდური, სათამაშო ქსილოფონი, კალიმბა, გიტარა, რომლებზე დაკვრაც არ არის სავალდებულო. შეგვიძლია რიტმულ სავარჯიშოებში გამოვიყენოთ მათი ცალკეული ბგერების ჟღერადობა და ,დასარტყამ საკრავთა ორკესტრში" შევიტანოთ მოცემულ საკრავთა ბგერების ოსტინატო.

ამგვარად, VI კლასის ბოლოსათვის გვექნება ძალზე ორიგინალური „დასარტყამ საკრავთა ორკესტრი" – გამდიდრებული მარტივი მუსიკალური საკრავებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება საჩვენებელი გაკვეთილებისა და კონცერტების მოწყობა.

I კლასის მეორე სემესტრიდან მუსიკის ახალ სტანდარტში შემოდის მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა „LMMS"-ის სწავლება, რომლის სანიმუშო აქტივობებიც მოვამზადეთ თქვენთვის.

სასწავლო პროგრამა თითოეული კლასისთვის გაწერილია 72 აკადემიურ საათზე.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ხალხურ სიმღერას უჭირავს. ალბათ დაგვეთანხმებით, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური ნააზრევი „არ სდევს ჟამთა ცვლას" – თანდათან უფრო აქტუალური და თანამედროვე ხდება. „დედა ენაში" ხალხური სიმღერების ჩართვით ი. გოგებაშვილმა, ფაქტობრივად, უდიდესი პრობლემა გადაჭრა: ბავშვები მშობლიურ ენასთან ერთად მშობლიურ მუსიკალურ ინტონაციასაც აზიარა.

ქართული ინტონაცია – შერწყმული მსოფლიო მუსიკალურ მონაპოვართან – მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე, გემოვნებიანი თაობის, მსოფლიო მოქალაქეთა აღზრდას.

მუსიკის სტანდარტი

მუსიკა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდია მუსიკის, როგორც საგნის მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც ბავშვის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ჯერ ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა, წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად მას ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით - სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

მიმართულებების აღწერა

მუსიკის სწავლება ორი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია.

სწავლება ორივე მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

1. შემოქმედობითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარესამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა - მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც - ცეკვავს, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებით საწყისს მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს - განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ.. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას - ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიშნებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს - სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება - მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის დროს მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროს საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია საერთო ხედვას უნდა შეუთანხმოს. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის წევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში სასურველია მოსწავლე იყენებდეს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) - აკეთებდეს აუდიო ჩანაწერს; აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდეს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობას; აჟღერებდეს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევდეს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებდეს ჩაწერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას - მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიო ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულდა მსოფლიო ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

I-IV კლასების სტანდარტი

ა) IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს.დაწყ.(I).1.:**

„მუს.“ - მიუთითებს მუსიკის საგანს;

„დაწყ.“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტი (I-IV კლასები)	
შედეგების ინდექსი	**1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა**
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).1.	გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს.დაწყ.(I).2.	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;
მუს.დაწყ.(I).3.	ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.
	2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).4.	მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;
მუს.დაწყ.(I).5.	ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;
მუს.დაწყ.(I).6.	ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

ბ) შინაარსი

ცნებითი კატეგორიების ჩარჩო და სასწავლო თემები

მუსიკის საგანი ხმოვანი გზავნილის შინაარსის ამოკითხვას მუსიკალურ-გამომსახველობით ელემენტებსა და გარესამყაროში არსებულ სახეებს შორის ასოციაციური კავშირების საშუალებით შეასწავლის. საგნის სწავლება შემდეგი ცნებითი კატეგორიებითა და თემებით წარიმართება:

ცნებები და ტერმინები:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

1. მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები: რიტმი, მელოდია;
2. მუსიკალური ენის არაძირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ფაქტურა;
3. მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;
4. ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;
5. ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემბრი;
6. მელოდიის შემადგენელი ნაწილები: ინტონაცია, მოტივი;
7. საკომპოზიციო ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, კონტრაპუნქტი, მუსიკალური კოლაჟი:

8. მუსიკალური დამწერლობა:
ტრადიციული: ხუთხაზიანი სანოტო სისტემა;
არატრადიციული: შტრიხები, ხაზები, პიქტოგრამები;
9. ხალხური მუსიკის სხვადასხვა ჟანრი: საცეკვაო, სარიტუალო სიმღერები.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე სასურველია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

სავალდებულო თემები I-IV კლასებისთვის:

გარესამყარო მუსიკაში
1. ხმების მრავალფეროვნება (I კლასი);
2. ცხოველები მუსიკაში (II კლასი);
3. ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში (II კლასი);
4. ქალაქის/სოფლის ხმები (III კლასი);
5. მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში (III კლასი);
6. მუსიკა და ტელევიზია (IV კლასი).

მუსიკა და ჩვენი ყოფა
1. ყოფითი საგნები მუსიკაში (I კლასი);
2. თამაშები მუსიკაში (I კლასი);
3. წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ (II კლასი);
4. ჩემი ცხოვრების ერთი დღე (III კლასი);
5. მუსიკა და თავისუფალი დრო (IV კლასი).

ეთნოგრაფია და მუსიკა
1. გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში (I კლასი);
2. სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა (II კლასი);
3. სხვადასხვა ხალხის გართობის ფორმები და მუსიკა (III კლასი);
4. სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა (IV კლასი).

მუსიკა და კინო
1. მუსიკის როლი ანიმაციაში და საყმაწვილო კინოში (IV კლასი).

თემები კლასების მიხედვით

I კლასი

თემა	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:** *გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.*	**ცნებები**
გარესამყარო მუსიკაში		
ხმების მრავალფეროვნება	როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად? **მუს.დაწყ.(I).1, 2;** როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა სხვადასხვა საშუალებით? **მუს.დაწყ.(I).1, 2.;** როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? **მუს.დაწყ.(I).3.** როგორ დავაჯგუფოთ ხმები და ხმაური სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6.** როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში ან პროფესიულ მუსიკაში? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6.**	ინსტრუმენტი, ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები, ხმაური, განწყობა.
მუსიკა და ჩვენი ყოფა		
ყოფითი საგნები მუსიკაში	როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში ყოფითი საგნები? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები? **მუს.დაწყ.(I).1, 2;** როგორ გამოვსახოთ ესა თუ ის ბგერა? **მუს.დაწყ.(I).3.**	ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, მოტივი.
თამაშები მუსიკაში	რა მუსიკალური ელემენტებით შეიძლება გადმოვცეთ თამაშების ნაირსახეობები? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** როგორ აისახება სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში ბავშვების თამაშები? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** როგორი მოტივი, ტემპი და რიტმი უნდა შეირჩეს გარკვეული მოძრაობის და ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ემოცია-განწყობის გადმოსაცემად? **მუს.დაწყ.(I).1, 2;** რა ნიშნებით ჩავწეროთ ეს მოტივები? **მუს.დაწყ.(I).3.**	მოტივი, რიტმი, ტემპი, ტემპის მონაცვლეობა, მოტივის მონაცვლეობა, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური კომპოზიცია
ეთნოგრაფია და მუსიკა		
გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის	როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;**	ხმაბაძვითი სიტყვები

მუსიკის წლიური პროგრამა

I კლასი

გარესამყარო მუსიკაში

თემა: ხმების მრავალფეროვნება

1. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები
მუს.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად; **მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა; **მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.	**შეკითხვები:** როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატების შესაქმნელად? როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა სხვადასხვა საშუალებით? როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? **ცნებები:** ინსტრუმენტი, ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები, ხმაური, განწყობა.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები: • მასწავლებელი ასმენინებს კლასს რაიმე ხმების თანამიმდევრობას და სთხოვს მოსწავლეებს, იმავე თანამიმდევრობით გაიმეორონ; • მასწავლებელი ასმენინებს კლასს რაიმე ხმების თანმიმდევრობას და სთხოვს მოსწავლეებს, გაიმეორონ ის ხმები, რომლებიც, მათი აზრით, ხალისიან განწყობას უქმნის; • მასწავლებელი უჩვენებს რაიმე საგნის სურათს და სთხოვს მოსწავლეებს, განასახიერონ ხმა, რომელსაც ეს საგანი გამოსცემს; • მასწავლებელი სთხოვს რომელიმე მოსწავლეს (ან ორ-სამ კაციან ჯგუფს), გაიხსენოს რაიმე სასაცილო სიტუაცია თავისი ცხოვრებიდან, ან ნანახი ფილმიდან, და მხოლოდ ხმებით უამბობს დანარჩენებს (დანარჩენი მოსწავლეები უსმენენ თვალებდახუჭულნი). შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რა განწყობა შეექმნათ მათ ამ ხმების მოსმენისას (სავსებით შესაძლებელია, რომ თანაკლასელებს სულ სხვა განწყობა დაეუფლოთ).	

2. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები
მუს.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა; **მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; **მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.	**შეკითხვები:** როგორ დავაჯგუფოთ ხმები და ხმაური სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა? როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში ან პროფესიულ მუსიკაში? **ცნებები:** ხმა, ბგერა, ხმაური; ტონის სიმაღლე; გრძლიობა, სიძლიერე (ხმამაღალი, ხმადაბალი); ხმაბაძვითი სიტყვები.

რეკომენდაციები

საკლასო აქტივობების მაგალითები:

- მასწავლებელი ასმენინებს კლასს სხვადასხვა ხმის რაიმე თანამიმდევრობას, სთხოვს მათ, გამოიცნონ რა ხმებია და შემდეგ თავიანთ წარმოდგენებზე დაყრდნობით მოყვნენ, თუ რა ხდება ამ ხმების გამოცემის დროს;
- მასწავლებელი აჩვენებს ორ მოკლე ვიდეოს, შემდეგ ასმენინებს ერთ-ერთი ვიდეოს ხმას და სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ ნანახი ვიდეოებიდან ერთ-ერთი და ახსნან, თუ როგორ ამოიცნეს იგი;
- მასწავლებელი ასმენინებს კლასს ხმების თანამიმდევრობას და სთხოვს მოსწავლეებს, ამოირჩიონ ხმები, რომლებიც, მათი აზრით, მხიარულ განწყობას გადმოსცემს (ან შიშს ჰგვრის, ამშვიდებს, სევდიანია და ა.შ.); შემდეგ სთხოვს მათ, იმსჯელონ, რატომ იწვევს ესა თუ ის ხმა ამა თუ იმ განწყობას.
- მასწავლებელი ასმენინებს სხვადასხვა ენაზე შესრულებულ სიმღერებს, სადაც ხმაბაძვითი სიტყვებია გამოყენებული და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ ისინი. შემდეგ სთხოვს გამოიცნონ, რომელ არსებულ ხმას ბაძავს ეს სიტყვები და იპოვონ ანალოგიური სიტყვები ქართულ ენაში.
- მასწავლებელი სთხოვს რაიმე ხმაბაძვითი სიტყვები თავად მოიფიქრონ და მარტივ მოტივზე წაიმღერონ.
- მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ხმები რაიმე ემოციის გამოწვევის მიზნით და მოასმენინოს თანაკლასელებს. შემდეგ კლასელების რეაქციის მიხედვით შეამოწმოს, თუ რამდენად მიაღწია სასურველ შედეგს;
- მასწავლებელი ასმენინებს სხვადასხვა ხმას და სთხოვს მათ, მოიფიქრონ, თუ რა სიმბოლოებით შეიძლება ამ ხმების ჩაწერა.

მუსიკა და ჩვენი ყოფა

თემა: ყოფითი საგნები მუსიკაში

1. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები
მუს.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა; **მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; **მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხურიმუსიკის თავისებურებების ამოცნობა.	**შეკითხვები:** როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)? როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში ყოფითი საგნები? **ცნებები:** ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები: • გონებრივი იერიში - მასწავლებელი ასმენინებს სხვადასხვა ზომის საგნის მიერ გამოცემულ ხმას (მაგ. სხვადასხვა საათის წიკწიკს) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ, რომელია აქედან დიდი ზომის საგანი (მაგ., კედლის დიდი საათი) და რომელია პატარა ზომის საგანი (მაგ., მაჯის საათი). შემდეგ მთელი კლასი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა ნიშნებით ამოიცნეს ამ საგნების სიდიდე. • მასწავლებელი ასმენინებს კლასს ორ მუსიკალურ ნაწყვეტს (მაგ., ჰაიდნის 101 სიმფონიის II ნაწ. და ეინარ ენგლუნდის 4 სიმფონიის II ნაწ.) და სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი, როგორი (რა ზომის) საათებია ასახული მუსიკაში. შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, თუ რის საფუძველზე გამოთქვეს თავიანთი ვარაუდები. • მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე საგნის სურათს და ასმენინებს მოკლე მუსიკალურ ნაწყვეტს და სთხოვს მათ დაასახელონ, თუ რომელი მუსიკალური ნაწყვეტები რომელ საგან უკავშირდება. • მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გარკვეული საგნის მიერ გამოცემულ ხმას (მაგ., თეფშებისა და ჭიქების წკრიალი) რომელიმე მუსიკალური ნაწყვეტი მიამსგავსონ. • მასწავლებელი ასმენინებს რაიმე ყოფით საგანზე სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერას და სთხოვს მათ იმსჯელონ, თუ როგორი ხასიათისაა ესა თუ ის სიმღერა; გამოთქვან მოსაზრება, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამა თუ იმ ხალხს სიმღერაში ნახსენები ნივთის მიმართ (მაგ. ქართული ხალხური სიმღერები: „ნამგალო“; ინგლისური ხალხური სიმღერა „I love sixpence”). • მოსწავლემ უნდა წარუდგინოს მთელ კლასს საყვარელ ნივთი პატარა მუსიკალური ნაწყვეტის მეშვეობით. წარდგენა შეიძლება შემდეგი გზით: მოსწავლე უჩვენებს თანაკლასელებს რამდენიმე ნივთის სურათს, რომელთა შორის მისი საყვარელი ნივთიც არის. კლასელებმა მუსიკალური ნაწყვეტის დახმარებით უნდა ამოიცნონ, ამ სურათებიდან რომელში არის გამოსახული საყვარელი ნივთი.	
2. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა)	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები**
მუს.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.)	**შეკითხვები:**

გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად; **მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა; **მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.	როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები? როგორ გამოვსახოთ ესა თუ ის ბგერა? **ცნებები:** მოტივი, ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები: • სავარჯიშო „ვიპოვოთ ბგერა“: მასწავლებელი ინსტრუმენტზე იღებს რომელიმე ბგერას და ხელის ზევით-ქვევით მოძრაობით მოსწავლეებს ხმით აძებნინებს აღებულ ბგერას (სასურველია, დაბალი რეგისტრიდან, შეძლებისდაგვარად ბოხი ხმით დაწყება და თანდათან მიახლოება). ხელის აწევის დროს მოსწავლეები ხმას „აწვრილებენ“, ჩამოწევის დროს კი ხმას „აბოხებენ“. მასწავლებელი აჩერებს ხელს რაიმე სიმაღლეზე მაშინ, როდესაც მთელი კლასი ხმით იღებს იმ ბგერას რომელიც იყო ინსტრუმენტზე აღებული (ეს სავარჯიშო შეიძლება რამდენიმე ეტაპად დაიყოს: თავიდან მასწავლებელი ხელით მიანიშნებს ხმით ტონის აწევას ან დაწევას. ამის გავარჯიშებას რამდენიმე გაკვეთილი დაჭირდება). • მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორი ხმა და ლაპარაკის მანერა მოუხდებოდა ამა თუ იმ საგანს - მაღალი (წვრილი), დაბალი (ბოხი), თუ საშუალო სიმაღლის; ნელა (გაწელილად) წარმოთქმული; ხმამაღლა ან ხმადაბლა წარმოთქმული და ა.შ.. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაბალი ან მაღალი ხმით და გარკვეული მანერით წარმოთქმული ფრაზებით „ააჟღერონ“ სხვადასხვა ზომის საგნები (მაგალითად, დიდი და პატარა ჭიქა ან კარადა და საბავშვო სკამი). მასწავლებელი ჩვეულებრივი ხმით წარმოთქვამს რაიმე ფრაზას და შემდეგ სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, გაიმეოროს ეს ფრაზა ისე, როგორც, მისი წარმოსახვით, რაიმე საგანი წარმოთქვამდა. • მოსწავლეები იყენებენ ბგერების ერთსა და იმავე თანამიმდევრობას სხვადასხვა რეგისტრში, ასევე ბგერებს სხვადასხვა გრძლიობით და სიძლიერით საგნების მუსიკალური დახასიათების მიზნით (მღერით, ინსტრუმენტზე დაკვრით და ა.შ.) • მოსწავლეები თხზავენ ორი ან სამი საგნის მუსიკალურ „დიალოგს“ სხვადასხვა სიმაღლის ბგერების თანამიმდევრობით და ასრულებენ ხმით (მღერიან), ან ინსტრუმენტით.	

თემა: თამაშები მუსიკაში

1. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები
მუს.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენისდროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა; **მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; **მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.	**შეკითხვები:** რა მუსიკალური ელემენტებით შეიძლება გადმოვცეთ თამაშების ნაირსახეობები? რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი? როგორ აისახება სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში ბავშვების თამაშები? **ცნებები:** მოტივი, რიტმი, ტემპი.

რეკომენდაციები
საკლასო აქტივობების მაგალითები: • გონებრივი იერიში - მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ეზოში ან პარკში რომელი თამაშის დროს უწევთ სირბილი (არბენ- ჩარბენა), ხტუნვა, სრიალი და ა.შ., შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს იმის შესახებ, თუ მუსიკალური ენის რომელი ელემენტების (მათთვის ცნობილი) მეშვეობით არის შესაძლებელი ზემოაღნიშნული მოქმედებების ასახვა. • მასწავლებელი ასმენინებს კლასს სიარულის, სირბილის, ხტომის ხმებს და სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ მოქმედებები. შემდეგ მასწავლებელი ასმენინებს კლასს რამდენიმე პიესას (მაგ., პროკოფიევის „დაჭერობანა“, რ. შუმანის „მხედარი“,) და სთხოვს მოსწავლეებს, დაუკავშირონ ამ პიესებს ადრე მოსმენილი მოქმედებების ხმები. შემდეგ მოსწავლეების მსჯელობენ თავიანთი არჩევანის შესახებ.

2. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა)	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები**
მუს.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად; **მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა; **მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.	**შეკითხვები:** როგორი მოტივი, ტემპი და რიტმი უნდა შეირჩეს გარკვეული მოძრაობის და ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ემოცია-განწყობის გადმოსაცემად? რა ნიშნებით ჩავწეროთ ეს მოტივები? **ცნებები:** მოტივი, ტემპის მონაცვლეობა, მოტივის მონაცვლეობა, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური კომპოზიცია

რეკომენდაციები
საკლასო აქტივობების მაგალითები: • გონებრივი იერიში - მასწავლებელი კლასს აჩვენებს რაღაც მოძრაობას (მაგ. მოძრაობას ხელბურთის თამაშის დროს) და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ თამაში სახეობა. როდესაც კლასი დაასახელებს ამ თამაშს, მასწავლებელი სთხოვს კლასს, გააჟღერონ მოძრაობა, რომელიც მან შეასრულა. იგი წინასწარ კლასთან მოილაპარაკებს, თუ როდის რა ხმის მოძრაობა უნდა გაკეთდეს: მაგ., ბურთის სროლის დროს - ხმის აღმავალი მოძრაობა; ბურთის დაჭერის დროს - ხმის დაღმავალი მოძრაობა. ხელის აქნევა - აღმავალი მოძრაობა, ჩამოქნევა - დაღმავალი მოძრაობა (ხმის მოძრაობის დროს არ არის საჭირო ზუსტი ინტონაცია. მთავარია ყველა მოსწავლემ ხმის აწევა-დაწევა შეძლოს). მასწავლებელს შეუძლია სავარჯიშოს ბოლოს ხელი რაღაც სიმაღლეზე დააფიქსიროს და რაიმე ტონზე „გაამღეროს“ შემდეგი ფრაზა: „აი ხელი ამ ბგერაზე გავაჩერე, თქვენც ამ ბგერაზე გააჩერეთ თქვენი ხმები“. ბოლოს მთელი კლასი მღერის უნისონში (უნისონში სიმღერა გარკვეული ვარჯიშის შემდეგ იქნება შესაძლებელი); • მასწავლებელი სთავაზობს მიმიკურ ეტიუდს - „ხელბურთის თამაში“. მასწავლებელი ესვრის წარმოსახვით ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს, ხოლო მასწავლე „იჭერს“ ხელით ამ წარმოსახვით ბურთს. შემდეგ იგი ესვრის ამ წარმოსახვით ბურთს თანაკლასელს. მასწავლებელი აჩერებს ბავშვებს და სთხოვს გააკეთონ იგივე, ოღონდ „ბურთის“ დაჭერის დროს თითოეულმა ხმით უნდა აიღოს ნებისმიერი სიმაღლის ბგერა. ბავშვები კვლავ იწყებენ მიმიკურ თამაშს, ოღონდ ამ შემთხვევაში ისინი „ბურთის“ დაჭერაზე ხმით იღებენ ნებისმიერი სიმაღლის ბგერას, ამ თამაშის მსვლელობის დროს ბავშვები იღებენ სხვადასხვა სიმაღლის ბგერებს ისე, რომ სპონტანურად იქმნება რაღაცა მოტივი. შესაძლებელია ამ თამაშის მსვლელობის აუდიოჩანაწერის გაკეთებაც. ამ ჩანაწერის მოსმენისას მოსწავლეები შეამჩნევენ რომ სხვადასხვა სიმაღლის ბგერების მონაცვლეობის შედეგად შეიქმნა რაღაც მელოდია.

სტრატეგია და ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები

სახელმძღვანელოს სერიაში მოცემული თემატურ ჯგუფებში გამოყენებული აქტივობების მეთოდური რეკომენდაციები:

სახელმძღვანელო ემყარება **ინტეგრირებული** სწავლების მეთოდს. ინტეგრირება ხდება ქართული ენის, ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნების, ისტორიის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნებთან.

მოსწავლეებისათვის **სანოტო დამწერლობის** სწავლა თამაშით მიმდინარეობს, მაგალითად, პირველ ეტაპზე მოსწავლეები სწავლობენ ნოტების დახატვას, ხოლო მომდევნო კლასებში-ნოტების სანოტო სისტემაზე ჩაწერას. **ასაკობრივი თავისებურებები** ყველა კლასშია გათვალისწინებული. მაგალითად, მოსწავლეები კომპოზიტორებს ეცნობიან თავისი ასაკიდან გამომდინარე, ჰაიდნი, მოცარტი და ბეთჰოვენი მათივე თანატოლი ხდება, ახალი მასალის გაცნობის ამგვარი ხერხი მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. სახელმძღვანელოს გმირებს ფუნქციები აქვთ განაწილებული: პატარა დირიჟორი საქართველოში მოგზაურობს და სიმღერებს ასწავლის ბავშვებს, პითაგორა ბიჭუნა კი – ნოტებს. **მუსიკის შემეცნებითი ფუნქციის** გაზრდის მიზნით სახელმძღვანელოში შემოდიან მითიური გმირები: მუზები, აპოლონი კითარით, ორფეოსი ქნარით, სირინოზები. ზღაპრები,მითები და ლეგენდები ყველა კლასში გვხვდება. სახელმძღვანელოს გმირებს საკუთარი ლაითმოტივებიც აქვთ, მაგალითად, ია გოგოს – მყარი და მერყევი ბგერების ინტონაცია აი იას ბგერებზე, პატარა დირიჟორს-ვ. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“ ინტონაცია. სახელმძღვანელოში გამოყენებული რუბრიკა – „მუსიკის ისტორიიდან“ მასწავლებლის ინფორმირებას უწყობს ხელს.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსწავლეთა **წარმოსახვითი და ასოციაციური** უნარების განვითარებას, რაც დასაწყისში მცირე დოზით შემოდის, მომდევნო ეტაპზე კი ღრმავდება, მაგალითად, მოსწავლეები მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტის ბუნებრივ ხმოვანებას ისმენენ და ბგერების ხმოვანებას, მათ გრაფიკულ გამოსახულებებს მიუსადაგებენ. სახელმძღვანელოში მრავლადაა ნახატების, ცხოველთა მოძრაობების მისადაგება მუსიკასთან, მოტივთან, თამაშების გახმოვანება ხმით, ხმაბაძვითი ბგერებით.მოსწავლის შემოქმედებითი უნარები ჯამდება ყველა კლასში მოცემულ სპექტაკლებში.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში სხვადასხვა აქტივობის შესრულება საკუთარი ხედვის, **ინტერპრეტირების** უნარის განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლეები სხვადასხვა სახის დავალებას ასრულებენ: ნასწავლი სიმღერებიდან ცალკეული ფრაზების ამოჭრა, ფრაზებად გაერთიანება, სიმღერის აწყობა, ასევე, მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში ჩატვირთული ხმების (ყოფითი საგნების, ცხოველების,სოფლისა და ქალაქის), ბგერების, მუსიკალური ფრაგმენტების გამოყენებით მუსიკალური კოლაჟების შექმნა.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა **სიმღერების შესწავლას და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულებას**. მაგალითად, „მუსიკალური კიბე“ იმღერება სამხმოვანების ბგერებზე ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვების, შემდეგ ეტაპზე კი – მარცვლების გამოყენებით, რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „აი ჩემი საქართველო“ გამის ტეტრაქორდების გამღერებაზეა აგებული.

სახელმძღვანელოში მოცემული სიმღერების დიდი ნაწილი ავტორს ეკუთვნის. გაკვეთილებში მოცემულ აქტივობებს თან ერთვის მეთოდური მითითებებიც,რაც კონკრეტული აქტივობის შესრულების რეკომენდაციას იძლევა.

შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები:

საგნის სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი აქტივობებით ფასდება:

- საკლასო აქტივობებში ჩართულობა;
- ინფორმაციის მიწოდება (მომდევნო კლასებში – მოძიება) გარესამყაროს შესახებ და პრეზენტაციის მომზადება;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა: მუსიკალური კომპოზიციის, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;
- იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;
- მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის (მომდევნო კლასებში ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის), ყოფითი შემთხვევების განხილვა და მათი მუსიკალური ანალოგიების შექმნა;
- დისკუსია (დებატი);

მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების განხილვა და საკლასო მსჯელობაში-დისკუსიაში მონაწილეობა.

შეფასების კრიტერიუმები				
მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების შინაარსისა და განწყობის აღწერა	ამბის, მოთხრობის გამოგონება (პროფესიული მუსიკის შემთხვევაში ავტორისეულ ჩანაფიქრთან დაკავშირება)	აქტიური მონაწილეობა	საკუთარი აზრის დასაბუთება	სხვისი აზრის პატივისცემა

სიმღერის შესრულება

შეფასების კრიტერიუმები:					
სანოტო და სიტყვიერი ტექსტის შესრულება		ინტონირების სიზუსტე		გამომსახველად სიმღერა (ცდილობს გადმოსცეს ნაწარმოების მხატვრული შინაარსი, ითვალისწინებს დინამიკურ ნიშნებს), საკუთარი ინტერპრეტაციით შესრულება(იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს)	
უჭირს სიტყვიერი ან სანოტო ტექსტის დამახსოვრება	სანოტო და სიტყვიერ ტექსტს იოლად იმახსოვრებს	ინტონირებისას უშვებს შეცდომებს	იცავს ინტონირების სიზუსტეს	მღერის ერთფეროვნად	ცდილობს შეასრულოს გამომსახველად, საკუთარი ხედვით

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება

შეფასების კრიტერიუმები					
ბგერათრიგის, ინტერვალების, მოტივების სიმღერა		ინტონირების სიზუსტე, რიტმული ნახაზის სიზუსტე		იმპროვიზირების უნარი	
უჭირს სიმღერა	სწორად მღერის (ნაწილობრივ, სრულად)	უჭირს ინტონირების, რიტმული ნახაზის სიზუსტის დაცვა	იცავს ინტონირების, რიტმული ნახაზის შესრულების სიზუსტეს (ნაწილობრივ, სრულად)	ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს	ნაწილორივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს

რიტმული ნახაზის შესრულება

შეფასების კრიტერიუმები:					
რიტმული ნახაზის სიზუსტე		სინქრონულობის დაცვა წყვილში, ჯგუფში შესრულებისას		რიტმული იმპროვიზირების უნარი	
ნაწილობრივ იცავს	ზუსტად იცავს	უჭირს სინქრონული შესრულება	არ არღვევს სინქრონულობას	ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს	ნაწილობრივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს

სხვადასხვა სახის პრაქტიკული სამუშაო

შეფასების კრიტერიუმები					
ორგანიზებულობა		ტექნიკის (ხმის, სხეულის მოძრაობის, მიმიკის და ა. შ.) და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების (რიტმის, მეტრის, მელოდიის, რეგისტრის და ა. შ.) ფლობა, პრაქტიკული გამოყენების უნარი		შემოქმედებითობა: ტექნიკის, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, წარმოსახვითი და ასოციაციური უნარების, იმპროვიზირების ეფექტური გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად	
ნაკლებად არის ჩართული პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში	აქტიური და ორგანიზებულია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში	ნაწილობრივ ავლენს პრაქტიკულ უნარებს	კარგად ავლენს პრაქტიკულ უნარებს	ნაწილობრივ ავლენს შემოქმედებით უნარებს	კარგად ავლენს შემოქმედებით უნარებს

მითითება: შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები იხილეთ დანართში.



გარე სამყარო მუსიკაში

თემა: ხმების მრავალფეროვნება

მიზანი: ხმის გამოყენება განწყობის გადმოსაცემად, სხვადასხვა საშუალებით ხმისა და ხმაურის გადმოცემა, ხმების დაჯგუფება, ხმით გამოწვეული ემოციების ასახვა, ხმის ჩაწერა, მუსიკალური კოლაჟის შექმნა. სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)3

მოუსმინე სამყაროს გულისყურით

მუსიკა გვესმის ყველგან: შინ, გარეთ, საკონცერტო დარბაზებში, ოპერაში, თეატრში, სხვადასხვა გასართობ ცენტრებში და ამ დროს გვავიწყდება ის მთავარი მუსიკა – სამყაროს მუსიკა, რომელიც არ წყდება და მუდმივად ჟღერს, რომლის „შთამომავლებიც“ არიან ჩვენი საყვარელი სიმღერები, კლასიკური თუ თანამედროვე მუსიკალური ნაწარმოებები – ეს სამყაროს მუსიკაა, დედამიწის მუსიკა, რომელიც ყოველ წამს გვესმის და თითქოს თან არც გვესმის – საგნების, ქალაქისა თუ სოფლის ხმები და ხმაური, ჩიტების ჭიკჭიკი, ზღვის, მდინარის, ნაკადულის ჩხრიალი, წვიმის წკაპუნი და ქარის შრიალი, რაღაც რომ ზუის სადღაც და ვერ ხვდები, რა არის... ამ ყველაფერს უაზრო ხმაურად აღვიქვამთ, მაგრამ გულისყურით თუ მოვუსმენთ და დავაკვირდებით, აუცილებლად დავიჭერთ რაღაცას, რომელიც უკვე მზა არის ან ცოტათი ჩვენი დახმარება სჭირდება. სამყაროს ხმები არეულია და შეგვიძლია დავალაგოთ, ნებისმიერი ხმაური ვაქციოთ სრულყოფილებად.

უსმინეთ სამყაროს ♡ ყურით

დასაწყისი

პატარა დირიჟორი იყურება ტელესკოპში, აკვირდება პლანეტებს, მზის, მთვარის, ვარსკვლავების მოძრაობას, უსმენს კოსმოსის ხმაურს, გაურკვეველ ფანტასტიკურ ხმებს, სხვადასხვაგვარ უცნაურ ბგერას, უსმენს და ფიქრობს: უამრავი მანათობელი ვარსკვლავია გაბნეული სამყაროში, ყველა თავისებურ ხმას გამოსცემს. შეიძლება ამ ხმებსა და ხმაურს კოსმიური მუსიკაც კი ვუწოდოთ; მზე, მთვარე, დედამიწა, ვარსკვლავები, ყველა თავის ხმას გამოსცემს. სწორედ ამ ხმებს უსმენს პატარა დირიჟორი. აკვირდება მათ და ფიქრობს, რა საინტერესოა სამყარო! აი, ერთ ვარსკვლავზე პითაგორა ბიჭუნა შენიშნა, ჩამომჯდარა ვარსკვლავზე და სამყაროს უცნაური და სასწაული ხმებით ტკბება: ზოგი ხმა მხიარულია, ზოგი – სევდიანი, ზოგი – საშიში, ზოგიც – ძალიან კეთილი და ლამაზი. პითაგორა ბიჭუნა იმ ვარსკვლავის ხმას უსმენს, რომელზედაც შემომჯდარა. ეს ხმა ამ ვარსკვლავის სიმღერაა! დირიჟორი მოუხმობს პითაგორა ბიჭუნას, რომ დაბრუნდეს დედამიწაზე.

– ჩამოდი, ჩამოდი! დედამიწაზეც არის საინტერესო ხმები, ბგერები, ხმაური.



პითაგორა ბიჭუნა: აი, შვიდი მხიარული ნოტი, ესეც ბგერებია, მე ისინი კოსმოსში აღმოვაჩინე და დედამიწაზე ჩამოვიტანე. ამ ბგერებით ადამიანები მუსიკას წერენ, აი, ისე, როგორც ასო-ბგერებით ვწერთ ლექსებს, მოთხრობებს.

პითაგორა ბიჭუნამ პატარა დირიჟორს გააცნო და უმღერა 7 მხიარული ნოტი. დირიჟორი კი ბავშვებს გააცნობს მათ.

გამარჯობა, ბავშვებო! მე, პატარა დირიჟორი,
ვიქნები თქვენი მეგზური მუსიკის საოცარ სამყაროში...

მხიარული ნოტები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

მხიარული ნოტების გაცნობა – დო მაჟორის გამღერება აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით.

მეთოდური მითითება: ბავშვები ეცნობიან მთავარ გმირს – დირიჟორს, რომელიც მათ მუსიკის საოცარ სამყაროში გაუძღვება. შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ხატავს „მხიარულ ნოტებს“ პიქტოგრამებით – მუსიკალურ გმირებს – და ბავშვებს სიმღერით აცნობს მათ სახელწოდებებს.

მასწავლებელი „მხიარულ ნოტებს“ არ აცალკევებს და ბავშვებს აწვდის როგორც ერთ პატარა ლამაზ სიმღერას. პირველ კლასში სტანდარტის თანახმად, ნოტები არ ისწავლება. ამ მეთოდით კი ბავშვები ნოტებს ეცნობიან როგორც „მუსიკალურ გმირებს“, მათთან ერთად „თამაშობენ“ და მღერიან. ნახატები მათ „მხიარული ნოტების“ ადვილად აღქმასა და დამახსოვრებაში ეხმარება.

ნოტების გაცნობამდე მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს პოეზიაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე; მხატვარი ფუნჯითა და საღებავით ასრულებს ნახატს, პოეტი სიტყვებს ასოებით ჩაწერს, მუსიკოსი კი მუსიკის ჩასაწერად ნოტებს იყენებს.

ყველაზე ჭკვიანი, უფროსი ძამიკო

უმცროსი ძამიკო

პატარა პრინცესა

პატარა სოფლელი ბიჭი

ყველაზე ლამაზი მზე

მეოცნებე მთვარე

პატარა კუდიანი ვარსკვლავი

უმცროსი ძამიკო

– ბავშვებო, მუსიკაში გვაქვს შვიდი ძირითადი ნოტი. ხელებით მაჩვენეთ, რამდენია შვიდი?

ბავშვები აჩვენებენ, თან ითვლიან. შემდეგ მასწავლებელთან ერთად რამდენჯერმე გაიმღერებენ გამას (დო მაჟორი). I რიგი სიმღერას ჰყვება ტაშით, II რიგი – ფანქრის კაკუნით, III რიგი – მუხლებზე ხელების დარტყმით.



დო რე მი ფა სოლ ლა სი დო დო სი ლა სოლ ფა მი რე დო

აქტივობა – რიტმული მოთელვა

მეთოდური მითითება: თითქმის ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით, რომელიც რიტმულ სავარჯიშოებზეა დაფუძნებული. ეს აქტივობა განაწყობს ბავშვებს მუსიკის გაკვეთილისათვის. მაგალითად: მასწავლებელი შედის კლასში, იწყებს ტაშის დაკვრას. ტაშით გამოხატავს მარტივ რიტმულ სავარჯიშოს, ბავშვებს სთხოვს აჰყვნენ. თანდათანობით მასწავლებელი ცვლის რიტმულ სურათს და ისინიც ბაძავენ მას. შემდეგ, ცვლის რიტმული სურათის ტემპს, ხან ანელებს ქმედებას, ხან აჩქარებს. შემდგომ გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობა მუსიკის თანხლებითაც შეასრულოს, იქიდან გამომდინარე, თუ რა მუსიკალურ ნაწარმოებს ასმენინებს ამა თუ იმ გაკვეთილზე (სიმღერა, ცეკვა, მარში და ა.შ.). ასე მაგ. ი. შტრაუსის „რადეცკი – მარში“ დაეხმარება მასწავლებელს, სხვადასხვა ქმედებითა და ტაშით აიყოლიოს ბავშვები (ადგილზე სიარული, ტაში, ტაში ზემკლავით და ა.შ.) და გაკვეთილი მეტად აქტიური გახადოს. მასწავლებელს ეძლევა შემოქმედებითი თავისუფლება და შეუძლია ყველა გაკვეთილი დაიწყოს ან დაამთავროს ამგვარი აქტივობით. მასწავლებელს თავად შეუძლია ამოარჩიოს მუსიკალური ნაწარმოები სახელმძღვანელოს აუდიოდისკებიდან და შეასრულოს მოთელვა-განტვირთვა. გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი უკვე სხვა დავალება-ქმედების შესრულებას სთხოვს მოსწავლეებს; I – თვალდახუჭულებმა მოუსმინონ (რელაქსაცია) ან II – მოუსმინონ მუსიკას და თავიანთი განწყობა სხვადასხვა სიმბოლოთი და პიქტოგრამით გამოსახონ რვეულებში.

რიტმული სავარჯიშო 2/4 ზომაში

მასწავლებელი 1-20 გაკვეთილისთვის რიტმულ მოთელვას ასრულებს 2/4 ზომაში



ლალე

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში
ინტონაცია-მოთელვა: ქართული ხალხური სიმღერა **„ლალე“**.
– ბავშვებო, რა ჰქვია ჩვენს სამშობლოს?
– საქართველო, საქართველო!
მასწავლებელი მღერის:

ლალე, ლალე,
დივლი-დალალალე,
ჩემო ლამაზო სამშობლო,
შენ კი გენაცვალე.

ამ აქტივობისათვის მასწავლებელი იყენებს მარტივ ინტონაციებს. მაგ. ქართული ხალხური სიმღერა „ლალე-ლალე“. მასწავლებელი მღერის სიმღერის მხოლოდ ორ ფრაზას – „ლალე-ლალე“, ბავშვები იმეორებენ. მასწავლებელი კვლავ რამდენჯერმე მღერის ამ მოკლე ფრაზას, სანამ ბავშვები კარგად არ გაითავისებენ. ამის შემდეგ ის თანდათანობით უმატებს სიმღერის ახალ მოტივს – „დივლი-დალალალე“. ამ მოტივსაც იმეორებს რამდენჯერმე და ასე თანდათან, ეტაპობრივად, შეასრულებს სიმღერის ერთ კუპლეტს. ბავშვები ჰბაძავენ და ასრულებენ მასწავლებლის ქმედებებს. როდესაც მასწავლებელი დაინახავს, რომ ბავშვებმა ისწავლეს ეს პატარა სიმღერა, ცვლის ტონალობას და ერთი ტონით მაღლა მღერის, როგორც ნოტებშია მოცემული. მასწავლებელი ორჯერ მღერის, მეორედ – ერთი ტონით მაღლა, მოდულაციით, როგორც ნოტებშია. მოდულაცია ნიშნავს ერთი ტონალობიდან მეორეში გადასვლას, საყრდენი ტონის შეცვლას. მოდულაცია ბავშვებისთვის შეუმჩნევლად ხდება – ყურადღების გაუმახვილებლად. მსგავსი ხერხი შემდეგ მრავალ სიმღერაში გამოიყენება. ეს ავარჯიშებს ბავშვის მეხსიერებას, ხელს უწყობს მუსიკალური სმენისა და ტონალობის შეგრძნების განვითარებას, დიაპაზონის გაზრდას. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ბავშვები თვითონვე აღიქვამენ ცვლილებას – სიმღერამ „ფერი იცვალა“.

მასწავლებელი ბავშვებს აგრეთვე ესაუბრება ხალხურ შემოქმედებაზე, უხსნის, რომ ხალხური სიმღერაც და ცეკვაც უძველეს დროში წარმოიშვა და მათი ავტორი ხალხია.

მუსიკალური განტვირთვა: მასწავლებელი უხსნის ბავშვებს: ადამიანს, რომელიც მხიარული ნოტების საშუალებით იგონებს, წერს მუსიკას, **კომპოზიტორი** ჰქვია. შემდეგ ბავშვებს ასმენინებს ი.შტრაუსის „რადეცკი – მარშს“ ბავშვები წამოდგებიან, მუსიკას ტაშს აყოლებენ, ადგილზე დადიან, ჰყვებიან მარშს.

მეთოდური მითითება: მუსიკის გაკვეთილებზე ბავშვებს უნდა განუვითაროთ შემოქმედებითი ნიჭი, ფანტაზია, ინტერესი, გემოვნება, ამავე დროს მივანიჭოთ შინაგანი თავისუფლება. მათ უნდა იგრძნონ, რომ მასწავლებელს ძალიან უყვარს ბავშვები, მუსიკა და სიმღერა და თამაშ-თამაშით შეიყვანოს ბავშვები მუსიკის საოცარ სამყაროში.

ლალე

დაამუშავა მაია ოთიაშვილმა




ჩე - მო ლა - მა - ზო სამ - შობ - ლო, შენ კი გე - ნა - ცვა - ლე.
ჩე - მო ლა - მა - ზო სამ - შობ - ლო შენ კი გე - ნა - ცვა - ლე.
ლა - ლე, ლა - ლე, დივ - ლი და - ლა - ლა - ლე,
ჩე - მო ლა - მა - ზო სამ - შობ - ლო, შენ კი გე - ნა - ცვა - ლე.
1.
2.
ჩე - მო ლა - მა - ზო სამ - შობ - ლო შენ კი გე - ნა - ცვა - ლე.
ცვა - ლე.

ხმების მრავალფეროვნება

დედამიწის ხმა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში

რიტმული მოთელვის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს აწვდის რიტმულ სავარჯიშოს.

I რიგი ჰყვება ტაშით, II რიგი – ფანქრის კაკუნით, III რიგი – მუხლებზე ხელების დარტყმით.



ინტონაცია-მოთელვა: ქართული ხალხური სიმღერა **„ლალე“**.



მასწავლებელი უყვება ბავშვებს: პითაგორა ბიჭუნა კი, ისევ ვარსკვლავზე შემომჯდარა, უსმენს და სწავლობს ვარსკვლავის სიმღერას. თან ზევიდან გვადევნებს თვალს, ჩვენ რას ვაკეთებთ საკლასო ოთახში. ძალიან საინტერესოა, ის პატარა ვარსკვლავი რა ხმა-ბგერას გამოსცემს? ან როგორ მღერის? – აბა, თვალები დახუჭეთ და წარმოიდგინეთ, რომ ამ ვარსკვლავზე სხედხართ, კარგად მოუსმინეთ და აუცილებლად გაიგებთ მის ხმას. იმედია, მეც მომასმენინებთ...

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, თითოეულმა მათგანმა ხმით გააჟღეროს ვარსკვლავის ხმა.

მასწავლებელი აგრძელებს საუბარს:

დედამიწაც თავის ხმას გამოსცემს, თავის სიმღერას მღერის: ის კოსმოსში სხვანაირად ისმის. მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს „NASA“-ს მიერ გადაღებულ **ვიდეოს – „პლანეტების ხმები“ – „დედამიწა“**. აქ კი, დედამიწაზე, მრავალი და საოცარი სხვადასხვა ხმაა: წვიმის, ჭექა-ქუხილის, გრიგალის, ვულკანის ამოფრქვევის, ზღვის ტალღების ხმა, ნაკადულის რაკრაკი, წყაროს ხმა, ფოთოლთა შრიალი, ტყის ხმა, ცხოველების, ფრინველების, მწერების ბზუილი... იქნებ თქვენ გააგრძელოთ? რა ხმები გესმით ბუნებაში? **გაუფრთხილდით და მოუარეთ ამ ხმებს, რომ დედამიწამ ხმა არ დაკარგოს!!!..**

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს შეძლებისდაგვარად მიბაძონ და გამოხატონ ეს ხმები: კაკუნით, დარტყმით, ინტონაციით...

ბავშვები უყურებენ ვიდეოს **„პლანეტების ხმები“ – „დედამიწა“** და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებსა და განწყობას.

მუსიკალური განტვირთვა: სულხან ცინცაძე – საკვარტეტო მინიატურები **„სოფლური ცეკვა“ და „ლალე“.** მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს მოუსმინონ ამ ნაწარმოებებს, ამოიცნონ **„ლალეს“** მოტივი. დაითვალონ რამდენი ბგერისაგან შედგება ის.



როგორ აისახება გარე სამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში

მზე შინა და მზე გარეთა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში

რიტმული მოთელვის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს აწვდის რიტმულ სავარჯიშოს.

I რიგი ჰყვება ტაშით, II რიგი – ფანქრის კაკუნით, III რიგი – მუხლებზე ხელების დარტყმით.



მეთოდური მითითება: ხუთი-ექვსი წლის ასაკში გრძლიობების გაცნობიერება ბავშვისთვის რთულია და არც სტანდარტითაა გათვალისწინებული. ამიტომ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს ზეპირად ვასწავლით და სმენით ვამახსოვრებინებთ. წიგნში მოცემული რიტმული სავარჯიშოების გრაფიკული ჩანაწერები მხოლოდ მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი.

განტვირთვა-თამაში: ბავშვები წამოდგებიან და მასწავლებლის მითითებით, ორი-სამი წუთი, სხვადასხვა იმიტაციურ მოძრაობას ასრულებენ: ადგილზე ხტიან, ცურავენ, დაფრინავენ... (ავტორელაქსაციისათვის) ეს აქტივობა მასწავლებელს შეუძლია სხვა გაკვეთილებზეც შეასრულებინოს ბავშვებს.

მეთოდური მითითება: ეს პროცესი ბავშვების უკეთ მობილიზებაში ეხმარება მასწავლებელს. ბავშვებსაც ძალიან მოსწონთ ასეთი თამაში. გაკვეთილის ამგვარი სტრუქტურა შინაგან თავისუფლებას აძლევს მასწავლებელსაც და ბავშვებსაც, გაკვეთილს კი მრავალფეროვანსა და შემოქმედებითს ხდის.

მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ვიდეოს – **„პლანეტების ხმები“** – **მზე**. ბავშვები უსმენენ მზის ბუნებრივ ხმას და საუბრობენ თავიანთ განწყობაზე.

ახალი სიმღერის შესწავლა: ქართული ხალხური სიმღერა „მზე შინა და მზე გარეთა“.

მასწავლებელი ბავშვებს უხსნის, რომ ქართველები უხსოვარი დროიდან ჭირშიც, ლხინშიც და ბრძოლაშიც მრავალხმიან სიმღერებს მღეროდნენ. ვაჟის დაბადებისას „მზე შინა“ იმღერებოდა.

მასწავლებელი რამდენჯერმე მღერის „მზე შინას“, ბავშვებიც თანდათან აჰყვებიან.

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო,
უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო.
მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო,

ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,
მზევ, შინ შემოდიო.
მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო,
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზევ, შინ შემოდიო.

მეთოდური მითითება: შეიძლება, მასწავლებელმა წინასწარ დაასახელოს საკრავი ვიოლინო, რომელზეც „მზე შინას“ მელოდია სრულდება და აჩვენოს ვიოლინოს ფოტო. ამ საკრავს ბავშვები მოგვიანებით გაეცნობიან.



მუსიკალური განტვირთვა: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სულხან ცინცაძის II სიმებიანი კვარტეტის III ნაწილს, რომელშიც კომპოზიტორმა „მზე შინას“ ულამაზესი მელოდია გამოიყენა. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს მოუსმინონ ამ ნაწარმოებს, ამოიცნონ „მზე შინას“ მოტივი და დაითვალონ რამდენი ბგერისაგან შედგება ის.

ბავშვები უსმენენ მუსიკას და აფერადებენ მზის კონტურს. იხ. თამაში-აქტივობების ფერადი დანართი ელექტრონულ რესურსში.

მზე შინა



ინფორმაციისათვის

უნიკალური **ქართული ხალხური მუსიკა** მსოფლიო კულტურის მონაპოვარია. ანტიკური ხანის ბერძენი ისტორიკოსისა და მწერლის, ასევე ათენელი მხედართმთავრისა და პოლიტიკური მოღვაწის ქსენოფონტეს ცნობით (ქრისტეშობამდე IV საუკუნე), ქართველები ბრძოლას სიმღერა-ცეკვით იწყებდნენ. ჩვენ წინაპრებს ოდითგანვე ჰქონიათ ბრძოლის, შრომის, გლოვის, ლხინის სიმღერები, მზის, მთვარის, ბუნების სხვადასხვა მოვლენისადმი მიძღვნილი ჰიმნები და საგალობლები. დღეს ქართული სიმღერა მთელ მსოფლიოშია პოპულარული. „ჩაკრულო“, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი ნიმუში, კოსმოსში გაუშვეს... ქართული სიმღერის მეცნიერული კვლევითა და შესწავლა-შესრულებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაინტერესდნენ (აშშ, იაპონია, კანადა, ავსტრალია, გერმანია, შვეიცარია, ინგლისი, საფრანგეთი, დანია, ფინეთი, ბელგია, ჰოლანდია, ნორვეგია...). იაპონიაში ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს ქართულ ხალხურ სიმღერას ასმენინებენ.

ლექსიკონი:

პიქტოგრამა – (ლათ. **pictus** დახატული და ბერძნ. **grapho** ვწერ) – „გრაფიკული ნახატი“, „პიქტოგრაფია“, რაიმე ცნობის შინაარსის გადმოცემა ნახატის ან თანმიმდევრული ნახატების საშუალებით.

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა

ააჟღერე და მოუსმინე საგნებს

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში

მასწავლებელი – პატარა დირიჟორი – ესაუბრება ბავშვებს; სამყაროში უამრავი ხმა-ბგერაა გაბნეული – ბუნებრივი, ხელოვნური, ფანტასტიკური. ზოგი ამ ხმებს მუსიკალურს უწოდებს, ზოგიც – არამუსიკალურს; აი, ახლა მე თქვენ რომ გესაუბრებით – ჩემი ხმა, თქვენი ჩურჩული; გარეთ, ქუჩაში – ქარის, წვიმის ხმა ისმის. საკლასო ოთახში ვიღაცამ ჩაიცინა, მეორემ დაახველა... ერთად რომ შევკრიბოთ, ყველა სამყაროში გაბნეული ხმებია და ამ ყველაფერს შეგვიძლია მუსიკა ვუწოდოთ.

დედამიწა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, სხვადასხვა პლანეტა – ყველა თავის ხმას გამოსცემს, თავის სიმღერას მღერის... მთავარია, ჩვენ შეგვეძლოს ამის გაგება, მოსმენა, აღმოჩენა. ყველა საგანს, ნივთს თავისი ხმა-ბგერა გააჩნია.

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს:

– აბა, აიღე ფანქარი და მერხზე დააკაკუნე!

– მოუსმინე, რა ხმა გამოსცა ფანქარმა.

– შენ პენალი გახსენი-დახურე, ხელი დაჰკარი მერხს!

– შენ საკლასო ოთახის კარი გააღე და დახურე; წიგნის ფურცლები ააშრიალე-აახმაურე!

– პეტრე, შენ პლასტმასის ბოთლში ჩაბერე და ააჟღერე

გესმით? ყველა საგანი თავის ხმა-ბგერებს გამოსცემს, გარკვეული ხმაური და განწყობა იქმნება...



– ვითამაშოთ და ავაჟღეროთ საგნები. ჯერ ცალ-ცალკე, შემდეგ ერთად და ამ განსხვავებული ხმებით სხვადასხვა ხმოვანება და რიტმული სავარჯიშოები შევქმნათ.

I რიგი აჰყვება ტაშით, II რიგი – ფანქარს დააკაკუნებს, III – პენალს დაარტყამს მერხს. და ბოლოს პეტრე ჩაბერავს ბოთლს. აი, რაღაც საინტერესო ხმოვანება, ხმაური გამოვიდა! ააჟღერეთ საგნები, ფანქარი, პენალი, წიგნის ფურცლები. მოუსმინეთ ამ ხმა-ბგერებს, გაიაზრეთ, გაითავისეთ და მოიფიქრეთ, კიდევ რა საგნები შეიძლება ავაჟღეროთ?

მუსიკალური განტვირთვა: ე. გრიგი – „დილა“ სიუიტიდან – „პერ გიუნტი“ ბავშვები უსმენენ მუსიკას და თავიანთ შთაბეჭდილებებსა განწყობას გადმოსცემენ სიმბოლოებითა და პიქტოგრამებით.

ნიმუში:

მეთოდური მითითება: ეტაპობრივად, მარტივიდან რთულისკენ, მასწავლებელი თანდათანობით აწვდის მოსწავლეებს სხვადასხვა რიტმულ სავარჯიშო-აქტივობებს, სხვადასხვა საგნით შესრულებულს. ყურადღებას უმახვილებს ბავშვებს, რომ მათ მოუსმინონ ამ საგნების ხმა-ბგერებს. თავდაპირველად ამისთვის იყენებს იმ საგნებს, რომლებიც მოსწავლეს მერხზე უდევს: მაგ. ფანქარს, კალმისტარს, პენალს, საშლელს, სახაზავს; უკრავენ ტაშს, აბაკუნებენ ფეხებს, მუხლებზე ხელს ირტყამენ, აშრიალებენ წიგნის ფურცლებს. შემდგომ ემატება პლასტმასის ჭიქები და ამ საგნების დახმარებით მასწავლებელი სთავაზობს სხვადასხვა სავარჯიშოსა და აქტივობას. თანდათანობით კლასში მოუგროვდებათ უამრავი **„დასარტყამი საკრავი“** და თავისთავად იქმნება კლასის **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“**, რომელიც თავად ბავშვებმა შექმნეს და თავადვე ასრულებენ რიტმულ სავარჯიშოებსა და კომპოზიციებს.

გაკვეთილი – 6-7

წიკო-წიკო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

სიმღერების განმეორება: ბავშვები, მასწავლებელთან ერთად, იმეორებენ ნასწავლ სიმღერებს: „მზე შინა,“ „ლალე“.

ქართული ხალხური საკრავი „წიკო-წიკო“: მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს პატარა გარმონის ფოტოს, ასმენინებს ჩანაწერს – **„საცეკვაოს“,** ურიგებს ოთხკუთხედ ფურცლებს და სთხოვს, მასთან ერთად გააკეთონ ქაღალდის „წიკო-წიკო“. გაკვეთილის ბოლოს ბავშვები „საცეკვაოს“ თანხლებით ცეკვავენ.

მეთოდური მითითება: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, კლასში დაწყებული ქაღალდის „წიკო-წიკოს“ კეთება სახლში დაასრულონ, გაუკეთონ სახელურები და ფერადი ფანქრებით მოხატონ.

სიახლე: ხალხური საკრავი „წიკო-წიკო“.





ინფორმაციისათვის

რიტმი – ბგერების გრძლიობათა თანაზომიერ მონაცვლეობას რიტმი ეწოდება. მუსიკაში ბგერების გრძლიობათა მონაცვლეობა ქმნის მუსიკალური ნაწარმოების საერთო რიტმულ სურათს. ხშირად სწორედ რიტმი განსაზღვრავს მუსიკის ხასიათს და მის ჟანრსაც.

მეტრი – თანაბარი ბგერების მონაცვლეობა მუსიკაში ქმნის თანაბარ მოძრაობას – პულსაციას. ბგერების ამ მოძრაობაში ზოგიერთი მათგანი პერიოდულად გამოიყოფა მახვილებით – აქცენტებით. დროის იმ ნაწილს, რომელზედაც აქცენტი მოდის, ძლიერი დრო ჰქვია, იმ ნაწილს კი, რომელზედაც აქცენტი არ კეთდება – სუსტი. ძლიერი და სუსტი დროების თანაბარ მონაცვლეობას მეტრი ეწოდება. მეტრის დრო შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა გრძლიობით. მეტრის სანოტო გრძლიობებით გამოსახვას **ზომა** ეწოდება.

ტრიალებს, ბრუნავს...

მუსიკალური განტვირთვა:

ახალი სიმღერის შესწავლა: ინოლა გურგულიას „კარუსელი“.

ეს ლამაზი სიმღერა „კარუსელზე“ ბავშვებს კომპოზიტორმა ინოლა გურგულიამ დაუწერა. ტექსტიც ინოლასია. ბავშვებო, რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ლექსს წერს? ვინ არის კომპოზიტორი?

გოგონები, ბიჭუნები
წრეში დგებიან.
ზოგი ეტლზე, ზოგი ცხენზე
შემოსხდებიან.

მისამღერი: ტრიალებს, ბრუნავს, ტრიალებს, ბრუნავს,
კარუსელი რომ ჰქვიანო,
ყველასთვის ბრუნავს, ყველასთვის ბრუნავს,
არ დაიგვიანოთ.

ზამთარს მოსდევს გაზაფხული
მუდამ მზიანი,
ზაფხულს მოსდევს შემოდგომა
ოქროსთმიანი.

მისამღერი: ტრიალებს, ბრუნავს, ტრიალებს მარად,
დედამიწა რომ ჰქვიანო,
იარე ჩქარა, იარე ჩქარა,
არ დაიგვიანო.

კომპოზიტორი კარუსელის ტრიალს დედამიწას ადარებს. კოსმოსში მიმობნეული მნათობები – მზე, მთვარე, ვარსკვლავები – პლანეტები არიან; დედამიწა ბურთივით მრგვალია და ოცდაოთხ საათში ერთხელ „ტრიალებს, ბრუნავს“ თავისი ღერძის გარშემო, ამიტომაც „დღე-ღამეს ცვლის, ღამე-დღესა“...

მეთოდური მითითება: მასწავლებელს კლასში შემოაქვს დედამიწის მოდელი – გლობუსი – და ღერძის გარშემო დაატრიალებს.

დედამიწა მზის გარშემოც ბრუნავს, ამიტომაც იცვლება წელიწადის დროები (მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს მათ ჩამოთვლას). სიმღერაშიც ხომ ასეა: შემოუვლის დედამიწა მზეს და –

ზამთარს მოსდევს გაზაფხული....
ზაფხულს მოსდევს შემოდგომა...
ტრიალებს, ბრუნავს, ტრიალებს, ბრუნავს,
დედამიწა რომ ჰქვიანო...

და ასე გრძელდება დაუსრულებლად. ბავშვები უსმენენ ფონოგრამას და აჰყვებიან. ამ სიმღერას ბავშვები ყოველთვის ხალისითა და დიდი სიყვარულ ით ასრულებენ. ტექსტი და მელოდია ერთდროულად ისწავლება და ორი საათი ეთმობა. „მუსიკალურ განტვირთვას“ მეორე გაკვეთილისთვის გამოვიყენებთ.

შენიშვნა: სიმღერის სანოტო ჩანაწერს გთავაზობთ „ბასტი-ბუბუს“ სტუდიის აუდიოჩანაწერის მიხედვით.



მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს მოუსმინონ სიმღერას, გამოყონ მუსიკალური მოტივი და დაითვალონ რამდენი ბგერისაგან შედგება ის. არის თუ არა ნახტომები ამ მოტივში?

კარუსელი

ტექსტი და მუსიკა
ინოლა გურგულიასი



მუსიკალური ლექსიკონი:

მოტივი: იტალიური სიტყვაა – motivo საფუძველს, მამოძრავებელ ძალას ნიშნავს. მუსიკაში კი, მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილს, რომელიც ნათლად გამოხატავს ძირითადი მელოდიის ხასიათსა და განწყობას. მოტივები უმეტესად 1-2 ტაქტისგან შედგება.

პენალი-ჟღარუნა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

ააჟღერე და მოუსმინე საგნებს – პენალი-ჟღარუნა

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს: დავამზადოთ ახალი „დასარტყამი საკრავი“: გავხსნათ პენალი, ჩავდოთ შიგ ფანქრები, კალმისტარი, ჩხირები, დავხუროთ და ავამოძრაოთ... რა მივიღეთ? – ჟღარუნა ანუ პენალი-ჟღარუნა. ეს ახალი „საკრავი“ გამოვიყენოთ ჩვენს სათამაშო რიტმულ სავარჯიშოებში. ახალი ჟღერადობა შეემატება ჩვენს საკლასო „დასარტყამ საკრავთა ორკესტრს“. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ყველამ ერთად ააჟღერონ „ახალი საკრავი“ და ეკითხება:

როგორ ხმას გამოსცემს პენალი ჟღარუნა?

მხიარულია თუ სევდიანი მისი ხმა?



მეთოდური მითითება: მთელი წლის განმავლობაში მასწავლებელი თანმიმდევრულად უმატებს „ორკესტრს“ ახალ საგნებს: საშლელს, სახაზავს, ხის ქვასანაყს, სათამაშო ზარებსა და სხვ. მასწავლებელს ეძლევა რიტმული სავარჯიშო-აქტივობების ნიმუშები, რომლებსაც იგი ყველა გაკვეთილზე იყენებს. გაკვეთილს იწყებს ამ აქტივობებით და მათ უსადაგებს სიმღერისა და მუსიკის მოსმენას. ეს აქტივობები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის თემას.

ამ გაკვეთილზე მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს **ვიდეოს** სადაც პოლიეთილენის ბოთლების, ლობიოსა და ბრინჯის მარცვლებისგან ამზადებენ ფერად-ფერად ჟღარუნებს. ბავშვები თავად ამზადებენ ამ ჟღარუნებს სახლში.

მუსიკალური კიბე: მასწავლებელი ბავშვებს უმღერის სამ ბგერას – „დო“, „მი“, „სოლ“. შემდეგ კლასს გაყოფს სამ მწკრივად: ერთი მღერის „დოს“, მეორე – „მის“, მესამე – „სოლს“, მაგრამ ისე, რომ ყველას მოუწიოს სამივე ბგერის ცალ-ცალკე მღერა. მასწავლებელი სამხმოვანების ბგერების გამღერებით ამზადებს სავარჯიშოს „მუსიკალური კიბე“.



ბავშვები, მასწავლებელთან ერთად, დამარცვლით მღერიან: „და-თვი-და-თუ-ნა“, „ფი-სო-ფი-სუ-ნა”, „თა-გვი-თა-გუ-ნა“ და თანდათან ამაღლებენ ტონს – „კიბეზე ადი-ჩადიან“.



და - თვი და - თუ - ნა ფი - სო ფი - სუ - ნა თა - გვი თა - გუ - ნა გო - ჭი გო - ჭუ - ნა ზღა - რბი ზღა-რბუ-ნა

მეთოდური მითითება: მასწავლებელი დაფაზე ხატავს „მუსიკალურ კიბეს“ და ყოველ საფეხურზე იმ ცხოველს, რომლის სახელიც იმღერება. ბავშვები მღერიან სამხმოვანების ბგერებს და ჰყვებიან ტაშით და პენალი-ჟღარუნათი. მასწავლებელი თითოეულ „საფეხურზე“ მახვილით, ხაზგასმით გამოყოფს ძლიერ დროს და საყრდენ ბგერას. ძლიერ დროს ასრულებენ ტაშით, დანარჩენ ბგერებს პენალი-ჟღარუნათი. ამ აქტივობას ბავშვები თამაშით, ხალისიანად ასრულებენ.

ინტონაციური სავარჯიშო – აღმავალი ქრომატიული სეკვენციები სამხმოვანების ბგერებზე მოსწავლეებს დაეხმარება მომავალში ამ აქტივობის ადვილად დაძლევაში. ამ სავარჯიშოებს ზეპირად და სმენით ვასწავლით. ბავშვებს ვამზადებთ V კლასისათვის, სადაც უკვე სტანდარტის მიხედვით შევისწავლით **ქრომატიზმს**.

გაკვეთილი – 9

სახაზავი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

ააჟღერე და მოუსმინე საგნებს: მასწავლებელს შემოაქვს კლასში სახაზავი და ესაუბრება მოსწავლეებს მის დანიშნულებაზე: სახაზავით ვზომავთ მანძილს ჩვენს რვეულებში. ეს საგანი უფრო მათემატიკის, შრომისა და ხატვის გაკვეთილებზე გვჭირდება, მაგრამ დღეს მე ამ საგანს საკრავად გადავაქცევ; სახაზავის ერთ კიდეს ვდებთ მერხზე ან მაგიდის კიდეზე, მეორეს ვაბჯენთ ხელს და ვუშვებთ, სახაზავი ირხევა და გამოსცემს უჩვეულო ხმას. ბავშვები ჰბაძავენ მასწავლებელს და თავიანთ სახაზავებს გადააქცევენ „საკრავად“. ბავშვებისათვის რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, ისინი უყურებენ **ვიდეოს** ამ თემაზე.



მასწავლებელი ეხმარება ბავშვებს ამ აქტივობის შესრულებაში. ის უკრავს ტაშს და ხმით ითვლის. ჩვენ უკვე ავაჟღერეთ შემდეგი საგნები: ფანქარი, ფურცელი, პლასტმასის ბოთლი, პენალი-ჟღარუნა და სახაზავი. მასწავლებელი სათითაოდ ააჟღერებინებს ამ საგნებს და სთხოვს ხმით მიბაძონ მათ. ეკითხება თუ როგორ ხმებს გამოსცემენ ისინი? მხიარულს თუ სევდიანს.

პატარა ამადეუსი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

ააჟღერე და მოუსმინე საგნებს: **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“**

ყველა ერთად



სიმღერების განმეორება: ბავშვები, მასწავლებელთან ერთად, იმეორებენ ნასწავლ სიმღერებს: „ლალე“, მზე შინა“, „ტრიალებს ბრუნავს“ და ინტონაციურ სავარჯიშოს „მუსიკალური კიბე“.

განტვირთვა-თამაში ვარჯიშით: რიტმული მოთელვის შემდეგ ბავშვები წამოდგებიან და მასწავლებლის მითითებით ასრულებენ სხვადასხვა იმიტაციურ მოძრაობას (ადგილზე ხტუნავენ, ცურავენ, ფრენენ...).

„პატარა ამადეუსი“: მასწავლებელი ბავშვებს უამბობს საოცარ ბიჭზე, ამადეუსზე, რომელმაც სამი წლისამ თვითონ ისწავლა ფორტეპიანოზე დაკვრა, ოთხი წლიდან მუსიკას თხზავდა, შვიდი წლისა კი დასთან – ანა-მარიასთან – ერთად მთელ ევროპაში კონცერტებს მართავდა და ყველას აკვირვებდა. ეს იყო გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი. მასწავლებელი შეახსენებს ბავშვებს სიტყვა **კომპოზიტორის** მნიშვნელობას. შემდეგ ესაუბრება კლასიკური სიმებიანი საკრავის – **ვიოლინოს** – შესახებ, უჩვენებს საკრავის ფოტოს ან საკრავს.

პატარა მოცარტი კლავესინთან

მუსიკალური განტვირთვა: ვ.ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადა“ I ნაწილი. ბავშვები უსმენენ მუსიკას და თავიანთ განწყობას გამოხატავენ ხაზით, სიმბოლოებით და პიქტოგრამებით.

ვიოლინო ხემით

გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უყურებენ **ვიდეოს,** სადაც პატარა დირიჟორი – ედვარდ იუდენიჩი ხელმძღვანელობს სიმფონიურ ორკესტრს, რომელიც ასრულებს ვ.ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადას“, I ნაწილს. **ორკესტრი** ეწოდება მუსიკოსთა დიდ ჯგუფს, რომლებიც სხვადასხვა საკრავებზე ერთდროულად უკრავენ.

ვიოლინოზე უკრავენ **ხემით**.

ლექსიკონი

კომპოზიცია - ლათინური სიტყვაა და ნაწარმოების შედგენას, შეთხზვას ნიშნავს. მუსიკაში კი, მუსიკალური ნაწარმოების შექმნას. აქედანაა წარმომდგარი სიტყვა კომპოზიტორი.

სავარცხელი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

ააჟღერე და მოუსმინე საგნებს – სავარცხელი: მასწავლებელს შემოაქვს ახალი, გამოუყენებელი სავარცხელი და ბავშვებს ეუბნება, რომ მას გადააქცევს საკრავად, ისე, როგორც პენალი გადაქცია. სავარცხელს დააფარებს სუფთა ფურცელს, მიიტანს პირთან და ჩაჰბერავს. ეს „საკრავი“ გამოსცემს უცნაურ ხმას. მასწავლებელი – რას გაგონებთ ეს ხმა? როგორია ეს ხმა? მხიარული თუ სევდიანი? მასწავლებელი „უკრავს“ სავარცხელზე და ბავშვები ჰყვებიან „ორკესტრით“.

მასწავლებელი გაახსენებს ბავშვებს „მხიარულ ნოტებს“ ბავშვები გაიმღერებენ აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით. მასწავლებელი ნოტა-ბგერა დოს უკრავს სავარცხელზე და მისი გაბმული ხმოვანების ფონზე ბავშვები მღერიან მხიარულ ნოტებს.



მასწავლებელი კვლავ „უკრავს“ სავარცხელზე და ნოტა-ბგერა დოს გაბმულ ხმოვანებაზე ბავშვები მღერიან გაორმაგებულ მხიარულ ნოტებს. მასწავლებელი აქცენტით გამოყოფს ძლიერ დროს. ძლიერ დროს ბავშვები გამოხატავენ თავიანთი დასარტყამი „საკრავებით“: I რიგი – ტაშით, II რიგი – პენალი-ჟღარუნით, III რიგი – ფანქრით.



მეთოდური მითითება: ეს სავარჯიშო შეიძლება ასეც შესრულდეს: ბავშვები გამეორებულ ბგერებზე მერხზე მონაცვლეობით ხელების დარტყმით რიტმს გამოსახავენ და თან მღერიან. ამ სავარჯიშოს ასრულებს ყველა ერთად გაბმულ ბგერაზე – ოსტინატოზე. ამ აქტივობით ბავშვებს ვამზადებთ მესამე კლასისათვის, სადაც ვაცნობთ ტერმინ – ოსტინატოს. პირველ კლასში ოსტინატოს მხოლოდ სმენით ვასწავლით.

მუსიკალური განტვირთვა: ვ.ა. მოცარტი – სიმფონია №40, I ნაწილი. ბავშვები უსმენენ მუსიკას და თამაშობენ „დირიჟორობანას“. მორიგეობით გამოდიან და „დირიჟორობენ“.

როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა

მწყემსი ბიჭის სალამური

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

მეთოდური მითითება: ამ სავარჯიშოს ასრულებს ყველა ერთად და თან ითვლიან ხმამაღლა. პლასტმასის ბოთლს წყლის დონის მიხედვით სხვადასხვა ხმოვანება აქვს.

განტვირთვა-თამაში: იმიტაციური მოძრაობები ადგილზე (ბაჯბაჯი, ხტუნვა, ცურვა, ფრენა...).

სიმღერების განმეორება: „ლალე ლალე“ „მზე შინა“ „მუსიკალური კიბე“, „ტრიალებს ბრუნავს“.

მასწავლებელი მუსიკის ფონზე ბავშვებს უკითხავს მწყემსი ბიჭის ამბავს. შემდგომ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებმა თავად გაახმოვანონ დასარტყამი საკრავებითა და სხვადასხვა ინტონაციებით ეს ზღაპარი: ხმით მიბაძონ ცხოველებს (ძროხა, ცხვარი...), გადაინაწილონ მოვალეობები. შეარჩიონ პატარა ინტონაციები განთიადისა და საღამოს – „ძილისპირულის“ მელოდიებისათვის. ბავშვებს ეძლევათ თავისუფლება ამ აქტივობის შესრულების დროს. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ შეარჩიოს რამოდენიმე მუსიკალური ნაწარმოები, შექმნას მუსიკალური კოლაჟი და მის ფონზე წაუკითხოს ბავშვებს ეს ამბავი.

მწყემსი ბიჭის სალამური: უხსოვარი დროიდან ჩვენს წინაპრებს უძველეს ქალაქ მცხეთაშიც უცხოვრიათ. იქვე, სამთავროში, მდიდრული სასახლეები ჰქონიათ გაშენებული, დიდძალი ქონებითა და უამრავი მსახურით. მათს ნახირს კეთილი და შრომისმოყვარე ბიჭი მწყემსავდა. ბიჭს გედის ძვლის სალამური ჰქონდა – ბოლოში ოდნავ მოღუნული, სამნახვრეტიანი, ჩაბერავდა ხოლმე ამ ერთ ციდა საკრავს და აახმიანებდა: საქონლის საძოვარზე გარეკვისას, განთიადის მელოდიას დაუკრავდა და პირუტყვიც მაშინვე გაჰყვებოდა; საღამოს, შინ დაბრუნებისას – „ძილისპირულისას“, და ნახირიც შინისკენ გამოემართებოდა...

მას მერე ძალიან დიდი დრო გავიდა და მწყემსი ბიჭის ამბავიც აღარავის ახსოვდა. ერთ დღეს სამთავროელი გლეხები მიწის დამუშავებისას უძველეს სამარხებს წააწყდნენ. მათ მეცნიერებს უხმეს და, მრავალ საინტერესო ნივთთან ერთად, მწყემსი ბიჭის სალამურიც აღმოაჩინეს!.. ძალიან გაუკვირდათ, რადგან ძვლის სალამური არასოდეს ენახათ – სალამურს ხომ ახლა ჭერმის ხის ან ლერწმისგან ამზადებენ! ამ პატარა სალამურმა კი სწორედ იმიტომ გაუძლო საუკუნეებს, ძვლისა რომ იყო.

ოსტატი რამდენ საკრავსაც ამზადებს ხისგან, იმდენ ხეს რგავს...
გაუფრთხილდი და მოუარე ბუნებას!!!...

მუსიკალური განტვირთვა: სალამურის ჩანაწერი

მაი ლამაზი ბაჩაჩები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

მეთოდური მითითება: სავარცხლის გაბმული ხმოვანების ფონზე ბავშვები ასრულებენ ამ სავარჯიშოს. სავარცხელზე „უკრავს“ მასწავლებელი.



ააჟღერე და მოუსმინე საგნებს:

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ჩამოთვალონ ეს საგნები და გაახმოვანონ ხმით. აგრეთვე თავიანთი დასარტყამი საკრავებით მიბაძონ ამ საგნების ხმებს: პლასტმასის ბოთლი, სავარცხელი. ბავშვებმა თვითონ უნდა გამოიცნონ ამ „საკრავებით“ რომელი ტრანსპორტის ხმას მიბაძავენ. მასწავლებელი ეკითხება მათ: როგორია ეს ხმები? როგორ ჟღერს, მოკლედ თუ დიდხანს? რა განწყობაზე გაყენებთ ეს ხმები? მოყევით პატარა ამბავი ამ ოთხი სურათის მიხედვით. მაგ.: პეტრე წავიდა სამოგზაუროდ... გააგრძელე შენ თვითონ.

განტვირთვა-თამაში: შავშური ხალხური სიმღერა **„მაი ლამაზი ბაჩაჩები“.**

სიმღერას ასრულებენ მიხო და კატო – სოფლელი ბავშვები. კატო დედის კაბაში გამოეწყობა, დედის თავშალს (ფაშალიას) მოიხვევს, დედის მძივებსა და ჯინჯილაკებს (ბლუზუქებს) გაიკეთებს, დედის ფეხსაცმელს (ბაჩაჩებს) ჩაიცვამს და ეზოში გამოვა. ასე გამოწყობილი კატოს დანახვისას მეზობლის ბიჭი მიხო გაოცდება და ამღერდება. მას ბავშვებიც აჰყვებიან... გაიმართება ნამდვილი სოფლური ცეკვა-თამაში.

მიხო: – მაი ლამაზი ბაჩაჩები ვინ მოგიტანაო?
ბავშვები: – მაი ლამაზი ბაჩაჩები ვინ მოგიტანაო?
კატო: – ჩემმა დედამ, ჩემმა ნანამ, მან მომიტანაო!
ჩემმა დედამ, ჩემმა ნანამ, მან მომიტანაო!

მიხო: – მაი ლამაზი ბლუზუქები ვინ მოგიტანაო?
ბავშვები: – მაი ლამაზი ბლუზუქები ვინ მოგიტანაო?
კატო: – ჩემმა დედამ, ჩემმა ნანამ, მან მომიტანაო!
ჩემმა დედამ, ჩემმა ნანამ, მან მომიტანაო!

მიხო: – მაი ლამაზი ფაშალია ვინ მოგიტანაო?
ბავშვები: – მაი ლამაზი ფაშალია ვინ მოგიტანაო?
კატო: – ჩემმა დედამ, ჩემმა ნანამ, მან მომიტანაო!
ჩემმა დედამ, ჩემმა ნანამ, მან მომიტანაო!

მეთოდური მითითება: მასწავლებელი და ბავშვები ჩამოთვლიან საქართველოს კუთხეებს: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, სამეგრელო, ფშავი, თუშეთი, ხევი, ხევსურეთი, მთიულეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი... მასწავლებელი ბავშვებს განუმარტავს, რომ თითოეულ კუთხეს მისთვის დამახასიათებელი სიმღერა, ცეკვა და საკრავი აქვს. ტრადიციულად, „ვინ მოგიტანა“ დედოფლის სახლში, მისი მორთვისას, შესასრულებელი საქორწილო-საფერხულო სიმღერაა. ის ხმისა და ფორტეპიანოსათვის ჩვენ მიერაა დამუშავებული და გააზრებულია, როგორც სიმღერა-თამაში. ამიტომ პერსონაჟებიც მოვიგონეთ და სახელებიც დავარქვით.

ამ მასალას ორი გაკვეთილი დავუთმეთ, რადგან, სიმღერის შესწავლის გარდა, აუცილებელია მისი გათამაშებაც: პირველი გაკვეთილი სიმღერის გაცნობა-ათვისებას ეთმობა, მეორე – ინსცენირება-გათამაშებას. კატოსა და მიხოს როლის „შესრულების“ სურვილი, უეჭველია, ყველა ბავშვს გაუჩნდება. წრეში ჩამდგარი ბავშვები მონაცვლეობით მღერიან და შემდეგ ცეკვავენ. ფორტეპიანოს უქონლობის შემთხვევაში, ცეკვისათვის შეიძლება „წიკო-წიკოს“ ჩანაწერის გამოყენებაც.

ლექსიკონი

„ნანა“ ძველქართულად დედას ნიშნავს. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით დღემდე გვხვდება დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო, აჭარა).

მაი ლამაზი ბაჩაჩები




ჩე - მმა დე-დამ, ჩე - მმა ნა-ნამ, მან მო-მი-ტა - ნა - ო.
საცეკვაო
ტაში

შემოდგომის დღესასწაული

შემაჯამებელი გაკვეთილი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

გარემოს აღწერა: შემოდგომის დღესასწაული შეიძლება მოეწყოს საკლასო ოთახშიც და ბუნების წიაღშიც.

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, თუ შესაძლებელია, შემოდგომის დღესასწაულისათვის მოიტანონ ნიგვზის, თხილის, ჩირის ან ქიშმიშის აცმები ჩურჩხელების ამოსავლებად.

საკლასო ოთახი ცარიელია. კედლებზე ბავშვების მიერ მუსიკის გაკვეთილებზე ან თავისუფალ დროს შესრულებული ნახატებია გამოფენილი. მშობლები ეხმარებიან მასწავლებელს დღესასწაულის ლამაზად და ორგანიზებულად წარმართვაში, აქებენ და ახალისებენ ბავშვებს.

ბავშვები დგანან წრეში, მღერიან ნასწავლ სიმღერებს, – „ლალე“, „მზე შინა“, „მაი ლამაზი ბაჩაჩები“ – სურვილისამებრ ამბობენ ლექსებს და „წიკო-წიკოს“ ხმაზე ცეკვავენ...

მასწავლებელს დღესასწაული შეუძლია გააფორმოს სხვა მუსიკალური ნაწარმოებებითაც:

ი. შტრაუსი – „რადეცკი – მარში“.
ვ.ა. მოცარტი – ღამის პატარა სერანადა I ნაწილი.
ს. ცინცაძე – „მზე შინა“, „სოფლური ცეკვა“.
სალამურის ჩანაწერი.
ზ. ფალიაშვილი – „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „დაისი“.

სასურველია, დღესასწაულის ბოლოს, მასწავლებელმა წინასწარ გამზადებული თათარა (ფელამუში) შემოიტანოს და ბავშვებს აჩვენოს, როგორ ივლება ჩურჩხელა. ბავშვები ამ დღესასწაულზე იყენებენ თავიანთ „დასარტყამ საკრავთა ორკესტრს“. ამ ხმა-ბგერებს აყოლებენ სიმღერებსა და ცეკვებს.

„დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“



ბგერა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;



სიმღერების განმეორება: „ლალე, ლალე“, „მზე შინა“, „მუსიკალური კიბე“, „მაი ლამაზი ბაჩაჩები“, „ტრიალებს ბრუნავს“.

ბგერა: ბუნებაში ყველა საგანი გამოსცემს ხმა-ბგერას. ეს ხმა-ბგერები თავიანთი ჟღერადობით სხვადასხვა განწყობას გადმოსცემენ. განწყობას ქმნის სხვადასხვა საგანი იმისდა მიხედვით, თუ რა მასალისგანაა თითოეული მათგანი დამზადებული. საგნები შეხებისას ან სხვა საგანზე დარტყმისას გამოსცემენ უცნაურ, გაურკვეველი ჟღერადობის ბგერებს. ბავშვები აკვირდებიან ხისაგან დამზადებული საგნების ხმებს:

– აბა, ჩამოთვალეთ ხისგან დამზადებული საგნები – მიმართავს ბავშვებს. – ფანქარი, მერხი, სკამი, მაგიდა, ხის ჩაქუჩი...

– შემოჰკარით ფანქარი ფანქარს და მოუსმინეთ ამ ხმას, დაიმახსოვრეთ მისი ჟღერადობა... იქნებ მიბაძოთ ხმით? – მიმართავს მასწავლებელი.

– ჩამოთვალეთ რკინისგან დამზადებული საგნები.

– კოვზი, ჩანგალი, ქვაბი, ქვაბის თავსახურები.

მასწავლებელი შემოჰკრავს პატარა კოვზებს ერთმანეთს. ბავშვები ყურადღებით უსმენენ და აკვირდებიან საგანთა ხმებს და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს.

– როგორ ფიქრობთ, რომელი ხმა-ბგერა ჟღერდა უფრო დიდხანს, ხის თუ რკინის? რომელი ხმა იყო მაღალი (წვრილი) და რომელი – დაბალი (ბოხი)? როგორი ხასიათის ხმებია: მხიარული თუ სევდიანი? რა განწყობას გიქმნით ეს ხმები? მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს თავიანთი „დასარტყამი საკრავებით“ გამოსცენ ამ საგნების ხმები.

ბგერას ოთხი თვისება აქვს: სიმაღლე, სიძლიერე, ტემბრი და გრძლიობა.

ლექსიკონი

ტემბრი ეწოდება ბგერის ხარისხობრივ მხარეს, მის ელფერს. ტემბრის განსაზღვრისათვის იყენებენ სიტყვებს: რბილი ბგერა, მკვეთრი, მსუყე, წკრიალა, მღერადი და სხვა. ყოველ საგანს, საკრავს და ადამიანის ხმას მისთვის დამახასიათებელი ტემბრი გააჩნია.

მუსიკა და ჩვენი ყოფა

თემა: **ყოფითი საგნები მუსიკაში**

მიზანი: ბგერისა და საგნის თვისებებს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; ხმების ნახატებთან მისადაგება; ხმების მიხედვით საგნების ამოცნობა; ხალხურ მუსიკაში ყოფითი საგნების ასახვა; ყოფითი საგნების დახმარებით ბგერის თვისებების გაცნობა; სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)1,2;

საათი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს სხვადასხვა ზომის საათის (მაგ.: კედლის საათის, მაღვიძარას, გუგულიანი საათის) ხმას. მოსწავლეებს სთხოვს, ხმების მიხედვით ამოიცნონ, რომელია აქედან დიდი ზომის საათი და რომელია პატარა. საათის ხმები მიუსადაგონ ნახატებს. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს: როგორი ხმა აქვს დიდ საათს? მაღვიძარას? გუგულიან საათს? რითი განსხვავდება ეს ხმები ერთმანეთისგან? შემდგომ მასწავლებელი კლასს ასმენინებს ორ მუსიკალურ ნაწყვეტს. მაგ.: **ი. ჰაიდნის სიმფონია №101, II ნაწილი – „საათი“ და ე. ენგლუნდის IV სიმფონიის II ნაწილი.** სთხოვს ბავშვებს, გამოთქვან თავიანთი აზრი და განწყობა – როგორი ზომის საათის ხმებია ასახული მუსიკაში.



გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უყურებენ **ვიდეოს – ლეროი ანდერსონის „საათი“.**
ბავშვები ისმენენ მუსიკას და ტაშით აჰყვებიან საათის რიტმს.

მუსიკალური განტვირთვა:



ახალი სიმღერის შესწავლა: გიორგი ცაბაძის „საათი“.

მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

– რას აღნიშნავს საათი?
– რამდენი საათია დღე-ღამეში?
– რამდენი ციფრია გამოსახული საათის ციფერბლატზე?
– რამდენ საათს უნდება დედამიწა თავისი ღერძის გარშემო შემოვლას?
ბავშვები უსმენენ „პლუს“ ფონოგრამას და ჰყვებიან სიმღერას:



საათი

დგება თეთრი დღე და
იწვის ლურჯი ღამე
და საათი ითვლის
წუთებსა და წამებს.
როცა ყველას სძინავს,
საათს არა სძინავს
და ფხიზელი თვალით
უდარაჯებს დილას.

მისამღერი:
წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, კუ-კუ, კუ-კუ,
წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ.
წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, კუ-კუ, კუ-კუ,
წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ



ვიდრე ბაღში ფოთლებს
გადანამავს ცვარი,
აამღერებს ოთახს
მხიარული ზარი,
მზე გაახელს თვალებს,
აცურდება ცაში
და შემოვა სტუმრად
ღია ფანჯარაში.

მისამღერი:
წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, ...

მეთოდური მითითება: მისამღერზე ბავშვები იმიტაციურ მოძრაობებს ასრულებენ: გაშლილ ხელისგულებს თავის გასწვრივ დაიჭერენ და, საათის ქანქარას მსგავსად, თავსა და ხელებს აქეთ-იქით პარალელურად გადააქნევენ.



გაიმღერეთ და დაითვალეთ რამდენი ბგერისაგან შედგება მოტივი.

დავალება: მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ფურცლებს. ბავშვები ხატავენ და აფერადებენ საათს ნიმუშის მიხედვით.

საათი

მუსიკა: გიორგი ცაბაძისა
ტექსტი: დოდო გვიშიანისა




ჩქა-რო-ბენ და სწუ-ხან. წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, კუ - კუ, კუ - კუ,
წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - - - ტაკ,
წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, კუ - კუ, კუ - კუ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ,
1.
2.
წიკ,
წიკ,


წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, კუ - კუ, კუ - კუ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ,
წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, კუ - კუ, კუ - კუ,
წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ. წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ, წიკ-ტაკ,
წიკ. წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ - ტაკ, წიკ.
8va
8vb

როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს?

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

მასწავლებელი აცნობს მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ს, რომელიც მოსწავლეებს ბუკებში აქვთ ჩატვირთული. ახალი სტანდარტის მიხედვით, ამ პროგრამის შესწავლა და გამოყენება, რომელიც სხვადასხვა აქტივობითაა წარმოდგენილი, I-VI კლასებზეა გათვლილი. მუსიკალური პროგრამა მასწავლებელს ეხმარება აქტიური და ხალისიანი გაკვეთილის ჩატარებაში, ბავშვებს კი, ახალი უნარ-ჩვევების აღმოჩენასა და განვითარებაში.

გამოიცანი ყოფითი საგნები ხმების მიხედვით – LMMS-ი

მასწავლებელი კლასში არიგებს ნახატებიან ფურცლებს და სთხოვს ბავშვებს, ჩამოთვალონ ნახატზე დახატული საგნები: ქვაბები, ჭიქები, კოვზები, ქვაბის თავსახურები, თეფშები. შემდეგ მოუსმინონ LMMS პროგრამაში ჩაწერილ საგანთა ხმებს, გაარჩიონ თითოეული და გაარკვიონ, რომელი ხმა რომელ საგანს შეესაბამება, აგრეთვე, ჟღერადობის მიხედვით ამოიცნონ, რა მასალისგანაა დამზადებული ესა თუ ის საგანი: ჭიქა – მინა; კოვზი – ხის ან რკინის; ქვაბი – რკინის. დააკვირდნენ და მოუსმინონ, რომელი საგანი როგორ ჟღერს. რკინას სხვა ჟღერადობა აქვს, ხისგან დამზადებულ საგანს – სულ სხვა. ე. ი. სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ საგნებს განსხვავებული ჟღერადობა – ტემბრი აქვს. ტემბრი განსაზღვრავს ბგერის ხარისხსა და ელფერს. ტემბრის განსაზღვრისათვის იყენებენ სიტყვებს: რბილი ბგერა, მკვეთრი, მსუყე, წკრიალა, მღერადი ბგერა და სხვა.

მასწავლებელი აგრეთვე ამახვილებს ყურადღებას ბგერის სიმაღლეზე – ხმამაღლა ჟღერს თუ ხმადაბლა; გრძლიობაზე – რამდენ ხანს გრძელდება ამ საგნის ხმები: მოკლედ ჟღერს თუ გაბმულად და დიდხანს.

ეტაპობრივად, ამგვარი სავარჯიშოებით მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს ბგერის თვისებებზე: სიძლიერე, სიმაღლე, ტემბრი და გრძლიობა. მასწავლებელი თამაშ-თამაშით, ნახატებითა და რიტმულ-ინტონაციური აქტივობებით გააცნობს და გააააზრებინებს ბავშვებს ბგერის ამ თვისებებს.

აქტივობა 1: ბავშვები ამ საგნის ხმებს ააჟღერებენ LMMS პროგრამაში. პროგრამის გრაფაში თითოეული საგნის ხმა გამოსახულია ტრეკებად და ფერებად. მასწავლებელი აძლევს დავალებას: დააწყონ გრაფაში ეს ხმები სურათზე გამოხატული საგნების თანმიმდევრობით, ააჟღერონ და ამოიცნონ ხმები, ხოლო ტრეკების ფერები მიუსადაგონ ნახატზე მითითებულ საგნებს.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები პირველი გაკვეთილის ბოლოს უყურებენ **ვიდეოს** ლ.ანდერსონის „PLINK, PLANK, PLUNK“. ისმენენ მუსიკას, ამოიცნობენ მოტივს და დაითვლიან, რამდენი ბგერისგან შედგება ის.

მუსიკალური ლექსიკონი:

ტრეკი – ინგლისური სიტყვაა და ნაკვალევს, გზას, ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში ადამიანის ან საკრავის ხმა განლაგებულია ტრეკებზე.

აქტივობა 1

LMMS-ი **აქტივობა 1:** მოცემულია სხვადასხვა საგნები: ქვაბი, ქვაბის თავსახური, რკინის კოვზი, ხის კოვზი, თეფში და ჭიქა. აქტივობის ფოლდერში მოცემულია ნიმუში, ბავშვებს შეუძლიათ ხმები დაალაგოთ სხვა თანმიმდევრობითაც. აქტივობა მიზნად ისახავს მოცემული საგნების ხმების ამოცნობასა და აჟღერებას.

აქტივობა 2

LMMS-ი **აქტივობა 2:** აქტივობაში გამოყენებულია ყველა ის საგანი, რაც გვხვდებოდა წინა აქტივობაში, დავამატეთ სათამაშო მაკრატელი და წიგნის შრიალი. ბავშვები ამოიცნობენ საგნების ხმებს, დაალაგებენ სხვადასხვა თანმიმდევრობით და ააჟღერებენ.

წელო, წელო, ახალო

მუსიკალური განტვირთვა:

ახალი სიმღერის შესწავლა: „წელო, წელო, ახალო“. მეორე გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უსმენენ „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამას.

წელო, წელო ახალო
გაგვინათე გზები,
აგვამღერე ბავშვები,
გაგვიშალე ფრთები.

ბავშვები ამ სიმღერას აყოლებენ „დასარტყამ საკრავთა ორკესტრის“ ხმებს.

სიმღერაში რამდენჯერმე იცვლება ტონალობა. ბავშვები თვითონვე გრძნობენ ცვლილებას. მასწავლებელი ამჯერადაც შეახსენებს, რომ სიმღერამ აქაც „ფერი იცვალა“.



დაითვალე რამდენი ბგერისაგან შედგება მოტივი.

წელო, წელო, ახალო

ტექსტი და მუსიკა
მაია ოთიაშვილის



დაუკარი ჭიქებით

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

ააჟღერე და მოუსმინე საგნებს;

ჩვენ უკვე ავაჟღერეთ: ფანქარი, კალმისტარი, პენალი, სახაზავი, სავარცხელი. მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს – კიდევ ერთხელ ააჟღერეთ ეს საგნები და ყურადღებით მოუსმინეთ... როგორ ხმას გამოსცემს თითოეული? ეს ხმები დიდხანს გრძელდება თუ უცბად წყდება? რომელი საგნის ხმა გრძელდება უფრო დიდხანს – ფანქრის თუ სახაზავის? პენალის თუ სავარცხლის? რომელი ხმაა გრძელი, მოკლე, მაღალი, დაბალი?

ამის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს სხვადასხვა ფერის პლასტმასის ჭიქებს და ამ ჭიქებით უჩვენებს ახალ რიტმულ სავარჯიშოს.





თავდაპირველად ჭიქას აყოლებენ მხოლოდ ტაშს. შემდგომ გაკვეთილებზე ამ სავარჯიშოებს ემატება სხვა საგნები: ფანქარი, პენალი-ჟღარუნა, სახაზავი, სათამაშო მაკრატელი... შემდგომში წყლიანი ჭიქები, რომლის ნიმუშები წარმოდგენილია ვიდეოდისკზე.

მეთოდური მითითება: ასეთი ქმედებებითა და აქტივობებით ბავშვებს უვითარდებათ მუსიკალური სმენა, რიტმისა და მეტრის შეგრძნება, სხარტი აზროვნება, მეხსიერება, და ბოლოს, შემოქმედებითი უნარები, ახლის მოფიქრებისა და შექმნის სურვილი. მოცემული ნიმუში-სავარჯიშოები მასწავლებელს შეუძლია განავრცოს, თავად მოიფიქროს ასეთი აქტივობები და ყოველ გაკვეთილზე სხვადასხვა სახით მიაწოდოს ბავშვებს. ეს ყველაფერი მრავალფეროვანს, საინტერესოს, აქტიურსა და მობილურს გახდის გაკვეთილს, ბავშვებს კი მომავალში დაეხმარება, დამოუკიდებლად შექმნან პატარა მუსიკალურ-რიტმული კომპოზიციები, გაარჩიონ ხმა-ბგერების სხვადასხვაგვარობა და მოუსმინონ მათ.

მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობები გამოიყენოს შესასწავლი სიმღერისა და მუსიკის მოსმენის დროს.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უყურებენ **ვიდეოს** ლეროი ანდერსონის – **„Sleigh Ride“** – **„მარხილით სრიალი”**. მსჯელობენ ნაწარმოების ხასიათზე, განწყობაზე, ბავშვების ქმედებებზე. მასწავლებელი სთხოვს, თავად შეასრულონ ეს სავარჯიშო თავიანთი პლასტმასის ჭიქებით. სავარჯიშო სრულდება წრეში, ისე როგორც ვიდეოშია ან ადგილზე – მერხებთან. მასწავლებელი: „მოუსმინე მუსიკას, ამოიცანი მოტივი და დაითვალე, რამდენი ბგერისგან შედგება ის“. ამ თემაზე ელექტრორესურსში მოცემულია სხვა ვიდეოებიც, რომლებიც შეგიძლიათ ბავშვებს აჩვენოთ რამდენიმე გაკვეთილზე.

ალილო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.



ალილო – შობის ღამის ამბავი იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორიის“ მიხედვით.

...ეს მოხდა ორიათასი წლის წინ. იუდეის ქალაქ ბეთლემში, ერთ-ერთ გამოქვაბულთან მწყემსები საქონელს აძოვებდნენ. ერთ საღამოს ისინი კოცონთან ისხდნენ და საუბრობდნენ. უეცრად ცა არაჩვეულებრივად განათდა. მწყემსები შეკრთნენ, მაგრამ ანგელოზმა მაღლიდან ჩამოსძახა: „ნუ გეშინიათ, მე გახარებთ თქვენ დიდ სიხარულს – დავითის ქალაქში იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე – უფალი“. ზეციდან ანგელოზთა გუნდის გალობა გაისმა. მწყემსები გამოქვაბულისკენ გაემართნენ, ნახეს იქ უბრალო სახვევებში გახვეული ჩვილი იესო, „მივიდნენ და თაყვანი სცეს მას“... იმ დროიდან მთელ დედამიწაზე შობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ლამაზი დღესასწაულია დღესასწაულთა შორის.

მუსიკალური განტვირთვა: ვახტანგ კახიძის „ალილო“ ფილმიდან „იავნანა“. მასწავლებელი ამ სიმღერის ფონზე ბავშვებს უკითხავს ქრისტეშობის ამბავს.

ლექსიკონი

„ალილო“ მომდინარეობს ძველებრაული სიტყვიდან „ალილუია“ – „აქებდით უფალსა“.

სიმღერის შესწავლა:
„ალილო“.

ოცდა, ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო, და,
ოჰოჰოი, ჰოი, ალილო. (2-ჯერ)
ეს რომ, ეს რომ მწყემსებმა გაიგეს,
მივიდნენ და თაყვანი სცეს მას,
ოჰოჰოი, ჰოი, ალილო. (2-ჯერ)
არი, არიელი, მარიელი,
ნუ გაგვიშვებთ ცარიელი და,
ოჰოჰოი, ჰოი, ალილო. (2-ჯერ)

ქალაქური ალილო

ზომიერად



გაკვეთილი – 23

„ააშრიალე“ ხელები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

სიმღერების განმეორება: ბავშვები, მასწავლებელთან ერთად, იმეორებენ ნასწავლ სიმღერებს: „მზე შინა,“ „ლალე“, „ტრიალებს ბრუნავს“, „საათი“, „მაი ლამაზი ბაჩაჩები“

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

„ააშრიალე“ ხელები

ეს აქტივობა ქმნის ფოთლების შრიალისა და წვიმის ხმის ასოციაციას. მასწავლებელი სთავაზობს **ვიდეოს**, სადაც ნაჩვენებია, რა ხმოვანებასა და ხმა-ბგერებს ვიღებთ ხელის ხელზე გასმით. სთხოვს ბავშვებს, ყველამ შეასრულოს ეს აქტივობა და შეუწყონ სხვა საგანთა ხმები: ფანქარი, პენალი-ჟღარუნა, სახაზავი, ზარი, მაკრატელი, ტაშის ხმა. ბავშვები ეცნობიან ახალ ხმოვანებას და მსჯელობენ მასზე.

მეთოდური მითითება: I რიგი – „ააშრიალე ხელები“. ამ აქტივობის გაბმულ ფონზე ბავშვები ასრულებენ რიტმულ სავარჯიშოს თავიანთი „საკრავებით“ (ოსტინატო). ბავშვები გადაინაწილებენ მოვალეობებს.



გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს **ვიდეოს** – ლ. ანდერსონის – „**ზუმ-ფარა**“. მასწავლებელი: „მოუსმინე მუსიკას, ამოიცანი მოტივი და დაითვალე რამდენი ბგერისგან შედგება.“ „ზუმფარის“ ტემბრული ხმა შეადარონ აქტივობა „ააშრიალე ხელების“ ხმას. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს: რას გაგონებთ ხელების შრიალის ხმა? როგორია ეს ხმა? რამდენ ხანს ჟღერს? დიდხანს თუ მოკლედ? რა განწყობაზე გაყენებთ ხელების შრიალის ხმა?..

აქტივობა – რიტმული მოთელვა

მეთოდური მითითება: თითქმის ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით, რომელიც რიტმულ სავარჯიშოებზეა დაფუძნებული. ეს აქტივობა განაწყობს ბავშვებს მუსიკის გაკვეთილისათვის. მაგალითად: მასწავლებელი შედის კლასში, იწყებს ტაშის დაკვრას. ტაშით გამოხატავს მარტივ რიტმულ სავარჯიშოს, ბავშვებს სთხოვს აჰყვნენ. თანდათანობით მასწავლებელი ცვლის რიტმულ სურათს და ისინიც ბაძავენ მას. შემდეგ, ცვლის რიტმული სურათის ტემპს, ხან ანელებს ქმედებას, ხან აჩქარებს. შემდგომ გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობა მუსიკის თანხლებითაც შეასრულოს, იქიდან გამომდინარე, თუ რა მუსიკალურ ნაწარმოებს ასმენინებს ამა თუ იმ გაკვეთილზე (სიმღერა, ცეკვა, მარში და ა.შ.). ასე მაგ. ი. შტრაუსის „რადეცკი – მარში“ დაეხმარება მასწავლებელს, სხვადასხვა ქმედებითა და ტაშით აიყოლიოს ბავშვები (ადგილზე სიარული, ტაში, ტაში ზემკლავით და ა.შ.) და გაკვეთილი მეტად აქტიური გახადოს. მასწავლებელს ეძლევა შემოქმედებითი თავისუფლება და შეუძლია ყველა გაკვეთილი დაიწყოს ან დაამთავროს ამგვარი აქტივობით. მასწავლებელს თავად შეუძლია ამოარჩიოს მუსიკალური ნაწარმოები სახელმძღვანელოს აუდიოდისკებიდან და შეასრულოს მოთელვა-განტვირთვა. გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი უკვე სხვა დავალება-ქმედების შესრულებას სთხოვს მოსწავლეებს; I – თვალდახუჭულებმა მოუსმინონ (რელაქსაცია) ან II – მოუსმინონ მუსიკას და თავიანთი განწყობა სხვადასხვა სიმბოლოთი და პიქტოგრამით გამოსახონ რვეულებში.

რიტმული სავარჯიშო 3/4 ზომაში

მასწავლებელი 1-20 გაკვეთილისთვის რიტმულ მოთელვას ასრულებს 3/4 ზომაში



მეთოდური მითითება: სახელმძღვანელოში ნაწარმოებების გამეორება განპირობებულია მეთოდიკით – ნაწარმოების რამდენჯერმე მოსმენით ხდება ცოდნის განმეორება-განმტკიცება.

ფლეიტა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

აქტივობა „ააშრიალე ხელები“

მეთოდური მითითება: I რიგი – „აშრიალებს ხელებს“ (ოსტინატო). ამ გაბმულ ფონზე II და III რიგები ასრულებენ რიტმულ სავარჯიშოს თავიანთი „საკრავებით“.

ბავშვები გადაინაწილებენ მოვალეობებს. ოსტინატოს გაიაზრებენ სმენით.



ფლეიტის ამბავი

– ბავშვებო, ახლა გიამბობთ ერთი საკრავის – ფლეიტის შესახებ. ჩვენ უკვე ვისწავლეთ სიმებიანი საკრავი – ვიოლინო. კიდევ არსებობს ჩასაბერი საკრავები, რომლებიც ჩაბერვით გამოსცემენ ხმას. თქვენ, ალბათ, თავადაც გაგიკეთებიათ მცენარეების ღეროებისაგან პატარა სტვირები – ამგვარ მარტივ საკრავებს ბავშვები თითქმის ყველა ქვეყანაში ამზადებენ.

გახსოვთ მწყემსი ბიჭის სალამური? – ისიც ხომ ჩასაბერი იყო. ფლეიტაც ძალიან ძველი საკრავია. ის დროთა განმავლობაში უფრო დაიხვეწა. ხან ძალიან სევდიანია, ხანაც – მხიარული.

მუსიკალური განტვირთვა:

მასწავლებელი ასმენინებს ი.ს. **ბახის „სკერცოს“ („ხუმრობა“)** – ფლეიტის სოლო. ბავშვები თავიანთ განწყობას გადმოსცემენ გრაფიკული ხაზით ან პიქტოგრამებით.



ფლეიტა

მხიარული ზამთარი

ახალი სიმღერის შესწავლა: „მხიარული ზამთარი“

ტექსტი და მუსიკა
მაია ოთიაშვილის

თოვლი მოდის, თოვლი,
თეთრი თოვლი ციდან.
სათამაშო გვიცინის
ჩვენი ნაძვის ხიდან.

პატარებო, გაიღვიძეთ,
გაახილეთ თვალი,
თოვლით დაფარულა
ჩვენი მთა და ბარი.

ზამთარია, ზამთარი,
გარემო თვალს ხიბლავს,
თოვლის პაპა გვილოცავს
ახალი წლის დილას.

პატარებო, გაიღვიძეთ,
გაახილეთ თვალი,
თოვლით დაფარულა
ჩვენი მთა და ბარი.

მოცემულის სიმღერის ფრაზა, რომელიც ორი მოტივისგან შედგება.



გაიმღერე და დაითვალე რამდენი ბგერისგან შედგება მოტივი

მხიარული ზამთარი

ტექსტი და მუსიკა
მაია ოთიაშვილის

Allegro non troppo

Piano

mf

Canto

mf

თოვ - ლი მო - დის, თოვ - ლი, თეთ - რი თოვ - ლი ცი - დან,

სა - თა - მა - შო გვი - ცი - ნის ჩვე - ნი ნაძ - ვის ხი - დან.

პა - ტა - რე - ბო გა - იღ - ვი - ძეთ, გა - ა - ხი - ლეთ თვა - ლი,



მუსიკალური ლექსიკონი:

მუსიკალური კოლაჟი – coller ფრანგული სიტყვაა და შეწებებას ნიშნავს, ხელოვნებაში კი – განსხვავებული ფორმების, ნაწილებისაგან ახალი მთლიანის შექმნას. მუსიკაში – სხვადასხვა დამოუკიდებელი მოტივებისაგან შედგენილი ახალი მუსიკალური კომპოზიციაა.

მოტივი: იტალიური სიტყვაა – motivo საფუძველს, მამოძრავებელ ძალას ნიშნავს. მუსიკაში კი – მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილს, რომელიც ნათლად გამოხატავს ძირითადი მელოდიის ხასიათსა და განწყობას. უმეტესად მოტივები 1-2 ტაქტისგან შედგება.

ააჟღერე და მოუსმინე საგნებს

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

რიტმული სავარჯიშო:

მეთოდური მითითება: I რიგი – „ააშრიალე ხელები“. ამ აქტივობის გაბმულ ფონზე – (ოსტინატო) ბავშვები ასრულებენ რიტმულ სავარჯიშოს თავიანთი „საკრავებით“. ბავშვები გადაინაწილებენ მოვალეობებს. ოსტინატოს გაიაზრებენ სმენით.



მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს: მოუსმინეთ ამ საგნის ხმებს, ამოიცანით რომელი საგნის ხმა-ბგერა ჟღერს უფრო მოკლედ? დიდხანს? რომელი საგნის ხმა-ბგერაა უფრო მხიარული? სევდიანი? რას მოგაგონებთ „ააშრიალე ხელების“ ხმოვანება? ამ რიტმულ სავარჯიშოს მასწავლებელი რამდენჯერმე ასრულებინებს ბავშვებს, ცვლის რიგებსა და „საკრავებს“.

სიმღერების გამეორება: მასწავლებელი ამზადებს ბავშვებს შობის დღესასწაულისათვის და მღერიან სიმღერებს: **„მხიარული ზამთარი“, „წელო წელო ახალო“, „ალილო“,** „ლალე“, „მზე შინა“, „მაი ლამაზი ბაჩაჩები“, „ტრიალებს ბრუნავს“.

იწყება თამაში-შეჯიბრი **„სოლისტობანა“.** ბავშვები გამოდიან და სათითაოდ ასრულებენ სიმღერებს. ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო კარგად იმღერებს, მასწავლებელი აფასებს მათ ნამღერს.

გუდასტვირი: ამ გაკვეთილზე ბავშვები ეცნობიან კიდევ ერთ ქართულ ხალხურ ჩასაბერ საკრავს – გუდასტვირს. მასწავლებელი აჩვენებს საკრავის ფოტოს ან თავად საკრავს, მარტივად, გასაგები ენით ესაუბრება მის აღნაგობასა და თავისებურებებზე: გუდასტვირი შედგება ტყავის გუდისა და სტვირისაგან. გუდა ჰაერით ივსება და შემსრულებელს ერთდროულად შეუძლია მასზე დაკვრაც და სიმღერაც. მასწავლებელი ასმენინებს „საახალწლო დალოცვას“ გუდასტვირის თანხლებით. ბავშვები ამ ჩანაწერს ერთხელ კიდევ მოისმენენ შობის დღესასწაულზე.

მუსიკალური განტვირთვა: „საახალწლო დალოცვა“ გუდასტვირზე.

რაჭული გუდასტვირი

შობის დღესასწაული

შემაჯამებელი გაკვეთილი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;

შობის დღესასწაულისათვის საკლასო ოთახი ან დარბაზი მორთულია ფერადი ბუშტებითა და წვიმებით; კედლებზე ბავშვების ნახატებია გამოფენილი. სასურველია, დღესასწაული კოსტიუმირებული იყოს.

შობის დღესასწაულის სცენარს მასწავლებელი ირჩევს. უმჯობესია, სცენარი აიგოს შესწავლილი ზღაპრების სიუჟეტებით: **„მწყემსი ბიჭის სალამური“, „ალილო“.** შეგიძლიათ შობის დღესასწაულისათვის, სურვილისამებრ, აირჩიოთ ზღაპარი და შეადგინოთ სცენარი. ამ დღესასწაულზე ბავშვები ასრულებენ ნასწავლ სიმღერებს: **„ლალე“, „მზე შინა“, „მაი ლამაზი ბაჩაჩები“, „ტრიალებს ბრუნავს“, „საათი“, „ალილო“, „წელო წელო ახალო“, „მხიარული ზამთარი“.** შემოგვყავს პერსონაჟები: პატარა დირიჟორი, პითაგორა ბიჭუნა, მწყემსი ბიჭი, ფერიები, თოვლის ბაბუა, მეკვლე, „მხიარული ნოტები“...

შესაძლებელია, პერსონაჟებს თავიანთი „მუსიკალური პორტრეტებიც“ ჰქონდეთ – სიმღერით ან სხვა მუსიკალური ნომრით: გუდასტვირის ჩანაწერი – თოვლის ბაბუასათვის, ფერია დრაჟეს ცეკვა – ახალი წლის ღამის ფერიებისათვის, „ალილო“ – მეალილოე ბავშვებისათვის, სალამურის ფრაგმენტი – მწყემსი ბიჭისათვის, „მრავალჟამიერი“ – მეკვლე-ახალწლისათვის, „წიკო წიკო“ და ა. შ.

აგრეთვე მასწავლებელს შეუძლია შობის დღესასწაული მუსიკალურად გააფორმოს სხვა ნაწარმოებებითაც: ი. შტრაუსი – რადეცკი მარში, პ. ჩაიკოვსკი – ვალსი ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“, ზ. ფალიაშვილი – „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „დაისი“, ს. ცინცაძე – საკვარტეტო მინიატურა „სოფლური ცეკვა“, ვ.ა. მოცარტი – „ღამის პატარა სერენადა“ პირველი ნაწილი, ვ. კახიძე – „ალილო“ ფილმიდან „იავნანა“, ი.ს. ბახის – „სკერცო“, ლ. ანდერსონის – „Sleigh Ride“ (მარხილით სრიალი).

შობის დღესასწაულზე, ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი „დასარტყამი საკრავების ორკესტრი“ და მათი მხიარული ხმოვანებით გაახალისონ სპექტაკლი.

მასწავლებელს ეძლევა თავისუფლება შემოქმედებითად ჩაატაროს დღესასწაული.

„დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“

სათამაშო მაკრატელი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;

როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს?

ააჟღერე და მოუსმინე საგნებს – სათამაშო მაკრატელი

მასწავლებელს კლასში შემოაქვს სამი ზომის მაკრატელი: დიდი, საშუალო და პატარა. სათითაოდ „აჟღერებს“ მათ და სთხოვს ბავშვებს, ისაუბრონ ამ საგნების ხმა-ბგერებზე და დაახასიათონ თითოეული მაკრატლის ხმა-ბგერის ხასიათი და განწყობა: როგორ ხმას გამოსცემს დიდი მაკრატელი? საშუალო? პატარა? რა განსხვავებაა მათ შორის?



მასწავლებელი სხვადასხვა ზომის მაკრატელს გაუნაწილებს 3 ბავშვს და ისინი მაკრატლების დახმარებით ასრულებენ ამ სავარჯიშოს. შემდეგ აჰყვება მთელი კლასი: I რიგი – ფანქრის კაკუნით; II – პლასტმასის ჭიქები, III – მუხლებზე ხელების დარტყმით. ასე, ერთობლივად შეასრულებენ ამ პატარა რიტმულ სავარჯიშოს თავიანთი **„დასარტყამი საკრავების ორკესტრით“.**

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 3: პროგრამის გრაფაში მოცემულია მაკრატლის, ჭიქის და კოვზის ხმები. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ ეს ხმა-ბგერები, ააჟღერონ და „ითამაშონ“ ამ ხმებით. შეუნაცვლონ ადგილები სურვილისამებრ და შექმნან სხვადასხვა პატარა მუსიკალური „კომპოზიციები“. ამ ქმედებაში მათ დაეხმარება მასწავლებელი.



LMMS-ის გრაფა, სადაც ტრეკებია მოცემული

მაკნატუნა



რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;

მეთოდური მითითება: მასწავლებელი მუსიკის ფონზე უკითხავს ბავშვებს საშობაო ზღაპარს. როდესაც ბავშვები კარგად გაეცნობიან ამ ზღაპარს, მასწავლებელი სთხოვს თავად გააფორმონ ზღაპარი საკუთარი ხმითა და სხვადასხვა საგნების აჟღერებით. მაგ.: თაგვების ლაშქრის შემოჭრა გამოხატონ გარკვეული ხმაურით, გამარჯვება – სიხარულის გამომხატველი ემოციებით, გაახმოვანონ თხილის სატეხი მაკნატუნა...

პ. ჩაიკოვსკი – „ფერია დრაჟეს ცეკვა“ ბალეტიდან „მაკნატუნა“. ამ მუსიკის ფონზე მასწავლებელი ყვება ზღაპარს.

საშობაო ზღაპარი

იყო და არა იყო რა... ერთ ლამაზ ქალაქში შტალბაუმების ბედნიერი ოჯახი ცხოვრობდა. მათთან ხშირად იკრიბებოდნენ მეგობრები. მათთვის შობა განსაკუთრებული დღესასწაული იყო.

დადგა ზამთარი და მალე შობის დღესასწაულიც მოვიდა... პატარა მარისა და ფრიცის ოჯახშიც საშობაოდ ემზადებოდნენ: თანდათან მოდიოდნენ სტუმრები და ბავშვებისათვის ნაირნაირი საჩუქრები მოჰქონდათ. ნათლიამ მარის თოჯინები და სასაცილო არსება – ჯარისკაცის სამოსიანი თხილის სატეხი – „მაკნატუნა“ აჩუქა. მარი ძალიან გაახარა ამ უცნაურმა საჩუქარმა და წუთითაც არ იშორებდა.

დაღამდა... ოთახი მთვარის შუქმა გაანათა. მარის ნაძვის ხესთან ჩაეძინა და დაესიზმრა: ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ, ზღაპრულ ნაძვის ხესთან იდგა. თავისი სათამაშოებიც გაზრდილიყვნენ, გაცოცხლებულიყვნენ და აქ მოსულიყვნენ. მაკნატუნაც მარის თვალწინ მშვენიერ უფლისწულად გადაიქცა... თოვლის ფიფქების ფერხულში ვარსკვლავები, თოჯინები, ფერიები ჩაბმულიყვნენ... უეცრად თაგვების ლაშქარი შემოიჭრა. უფლისწულმა იოლად დაამარცხა ისინი. მარისა და უფლისწულს, სხვებთან ერთად, ფერია დრაჟემაც მიულოცა გამარჯვება.

გოგონამ ამ საოცნებო სამეფოში შობის მთელი ღამე გაატარა... დილით მარის გაეღვიძა და თავის თოჯინებს მიუალერსა.

სცენა ბალეტიდან „მაკნატუნა“

მეთოდური მითითება: „მაკნატუნას“ ზღაპრის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს მარტივად, გასაგებად უხსნის **ბალეტის რაობას**.

რუსმა კომპოზიტორმა პეტრე ჩაიკოვსკიმ ამ ზღაპრის მიხედვით მუსიკა დაწერა. ზღაპრის მოქმედი გმირები მის შინაარსს ცეკვით გადმოსცემენ და ასეთ წარმოდგენას ბალეტი ეწოდება. ბალეტის მოცეკვავე გოგონებს „ბალერინები“ ჰქვიათ. ბალეტისათვის მხატვარი ხატავს და ამზადებს სცენას (დეკორაციებს), იკერება ფერად-ფერადი კოსტიუმები (ტანსაცმელი პერსონაჟებისთვის), ორკესტრი, დირიჟორის ხელმძღვანელობით, ასრულებს კომპოზიტორის მიერ შექმნილ მუსიკას...

პირველ გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს **ვიდეოს** ბალეტიდან „მაკნატუნა“ - ყვავილების ვალსი.

მეორე გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს **ვიდეოს,** სადაც წყლიანი ჭიქებზე უკრავენ ფერია დრაჟეს ცეკვას.

მუსიკალური განტვირთვა: მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ფურცლებს, სადაც „დაშლილი მაკნატუნაა“ დახატული. მუსიკის ფონზე – **პ. ჩაიკოვსკი. „პატარა მწყემსების ცეკვა“** ბალეტიდან **„მაკნატუნა“** – ბავშვები ჭრიან, აწყობენ მაკნატუნას და ფურცელზე აწებებენ.



ინფორმაციისათვის

ბალეტი მუსიკალურ-დრამატული ხელოვნების ჟანრია, რომელშიც გაერთიანებულია ლიტერატურა (სიუჟეტური პირველწყარო), მხატვრობა, სცენოგრაფია და, რაც მთავარია, მუსიკა და ცეკვა. ბალეტის გმირები თავიანთ განცდებსა და ქმედებებს მუსიკისა და ცეკვის საშუალებით გამოხატავენ. „მაკნატუნა“ რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკის ბალეტია. მას საფუძვლად დაედო გერმანელი მწერლის ერნსტ ჰოფმანის ზღაპარი თხილის სატეხ პატარა თოჯინა-ჯარისკაცზე. ზღაპრის თემაზეა შექმნილი ჩაიკოვსკის სხვა ბალეტები: „მძინარე მზეთუნახავი“, „გედის ტბა“.

განასხვავე საგნების ხმა-ბგერები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;

რიტმული სავარჯიშო

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ჩამოთვალონ ის საგნები, რომლებიც უკვე „ააჟღერეს“: ფანქარი, პენალი-ჟღარუნა, პლასტმასის ჭიქები, სავარცხელი, სახაზავი, მაკრატელი, საშლელი... მოუსმინე და განასხვავე საგნის ხმა-ბგერები ერთმანეთისგან. ამოიცანი, რომელ ხმას როგორი ტემბრი აქვს? რომელი უფრო დიდხანს ისმის? რომლის გრძლიობაა უფრო მოკლე? რომელს უფრო მაღალი ან დაბალი ხმა აქვს?

ბავშვები „აჟღერებენ“ საგნებს და ადარებენ ერთმანეთს:
ფანქარსა და საშლელს; ორივეს აკაკუნებენ მერხზე.
ტაშსა და პლასტმასის ჭიქებს.
სახაზავსა და პენალ-ჟღარუნას.
ხის კოვზებსა და ლითონის კოვზებს; ერთმანეთს შემოჰკრავენ.
ხელების „შრიალსა“ და წიგნის ფურცლების შრიალს.

მასწავლებელი ერთხელ კიდევ ახსენებს ტემბრის რაობას. **ტემბრი** ეწოდება ბგერის ხარისხობრივ მხარეს, მის ელფერს. ტემბრის განსაზღვრისათვის იყენებენ სიტყვებს: რბილი ბგერა, მკვეთრი, მსუყე, წკრიალა, მღერადი ბგერა და სხვა. ყოველ საგანს, საკრავს და ადამიანის ხმას მისთვის დამახასიათებელი ტემბრი გააჩნია. ბგერას ოთხი თვისება აქვს: **სიმაღლე, სიძლიერე, ტემბრი** და **გრძლიობა**.

მასწავლებელი აჩვენებს **ვიდეოს ლ. ანდერსონის „საბეჭდი მანქანა“.** მოუსმინე მუსიკას, კაკუნით აყევი საბეჭდი მანქანის რიტმს.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი

აქტივობა 4: მეორე გაკვეთილისათვის ვიმეორებთ **აქტივობა №2:** ქვაბი, ქვაბის თავსახური, რკინის კოვზი, ხის კოვზი, თეფში, ჭიქა, მაკრატელი და წიგნის შრიალი. ბავშვები აჟღერებენ ამ ხმებს, ამოიცნობენ რომელი ხმა რომელ საგანს ეკუთვნის, „თამაშობენ“, უცვლიან ხმებს ადგილს და ქმნიან მუსიკალურ კოლაჟებს მასწავლებელი კითხვებით ამოწურავს მათ მოსაზრებებსა და განწყობას.

აი ია

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;

ია გოგო

„აი ია“ – ახალი ინტონაციური სავარჯიშო:

– ბავშვებო, თქვენ უკვე მრავალი ასო-ბგერა ისწავლეთ, მაგრამ გაიხსენეთ, რა ისწავლეთ სულ პირველად?

– „ა“ და „ი“!

– ახლა ვცადოთ, ავამღეროთ „აი ია“!

ბავშვები, მასწავლებელთან ერთად, რამდენჯერმე მღერიან ახალ სავარჯიშოს.

– ბავშვებო, ეს პატარა სიმღერა ია გოგოზეა, მისი **ლაიტმოტივია**. ეს მოტივი ია გოგოს მუსიკალური სახეა – სადაც იგი გაიჟღერებს, ია გოგოც იქ არის.

თქვენც მოიფიქრეთ თქვენს მეგობრებზე პატარა მელოდიები...



მასწავლებელი ბავშვებს აცნობს პატარა დირიჟორის მუსიკალურ თემას, ეს არის ვ.ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“ I ნაწილის მთავარი თემა და კიდევ ერთხელ აჩვენებს ვიდეოს, სადაც პატარა ბიჭი დირიჟორობს ამ ნაწარმოებს. ბავშვები უსმენენ ამ მელოდიას და მღერიან. სადაც ეს მუსიკალური თემა გაიჟღერებს, პატარა დირიჟორიც იქ არის.

ვ.ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“ მთავარი თემა



მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გაიმღერონ ეს მუსიკალური თემები და დაითვალონ რამდენი ბგერისაგან შედგება. არის თუ არა მელოდიაში ნახტომები? როგორი ხასიათისაა ეს თემები? შეესაბამება ამ გმირებს ეს მოტივები?

მუსიკალური ლექსიკონი

ლაიტმოტივი – მუსიკალური თემა, რომელიც ახასიათებს რომელიმე გმირს, პერსონაჟს, ან რაიმე მოვლენას.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 5: მასწავლებელი ბავშვებს მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ში ასმენინებს სხვადასხვა საგნის ხმებს: ქვაბის თავსახური, რკინის კოვზი, ჭიქა. ბავშვები აჟღერებენ ამ ხმებს, ამოიცნობენ რომელი ხმა რომელ საგანს ეკუთვნის, ითვლიან რამდენჯერ ჟღერს თითოეული საგნის ხმა, „თამაშობენ“, უცვლიან ხმებს ადგილს და ქმნიან მუსიკალურ კოლაჟებს. მასწავლებელი კითხვებით ამოწურავს მათ მოსაზრებებსა და განწყობას.

ჩემი ხატია სამშობლო

სიმღერის შესწავლა – საქართველოს ჰიმნი. მასწავლებელი განუმარტავს ბავშვებს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი გერბი, დროშა და ჰიმნი.



მასწავლებელი:
– რამდენი ფერი აქვს საქართველოს დროშას?
– რამდენი ჯვარია დროშაზე?

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდანაა“, ჰიმნად კი დაამუშავა კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემ. მასწავლებელი ბავშვებს შეახსენებს, რომ მათ უკვე მოისმინეს ზაქარია ფალიაშვილის ცეკვა „ქართული“ ამ ოპერიდან.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის (ამოდის)
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება. (და)
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბავშვები ბაღის ასაკიდანვე ხალისით სწავლობენ და მღერიან ჰიმნს. გაკვეთილებზე ბავშვებს ხშირად ვეკითხებით:
– რა ჰქვია ჩვენს სამშობლოს?
– ჩემი ხატია! ჩემი ხატია!
– საქართველო! საქართველო! – იძახიან აღტაცებით.

მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ფურცლებს, სადაც საქართველოს დროშის კონტურია გამოსახული. ბავშვები აჰყვებიან ჰიმნის ჩანაწერს და აფერადებენ დროშას.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამაზე მღერიან საქართველოს ჰიმნს.

ინფორმაციისათვის

ზაქარია ფალიაშვილი (1871-1933) მელიტონ ბალანჩივაძესთან, დიმიტრი არაყიშვილთან, ვიქტორ დოლიძესთან ერთად ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებელია. მან საქართველოს მრავალი კუთხე მოიარა, უამრავი ხალხური სიმღერა ჩაიწერა და თავის ოპერებშიც („აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“) გამოიყენა.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი
„თავისუფლება“

მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ტექსტი დათო მაღრაძის



ცის - კრის ვარ - სკვლა - ვი ა - მო - დის, ა - მო - დის და ორ ზღვას შუ - ა ბრწყინ-

დე - ბა და დი - დე - ბა თა - ვი - სუ - ფლე - ბას, თა - ვი - სუფ -

ლე - ბას დი - დე - ბა!

იავნანა თუ არაბული ცეკვა?

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;

მეთოდური მითითება: მასწავლებელი მუსიკის ფონზე – ჯ. კახიძის სიმღერა „იავნანა“ კინოფილმიდან „იავნანამ რა ჰქმნა“ – უკითხავს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა“. მეორედ წაკითხვისას, ბავშვები თავად ახმოვანებენ მოთხრობას ხმით, ხმაურით, ემოციებით, სიმღერით და „დასარტყამი საკრავებით“.

იავნანამ რა ჰქმნა?



– ბავშვებო, რა ჰქვია სიმღერას, რომელსაც დედა ბავშვს უმღერის დაძინებისას?

– „ნანა“, „იავნანა“.

– აი, რას გვიამბობს „დედა ენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილი:

... კახეთის ლამაზ სოფელ ვაშლოვანში, ტყის პირას, მშვენიერ ორსართულიან სასახლეში ცხოვრობდა სიმდიდრითა და პურადობით განთქმული ახალგაზრდა თავადი ზურაბ ქართველაძე. ზურაბის ცოლს, მაგდანს, საოცარი ხმა ჰქონდა და ისეთი ლამაზი სიმღერა იცოდა, ერთხელ თუ მოისმენდი, აღარასოდეს დაგავიწყდებოდა.

ზურაბისა და მაგდანის სამი წლის ქალიშვილს, ლამაზ, ქეთოს ძალიან უყვარდა დედის სიმღერა და ხშირად ამღერებდა...

ქეთოს სოფლის გადაღმა დაღესტანი მდებარეობდა. დაღესტანში ლეკები ცხოვრობდნენ. ერთ დღეს, ტყის პირას სეირნობისას, ქეთო პატარა ლამაზ ჩიტს გამოედევნა და ტყეში შორს შევიდა. უცებ საიდანღაც გაჩნდა ორი ლეკი, სტაცეს ხელი ბავშვს და გაიტაცეს. ლეკებმა ქეთო დაღესტნის ერთ სოფელში უშვილო თავადს და მის ცოლს მიჰყიდეს. ზურაბმა და მაგდანმა დიდხანს ეძებეს ერთადერთი შვილი, მაგრამ ქეთოს კვალს ვერსად მიაგნეს... ახალმა დედობილ-მამობილმა მალევე მოიგეს ქეთოს გული და მასაც თანდათან გადაავიწყდა წარსული, მშობლები, ქართული, ყველაზე ბოლოს კი დედის სიმღერა.

გამოხდა ხანი. ზურაბმა შვილის ადგილსამყოფელი შეიტყო, მოიტაცა და შინ დააბრუნა, მაგრამ ქეთოცა და მშობლებიც დიდ განსაცდელში ჩაცვივდნენ: ვერც დედის ალერსმა, ვერც სახლ-კარმა, ვერც ბავშვობის სათამაშოებმა გაახსენეს თავისი ნამდვილი ვინაობა, დაღესტანი ენატრებოდა და დღედაღამ ტიროდა...

ერთხელ მაისის „მშვენიერმა დილამ კარგ გუნებაზე მოიყვანა მაგდანი და მან, სრულიად უნებურად, თავისთვის დაიწყო იავნანის ღიღინი. რაც ქეთო დაკარგა, მას შემდეგ მაგდანის სიმღერის ხმა აღარავის გაუგონია... იავნანას მაგდანი ჯერ დაბალი ხმით, ღიღინით ამბობდა, მერე კი თავისებურად დაამღერა... მაგდანის ხმამ ქეთო შესძრა, ქეთოს სახე სიხარულით აუელვარდა. „უცებ წამოვარდა ქეთო ტახტიდან, დაიძახა სანატრელი ხმით: „დედავ!“ მივარდა მაგდანთან, მოეხვია ორივე ხელით და დაუწყო კოცნა. დედასა და შვილს თქრიალით მოსდიოდათ ცრემლი, ზურაბმაც შემოაღო კარი. ქეთო მიეგება შემოსულს, დაიძახა: „მამა!“ და მოეხვია...“ ირგვლივ ყველა გახარებული იყო ზურაბისა და მაგდანის ბედნიერებით.

სიმღერის შესწავლა: ქართული ხალხური სიმღერა „იავნანა”. მასწავლებელი ასმენინებს გოგებაშვილის „დედა ენაში“ ჩართულ „იავნანას“ ტრადიციულ მელოდიას.

იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
დაიძინე, გენაცვალე, შენ პაწაწინაო,
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო...



თამაში „იავნანა“: სიმღერის ინტონაციის კარგად გათავისების შემდეგ, იწყება თამაში: ვინ უკეთ იმღერებს და ვინ უფრო მალე „დააძინებს“ კლასს. პატარები სათითაოდ გამოდიან და კლასის „დასაძინებლად“ მღერიან.

ამბავი ნახატებით



მეთოდური მითითება: მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ნახატებს და სთხოვს ხმითა და სხვადასხვა საგნის ხმებით გაახმოვანონ ეს პატარა ამბავი. I – ია-გოგო უმღერის ნანას ბავშვს, II – ბავშვი ტირის, III – დედა უმღერის იავნანას და ბავშვი იძინებს.

მუსიკალური განტვირთვა:

იავნანა თუ არაბული ცეკვა? მასწავლებელი განმარტავს, რომ „იავნანას“ მელოდია რუსმა კომპოზიტორმა **პ. ჩაიკოვსკიმ ბალეტ „მაკნატუნაში“** გამოიყენა და მას „არაბული ცეკვა“ უწოდა. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ასმენინებს „მაკნატუნადან“ **„არაბულ ცეკვას“**. ბავშვები ამოიცნობენ ნაცნობ მოტივს – „იავნანას“.

ინფორმაციისათვის

იაკობ გოგებაშვილი ბავშვის სრულყოფილ აღზრდაში ხალხურ სიმღერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი სიმღერები თავის მეგობარ მუსიკოსებს – ზაქარია ჩხიკვაძეს, ია კარგარეთელს, დიმიტრი არაყიშვილს – ნოტებზე ჩააწერინა და „დედა ენას“ დაურთო: „იავნანა“, „მუმლი მუხასა“, „სერზე მიდის სამი მგელი“, „კურდღელი ჩამოცანცალდა“, „ჩარირამა“, „ბუბა ქაქუჩელა“, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“... ამით მან, პრაქტიკულად, განამტკიცა ის აზრი, რომ ბავშვები დედა ენასთან ერთად მშობლიურ მუსიკალურ ინტონაციასაც უნდა ეზიარონ.

ორი რეზო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში;

რიტმული სავარჯიშო

მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს **ვიდეოს ბურთებზე.** ვიდეოზე ჩანს, თუ რა ხმა-ხმაური შეიძლება მივიღოთ ბურთის მოძრაობით.

ახალი სიმღერის შესწავლა: საბავშვო სიმღერა „ორი რეზო“.

ერთ პატარა ეზოს ჰყავდა ორი რეზო
და ორივე ერთად ექვსი წლის.
დადიოდნენ ერთად, თამაშობდნენ ერთად
და არ ჰქონდათ დარდი არაფრის.
და ერთი რეზო, და ორი რეზო,
ორივე ერთად ექვსი წლის.
და ერთი რეზო, და ორი რეზო,
ორივე ერთად ექვსი წლის.



დადიოდნენ ერთად, თამაშობდნენ ერთად
და არ ჰქონდათ დარდი არაფრის.
ერთ პატარა ეზოს ჰყავდა ორი რეზო
და ორივე ერთად ექვსი წლის.
და ერთი რეზო, და ორი რეზო,
ორივე ერთად ექვსი წლის.
და ერთი რეზო, და ორი რეზო,
ორივე ერთად ექვსი წლის.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები „მინუს“ ფონოგრამაზე მღერიან სიმღერას **„ორი რეზო“.** მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს ასმენინებს **ი. ბრამსის „უნგრულ ცეკვას“.** მოსმენისას ბავშვები თამაშობენ – „დირიჟორობენ“.

ორი რეზო

ტექსტი და მუსიკა
ბ. გელოვანის



შემაჯამებელი გაკვეთილი

როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები

ხმების ამოცნობა და გამღერება – 1

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

საკლასო ოთახში მასწავლებელს შემოაქვს რკინის კოვზი და ორი ჭიქა: ერთი – დიდი, მეორე – პატარა. რკინის კოვზს პირველად დაჰკრავს მაგიდას, შემდეგ – დიდ და პატარა ჭიქებს. ნიმუშს 3/4-ზე იმეორებს რამდენჯერმე, რომ ბავშვებმა კარგად აღიქვან და დაიმახსოვრონ, შემდეგ სთხოვს მათ, აჰყვნენ ზოგი ტაშით, ზოგი – ფანქრით, ზოგიც – ჟღარუნა პენალით.

როდესაც ბავშვები უკვე გაითავისებენ ამ რიტმულ სავარჯიშოს, მასწავლებელი სთხოვს მათ, ხმით აჰყვნენ და გამოხატონ ეს პატარა „მოტივი“. მაგ.: „ტა-ტა-ტა“ – 3/4 ზომაზე. მასწავლებელი აგრძელებს ხის კოვზითა და ჭიქებით სავარჯიშოს; ბავშვები ჰყვებიან ხმით, ფანქრის კაკუნით, პენალი-ჟღარუნათი, ტაშით, მაკრატლით. რიგების მიხედვით გადაინაწილონ საგნები: I რიგი – ტაში; II რიგი – პენალი-ჟღარუნა; III რიგი – მაკრატელი ან ფანქარი და ყველა ერთად ჰყვება ხმითაც. ასე ერთობლივად, გუნდურად შეასრულებენ პატარა მოტივ-სავარჯიშოს, რაც ბავშვებში აღძრავს ანსამბლურობის შეგრძნებას. ასეთი სავარჯიშო მოტივი შეიძლება შევასრულოთ სიმღერებით, რომლებიც 3/4 ზომაშია დაწერილი. მაგ. „ჭრელო პეპელა“, „ჟუჟუნა წვიმა“ და პატარა მოტივის ნაცვლად რიტმულ სავარჯიშოს შეუთანხმებენ სიმღერას. ამგვარად, ბავშვები თავიანთ ნამღერს თავადვე უკეთებენ თანხლებას. სიმღერისას მასწავლებელი ყურადღებას უმახვილებს მელოდიის ძლიერ და სუსტ დროებზე, გამოყოფს ძლიერ დროს მახვილით. ეს თამაში-სავარჯიშო ბავშვებს უვითარებს სმენას, რიტმს, მეხსიერებას, ყურადღებას და ეხმარება სამწილადობის უკეთ გაცნობიერებაში.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი

აქტივობა 6: ეს აქტივობა არის რიტმული სავარჯიშო, რომლის ნიმუშიც აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში. რკინის კოვზი და ჭიქა ქმნის ერთგვარ რითმულ სურათს. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ, რომელი საგნები ჟღერს, ასევე დაალაგონ ეს ტრეკები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს ვალსის ტემპი. ააჟღერონ და აუწყონ ტაში.

ჭრელო პეპელა

პეპელა – ბუნების ულამაზესი ქმნილება, ზღაპრული ქვეყნის ბინადარი. ჩვენთან მოფრინდება, იფრენს, იფრენს, მოივლის ველ-მინდვრებს, მდელოებს, დაეწაფება ყვავილის ნექტარს და მალე ისევ ზღაპრულ ქვეყანაში ბრუნდება... ბავშვებს ძალიან უყვართ პეპლები: ვის არ გაუკეთებია ზაფხულში პეპლების საჭერი, დასდევნებია, დაუჭერია, მოფერებია და ისევ გაუშვია!..

პეპელასთვის მრავალ პოეტს მიუძღვნია ლექსი და მასზე მრავალი ლამაზი სიმღერა შექმნილა.

მასწავლებელი უკითხავს აკაკი წერეთლის ლექსს **„ყმაწვილი და პეპელა“:**

ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იამა.
ალერსით უთხრა პეპელას:
„თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არ გღალავს მთელი დღე
მოუსვენარი ფრენაო?”
პეპელამ უთხრა: „მინდორში
ვცხოვრობ მე უზრუნველადო,
იქ ყვავილები გაშლილა
ჩემ საზრდოდ, საწუწვნელადო.
რაც დღე მაქვს, ტკბილად ვატარებ,
ჩემს ნებაზედაც დავფრენო,
მაგრამ დღე-გრძელი არა ვარ,
გამიშვი, ნუღარ მაცდენო.”
ყმაწვილმა ხელი გაუშვა,
გაფრინდა ნაზი პეპელა
და თითქო ნიშნად მადლობის,
თავს ევლებოდა ნელ-ნელა.

ქართული ხალხური საბავშვო სიმღერა **„ჭრელო პეპელა“**:



ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა, დელიავ რანუნი.
დელიავ რანუნი, დელიავ რანუნი, დელიავ რანუნი.
ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები, დელიავ რანუნი.
დელიავ რანუნი, დელია რანუნი, დელიავ რანუნი.
წვიმა მოგისწრებს, დამისველდები, დელიავ რანუნი.
დელიავ რანუნი, დელიავ რანუნი, დელიავ რანუნი.

მეთოდური მითითება: მასწავლებელი განმარტავს, რომ „ჭრელო პეპელა“ თავისი რიტმით **ცეკვა-ვალსია**. სიმღერის შესწავლის შემდეგ იწყება რიტმული თამაში: ბავშვები მღერიან „ჭრელო პეპელას“ და აყოლებენ „დასარტყამ საკრავებს“. თავიანთ ნამღერს უკეთებენ თანხლებას. მასწავლებელს შეუძლია თვითონ მოიფიქროს მსგავსი სავარჯიშოები სხვადასხვა საგნის გამოყენებით და შესთავაზოს ბავშვებს. ასეთი აქტივობები ეხმარება მასწავლებელს ახლის შეცნობასა და გააზრებაში, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების დახვეწა-განვითარებაში, რაც ასე მკაფიოდაა მოცემული ახალ სტანდარტში.

შენიშვნა: „ჭრელო პეპელა“ და „ჟუჟუნა წვიმა“ ორი პატარა მოციმციმე მარგალიტებია ქართულ მუსიკალურ სივრცეში. ჩვენი სურვილია, ეს პატარა შედევრები არ მიეცეს დავიწყებას.

მუსიკალური განტვირთვა: პ. ჩაიკოვსკი. ვალსი ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“. ბავშვები ცეკვავენ.

ჩემი ლამაზი პეპელა

ახალი სიმღერის შესწავლა: „ჩემი ლამაზი პეპელა“.

ჩემი ლამაზი პეპელა
დაათრო ლურჯმა იამა,
მოსწყდა ყვავილს და უმალვე
შორს გაიტაცა ნიავმა.

მისამღერი:
ნიავმა, ნიავმა, ნიავმა,
შორს გაიტაცა ნიავმა.
ნიავმა, ნიავმა, ნიავმა,
შორს გაიტაცა ნიავმა.

გაფრინდა, აღარ მოფრინდა,
ნეტავ, ვიცოდე, სად არის,
ვეძებ, ვეღარსად ვიპოვე
პეპელა მისი სადარი.

მისამღერი:
პეპელა, პეპელა, პეპელა,
პეპელა მისი სადარი.
პეპელა, პეპელა, პეპელა,
პეპელა მისი სადარი.

მეთოდური მითითება: მასწავლებელი მიუთითებს, რომ ეს სიმღერაც **„ვალსია”**. ცეკვა ვალსი წყვილთა გრაციოზული, რომანტიკული ხასიათის სამეჯლისო ცეკვაა 3/4 ზომაში. ბავშვები, მასწავლებელთან ერთად, აჰყვებიან სიმღერის „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამას. ამ სიმღერის დასაწყის მოტივს ბავშვები გაიმღერებენ და დაითვლიან რამდენი ბგერისაგან შედგება ის.

ჩემი ლამაზი პეპელა

მუსიკა მაია ოთიაშვილის
ტექსტი ა. შენგელიასი





ბავშვები უყურებენ **ვიდეოს „ჩემი ლამაზი პეპელა“**, სტუდია **„ბასტი-ბუბუს“** შესრულებით.

ხმების ამოცნობა და გამღერება – 2

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

რიტმული სავარჯიშო

საკლასო ოთახში მასწავლებელს შემოაქვს რკინის კოვზი და ორი ჭიქა: ერთი – დიდი, მეორე – პატარა. რკინის კოვზს პირველად დაჰკრავს მაგიდას, შემდეგ – დიდ და პატარა ჭიქებს. ნიმუშს 3/4-ზე იმეორებს რამდენჯერმე, რომ ბავშვებმა კარგად აღიქვან და დაიმახსოვრონ და სთხოვს მათ, აჰყვნენ ზოგი ტაშით, ზოგი – ფანქრით, ზოგიც – ჟღარუნა პენალით.

როდესაც ბავშვები უკვე გაითავისებენ ამ რიტმულ სავარჯიშოს, მასწავლებელი სთხოვს აყვნენ სიმღერით, **„ჭრელო პეპელა“.** მასწავლებელი აგრძელებს ხის კოვზითა და ჭიქებით სავარჯიშოს; ბავშვები ჰყვებიან ხმით, ფანქრის კაკუნით, პენალი-ჟღარუნათი, ტაშით, მაკრატლით. რიგების მიხედვით გადაინაწილებენ საგნებს, ასე ერთობლივად, გუნდურად შეასრულებენ პატარა მოტივ-სავარჯიშოს, რაც ბავშვებში აღძრავს ანსამბლურობის შეგრძნებას. შემდგომ რიტმულ სავარჯიშოს შეუთანხმებენ ახალ სიმღერას **„ჟუჟუნა წვიმა“.** ამგვარად, ბავშვები თავიანთ ნამღერს თავადვე უკეთებენ თანხლებას. სიმღერისას მასწავლებელი ყურადღებას უმახვილებს მელოდიის ძლიერ და სუსტ დროებზე, გამოყოფს ძლიერ დროს მახვილით.

ეს თამაში-სავარჯიშო ბავშვებს უვითარებს სმენას, რიტმს, მეხსიერებას, ყურადღებას და ეხმარება სამწილადობის უკეთ გაცნობიერებაში.

ჟუჟუნა წვიმა

„ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა,
დანამა, დანამა, დანამა,
დიდი მინდორი დანამა.“

ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას,
გული გაუპოს დანამა,
დანამა, დანამა, დანამა,
გული გაუპოს დანამა.“

ჟუჟუნა წვიმა

ხალხური



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი

აქტივობა 7: ეს აქტივობა არის რიტმული სავარჯიშო, რომლის ნიმუშიც აუდიო ფაილის სახითაა მოცემული ამავე აქტივობის ფოლდერში. რკინის კოვზი და მაკრატელი ქმნის ერთგვარ რიტმულ სურათს. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ რომელი საგნები ჟღერს, ასევე დაალაგონ ეს ტრეკები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს ვალსის რიტმი. ააჟღერონ და აუწყონ ტაში.

ხმაბაძვითი სიტყვები

აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ხმაბაძვითი სიტყვების გამოყენებით შეთხზან მარტივი მოტივი და გაიმღერონ. მასწავლებელი თავად აწვდის ნიმუშს: „დელი-დელა“, „ოდელია-დელა“, „ტა-ტა-ტა“, „ორერო-რერო“, „ჰეი-და, ჰეი-და“, „ტამ-ტამ-ტამ“, „დივლი დალა ლალე“.... მასწავლებელი აფასებს მათ შემოქმედებას. სათითაოდ გამოჰყავს ბავშვები, რომლებიც ასრულებენ თავიანთ „სიმღერას“, ბავშვების სიმღერას აჰყვება მთელი კლასი „დასარტყამი საკრავებით“.

ბეთჰოვენი

რესურსი: აუდიო და ვიდეომასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

რიტმული სავარჯიშო

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი

აქტივობა 8: ეს აქტივობა არის რიტმული სავარჯიშო, რომლის ნიმუშიც აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში. ქვაბის თავსახური, რკინის კოვზი და თეფში – ამ საგნების დახმარებით ვქმნით ერთგვარ რიტმულ სურათს. დაალაგეთ ეს საგნები სხვადასხვა თანმიმდევრობით. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ, რომელი საგანი რამდენჯერ ჟღერს და დაასახელონ ისინი.

2

3

1

ბეთჰოვენი

– გახსოვთ, პატარა ამადეუსი, შვიდი წლისა კონცერტებს რომ მართავდა? ასევე ბავშვობიდან გამოამჟღავნა მუსიკის სიყვარული გერმანელმა კომპოზიტორმა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა. პატარა ლუდვიგი ძალიან ბევრს უკრავდა ვიოლინოზე, ფორტეპიანოზე და მოცარტივით კონცერტებს მართავდა. ლუდვიგის საყვარელი მასწავლებელი ქრისტიან ნეეფე იყო. ავადმყოფობის გამო კომპოზიტორმა ოცდარვა წლის ასაკში სმენა დაკარგა. თავისი საუკეთესო ნაწარმოებები სწორედ ყრუ ბეთჰოვენმა დაწერა! ერთ-ერთის ფრაგმენტს ჩვენ დღეს მოვისმენთ.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები თვალდახუჭული (ავტორელაქსაცია) უსმენენ ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ფინალს. ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებსა და განწყობას.

ინფორმაციისათვის

ჰაიდნი, მოცარტი და ბეთჰოვენი XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწეობდნენ. ისინი „ვენის კლასიკოსებად“ იწოდებიან, რადგან ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი ვენაში გაატარეს. მათ შექმნეს სონატის, სიმფონიისა და ინსტრუმენტული კონცერტის კლასიკური ფორმები. ჰაიდნმა საყოფაცხოვრებო სიმფონიზმი დაამკვიდრა, მოცარტმა – ლირიკულ-დრამატული, ბეთჰოვენმა – გმირული. მე-9 სიმფონიის IV ნაწილში ბეთჰოვენმა პირველად სიმფონიაში გუნდი შემოიყვანა; შილერის ლექსზე – „ოდა სიხარულისადმი“ – შექმნილი ბეთჰოვენის ეს მუსიკა თავისუფლებისა და ბედნიერების ჰიმნად იქცა. იგი დღეს ევროკავშირის ჰიმნია.

ეთნოგრაფია და მუსიკა

თემა: გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში

მიზანი: გარესამყაროს ასახვა ხალხურ სიმღერაში, სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.
მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)4,5,6

ქართული ხალხური დასარტყამი საკრავები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

დოლი

დოლი, დაირა და **დიპლიპიტო** ქართული ხალხური დასარტყამი საკრავებია. მასწავლებელი ბავშვებს შეახსენებს უკვე ნასწავლ ხალხურ ჩასაბერ საკრავებს (გედის ძვლის სალამურს, სალამურს, გუდასტვირს) და აუხსნის, რომ დასარტყამი საკრავების თანხლებით სიმღერა-ცეკვა უფრო რიტმული და ენერგიული ხდება. **დოლი** მზადდება ხის მრგვალი ნაჭრისგან, რომლის ორივე მხარეს ხბოს ტყავია გადაჭიმული. მასზე უკრავენ ხელითაც და პატარა ჯოხებითაც.

მუსიკის მოსმენა: დოლის ჩანაწერი „წიკო-წიკოსთან“ ერთად „საცეკვაო“. ბავშვები უსმენენ მუსიკას და ცეკვავენ.

დაირა

დაირა დოლივით ქართული ხალხური დასარტყამი საკრავია. დაირა ხის მორკალული, წრიული ფირფიტისაგან მზადდება, რომელზეც ცალი მხრიდან ხბოს ტყავია გადაჭიმული. დაირა ორივე ხელის ცერებით ზეაწეული უჭირავთ და ტყავზე თითების შემოკვრით უკრავენ. ხშირად შიდა მხრიდან დაირას პატარა ზანზალაკები (ზარები) ჰკიდია – მათი წკრიალი კარგად ეხამება და უხდება დაირის ბუბუნა ხმას.

„...პატარა გოგო ტყეში წავიდა,
ფიჩხი მოიტანა,
თონე გაახურა,
პური ჩააკრა...

მორჩა საქმეს –
დაისვენა:
დაირას ხელი შემოჰკრა
და ზედ სიმღერაც „ჩააწკრიალა“...

მუსიკალური განტვირთვა: რაჭული სიმღერა „ორიდილი“ დაირის თანხლებით. ბავშვები ტაშით ჰყვებიან მუსიკას.

დიპლიპიტო

დიპლიპიტო, დოლისა და დაირას მსგავსად, ქართული ხალხური დასარტყამი საკრავია. დიპლიპიტო მზადდება სპეციალური ფორმის თიხის რამდენიმე ქოთნისგან, რომლებზეც გადაჭიმულია ხბოს ტყავი. მასზე ხის პატარა ჯოხებით უკრავენ. დაკვრისას შემსრულებელი საკრავს ფეხების წინ იდგამს.

ოსტატი რამდენ საკრავსაც ამზადებს ხისგან, იმდენ ხეს რგავს...
გაუფრთხილდი და მოუარე ბუნებას!!!...

მეთოდური მითითება: მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს: როგორი ხმა აქვს დოლს? დაირას? რომელი საკრავის ხმა ჟღერს უფრო ხმამაღლა? ხმადაბლა? რომელი საკრავის ხმაა უფრო მხიარული? თქვენი დასარტყამი საკრავებით მიბაძეთ დოლის, დაირის ხმას. დოლისა და დაირის ჩანაწერების მოსმენისას ბავშვები მუსიკას აჰყვებიან თავიანთი „საკრავებით“.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს **ვიდეოს**, სადაც ფერადი ბუშტებითა და პლასტმასის ჭიქებით ამზადებენ დასარტყამ საკრავებს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს თავადაც დაამზადონ სახლში ასეთი „საკრავები“.

აკვარიუმი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

ააჟღერე და მოუსმინე – აკვარიუმი

მასწავლებელს კლასში შემოაქვს წყლიანი აკვარიუმი.

მასწავლებელი – დღეს ჩვენ ახალი საკრავი უნდა ავაჟღეროთ.

ეს რა საგანია?

ბავშვები – აკვარიუმი.

მასწავლებელი – აბა, ყურადღებით მომისმინეთ და დამაკვირდით, როგორ გადავაქცევ აკვარიუმს საკრავად და ავამღერებ.

მასწავლებელი საჩვენებელ თითს ჩაყოფს წყლიან აკვარიუმში და გარშემო, წრიულად მის ზედაპირზე იწყებს თითის გაყოლება-გაცურებას. თანდათანობით აკვარიუმი იწყებს ხმის გამოცემას – „სიმღერას“. ისმის ერთი გაბმული ბგერა – ოსტინატო. ამ ბგერის ფონზე მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, შეასრულონ ადრე ნასწავლი რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები: I რიგი – ფანქრით დაკაკუნება; II რიგი – ტაში, ჭიქა, III – პენალი–ჟღარუნა, IV – სათამაშო ზარი.

რიტმული სავარჯიშო





ამ აქტივობის შესრულების შემდეგ მასწავლებელი უმღერის და ასწავლის მესხურ ხალხურ საფერხულო სიმღერას „მამლი მუხასა“. ამ სიმღერას ბავშვები თამაშით ასრულებენ. თამაშს ემატება აქტივობა – აკვარიუმის გაბმული ხმა.

გაკვეთილი რომ კიდევ უფრო სახალისო გახდეს, მასწავლებელი წყლიან აკვარიუმში სათამაშო ფერად-ფერად თევზებს აგდებს, რაც ბავშვებში დადებით ემოციებს გამოიწვევს.

ბავშვებსაც გაუჩნდებათ სურვილი, თავად დაუკრან წყლიან აკვარიუმზე და მასწავლებელიც დიდი სიამოვნებით ასრულებს თხოვნას.

აკვარიუმის აჟღერებისას მასწავლებელი კითხვებით ამოწურავს ამ აქტივობას:

როგორ ხმა-ბგერას გამოსცემს ეს „საკრავი“ – გრძელს თუ მოკლეს?

რამდენ ხანს გრძელდება მისი ხმა?

რა განსხვავებაა ფანქრის ხმასა და აკვარიუმის ხმას შორის? პენალი-ჟღარუნასა და აკვარეუმის ხმას შორის? ზარი, სავარცხელი, სახაზავი, ჭიქა, საშლელი, ბოთლი, მასწავლებელი ჩამოთვლის ამ საგნებს და ბავშვები ადარებენ ამ ხმა-ბგერებს ერთმანეთს კვლავ ახსენებს ბგერის თვისებებს: **სიძლიერე, სიმაღლე, ტემბრი და გრძლიობა.**

აქვს თუ არა მნიშვნელობა წყლის რაოდენობას?

დიდი მნიშვნელობა აქვს აკვარიუმში ან მინის ჭიქაში წყლის რაოდენობას. სხვადასხვა წყლის რაოდენობით ეს საგნები გამოსცემენ განსხვავებულ ხმა-ბგერებს.

მამლი მუხასა

ახალი სიმღერის შესწავლა: „მამლი მუხასა“ – ხალხური საფერხულო სიმღერა.

მუხა წონწილებს, წონწილებს,
მამლი მუხასაო,
წონწილებს და წაიქცევა,
მამლი მუხასაო.

ჰარალე და, მამლი მუხასაო,
ჰარალე და, მამლი მუხასაო.

მუხის ნადგომსა, შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო,
წყალი დგებოდა, შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო.

ჰარალე და, მამლი მუხასაო,
ჰარალე და, მამლი მუხასაო.



ბავშვები ხელიხელჩაკიდებულნი დგებიან წრეში, მოძრაობენ და მასწავლებლის დახმარებით მღერიან. წრის შუაგულში დგას ბავშვი ან მასწავლებელი. მისამღერზე ჩერდებიან, „ჰარალეზე“ აწევენ გაშლილ ხელებს, მაჯაში რიტმულად ატრიალებენ და ცეკვით ცენტრისკენ, „მუხასთან“ მიდიან, „მამლი მუხასაო“ – ტაშს უკრავენ. გამეორებისას – „ჰარალე და მამლი მუხასაო“ – ცეკვა-ცეკვით უკან ბრუნდებიან და იმავე მოძრაობებს აკეთებენ. ცეკვა-თამაში ორივე სტროფზე მეორდება. მასწავლებელი უკრავს „აკვარიუმზე“, ბავშვების ერთი ნაწილი ფერხულში ასრულებს სიმღერას, მეორე ჯგუფი კი, ჰყვება დასარტყამი საკრავებით.

მეთოდური მითითება: ამჯერად სიმღერის მხოლოდ ორ სტროფს ვასწავლით. სიმღერის შესწავლას ორ გაკვეთილს ვუთმობთ: პირველზე ვასწავლით ტექსტსა და მელოდიას, მეორეზე კი ვასრულებთ სიმღერას „ფერხულით“.

ლექსიკონი

ფერხული – ხელიხელგადახვეული ან ხელიხელჩაკიდებული ერთდროული სიმღერა და ცეკვა. არსებობს წრიული, ნახევარწრიული ან სწორხაზოვანი ფერხულები.

წონწილებს – ქანაობს, ირხევა.





ვიდეოს ჩვენება: მასწავლებელი მეორე გაკვეთილისათვის გაახსენებს სხვადასხვა საგნის ხმებს: ჭიქა, თეფში, ქვაბი, ქვაბის თავსახურები, ხის და რკინის კოვზები, სხვადასხვა საგნები: ფანქარი, პასტა, საშლელი, პენალი-ჟღარუნა, სთხოვს ერთხელ კიდევ ააჟღერონ ეს საგნები და მოუსმინონ მათ ხმა-ბგერებს. როგორია ეს ხმები? რომელია აქედან მხიარული ხმა-ბგერები და რომელი – სევდიანი? რომელი ჟღერს უფრო დიდხანს და რომელი მოკლედ? ბავშვები მსჯელობენ ამ საგნების ხმა-ბგერებზე. მასწავლებელი უჩვენებს ვიდეოს, სადაც სხვადასხვა საგნების ხმებით (ფანქარი, პასტა, ჭიქა, კარები) შექმნილია მუსიკალური კოლაჟი. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, თავადაც მოიფიქრონ და შეასრულონ მსგავსი მუსიკალური კოლაჟი კლასში.

ა, ე, ი, ო, უ

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები გაიხსენებენ და გაიმღერებენ ყველა იმ ინტონაციურ სავარჯიშოს რომელიც ისწავლის: **მხიარული ნოტები** – აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით, გაორმაგებული ბგერებით, **მუსიკალური კიბე** – სამხმოვანების ბგერებზე, მყარი და მერყევი საფეხურები **აი ია-ზე** – ია გოგოს ლაიტთემა. პატარა დირიჟორის ლაიტმოტივი. **მყარ და მერყევ საფეხურებს ვასწავლით სმენით – ზეპირად.**



ვ.ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“ მთავარი თემა



„ა, ე, ი, ო, უ“:

– ბავშვებო, იცით თუ არა, რომ მსოფლიოში უამრავი ენაა (სამიათასამდე), ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი! ქართულ ანბანში ოცდაცამეტი ასო-ბგერაა, რომლებიც თქვენ უკვე ისწავლეთ... პირველი ასოების – „ანისა“ და „ბანის“ – შეერთებით მისი სახელი მივიღეთ – „ანბანი“.

მასწავლებელი ბავშვებთან ერთად ანბანის ოცდაცამეტივე ასო-ბგერას დაასახელებს. მათგან ცალკე გამოყოფს ხუთ ხმოვანს – **„ა, ე, ი, ო, უ“** – და ბავშვებს სთხოვს, თითებით აჩვენონ „ხუთი“.

ხმოვნები მუსიკალური ბგერებია, რომელთა გამღერება, რამდენ ხანსაც გვინდა, ადვილად შეგვიძლია. აბა, ვცადოთ და გავამღეროთ **თ, ხ, ჯ, კ, წ** – ვერ შევძლებთ! ასეთ ბგერებს ენაში თანხმოვნებს უწოდებენ, ახლა კი „მუსიკალური კიბის“ საფეხურებზე ხუთი ხმოვანი ავიყვანოთ: **ა-ე-ი-ო-უ**!



ინფორმაციისათვის

ქრისტეშობამდე III საუკუნეში, 284 წელს, მეფე ფარნავაზმა, ეგრისის მმართველის ქუჯის დახმარებით, გააერთიანა საქართველო და სახელმწიფო ენად ქართული გამოაცხადა: ოცდაშვიდი წლის მეფემ ქართული ანბანის რეფორმა მოახდინა „...და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა...“ (ლეონტი მროველი). ფარნავაზმა ზოგადსახელმწიფოებრივი რეფორმებიც განახორციელა. შემოიღო მზის უძრავი წელიწადის ერთიანი კალენდარი და ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა.

მსოფლიოში 14 ანბანია: ებრაული, არაბული, ბერძნული, ჩინური, ლათინური, ქართული, სომხური, ეთიოპური, სლავურ-კირილიური, იაპონური, კორეული, ინდური, სირიული, მონღოლური.



მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები მინუს ფონოგრამაზე მღერიან სიმღერას **„ჩაიდანი“.** ბაძავენ ადუღებულ ჩაიდანს ხმითა და მოძრაობებით. ამ სიმღერის დასაწყის მოტივს ბავშვები გაიმღერებენ და დაითვლიან რამდენი ბგერისაგან შედგება ის.

ჩაიდანი

მუსიკა: მაია ოთიაშვილის
ტექსტი: მორის ფოცხიშვილის

Allegro moderato

Piano

mf

Canto

mf

ჩა - ი - და - ნი დუღს, დუღს, ბუღს ა - ყე - ნებს ბუღს, ბუღს,

ჩა - ი რომ არ დავ - ლი - ე, ალ - ბათ ა - მას წუხს, წუხს.


* აქედან გამეორდება იმდენჯერ, რამდენი ბავშვიცაა ჯგუფში, მათი სახელების მიხედვით
მი - ე - პა - რა სო - ფო, ი - ა - კო და გუ - გა,
მი - ე - პა - რა სა - ლო - მე და პა - ტა - რა ცუ - გა,
** აქ ბავშვები ჩერდებიან და „ცეცხლს“ უბერავენ
*** ეს ტაქტი მეორდება რამდენჯერმე
და ჩა - აქ - რეს ცეც - - - - ხლი
5
3
ჩა - ი - დან - მა ღი - მი - ლით და - უქ - ნი - ა ხე - ლი.
8va



როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში საგნები?

ჩიტის ნალი მიპოვნია

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

ბავშვები **„მუსიკალურ კიბეზე“** გაიმღერებენ ახალ ინტონაციურ სავარჯიშოს „ი“ და „ა“ ხმოვნებზე:



მეთოდური მითითება: ამ სავარჯიშოს მუხლებს მასწავლებელი ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად დაამატებს: ჯერ ერთი, მერე – ორი და ა.შ. – ინტონაციამ „ფერი იცვალა“. თითოეულ საფეხურზე სიმაღლის შეცვლისას მახვილით, ხაზგასმით გამოყოფს ძლიერ დროს და საყრდენ ბგერას. ძლიერ დროს ააყოლებენ „დასარტყამ საკრავებს“: ი-ზე პენალი-ჟღარუნა – 

ა-ზე პლასტმასის ჭიქა – . ეს სავარჯიშო ხელს უწყობს სუნთქვის სწორ ორგანიზებას.

როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში საგნები/

მასწავლებელი ასმენინებს ყოფით საგნებზე სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერებს. ქართული ხალხური სიმღერები: ქართლ-კახური შრომის სიმღერა **„ნამგალო“** და მესხური – **„ჩიტის ნალი მიპოვნია“** . ასევე, ინგლისური ხალხური სიმღერა „**I love sixpence**“. სთხოვს მათ, იმსჯელონ, თუ როგორი ხასიათისაა ესა თუ ის სიმღერა. მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს სიმღერაში ნახსენები საგნების დანიშნულებაზე, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამა თუ იმ ხალხს ნივთის მიმართ.

სიმღერის შესწავლა: მესხური ხალხური სიმღერა „ჩიტის ნალი მიპოვნია“.

ჩიტის ნალი მიპოვნია, ჩემო მჭედელოო,
მჭედელო ჩემო მჭედელო, ოქრომჭედელოო.
ერთი ბარი გამიკეთე, ჩემო მჭედელოო,
მჭედელო ჩემო მჭედელო, ოქრომჭედელოო.
ერთი თოხიც გამიკეთე, ჩემო მჭედელოო,
მჭედელო ჩემო მჭედელო, ოქრომჭედელოო.
ერთი ჯაჭვიც გამიკეთე, ჩემო მჭედელოო,
მჭედელო ჩემო მჭედელო, ოქრომჭედელოო.
ერთი დანაც გამიკეთე, ჩემო მჭედელოო,
მჭედელო ჩემო მჭედელო, ოქრომჭედელოო.
ერთი ნემსიც გამიკეთე, ჩემო მჭედელოო,
მჭედელო ჩემო მჭედელო, ოქრომჭედელოო.

ინფორმაციისათვის: მესხური საფერხულო სიმღერა „ჩიტის ნალი მიპოვნია“ შემორჩენილია ბავშვთა რეპერტუარში. ძველ დროში დაკავშირებული იყო გარკვეულ რიტუალთან, რომლის სოციალური ფუნქციის შესახებ არაფერია ცნმობილი.

ჩიტის ნალი მიპოვნია

მესხური



განტვირთვა-თამაში: ბავშვები მორიგეობით იწყებენ სიმღერას, მისამღერს კი ყველა ერთად ამბობს. ფერხულს სიმღერის შესწავლის შემდეგ დააბამენ. თავიდან, შეიძლება, ჩანაწერი დაიხმარონ, შემდეგ კი თანდათან მიეჩვევიან სიმღერა-ფერხულის ერთდროულად შესრულებას.

ჩამოთვლიან, თუ რომელი ყოფითი საგნებია გამოყენებული ამ სიმღერაში: ნალი, ბარი, თოხი, ჯაჭვი, დანა, ნემსი, ნამგალი და ცდილობენ ხმაბაძვით და თავიანთი „დასარტყამი საკრავებით“ (ფანქარი, პენალი-ჟღარუნა, მაკრატელი, ხის ჩაქუჩი, ფურცლის შრიალი...) შეძლებისდაგვარად მიბაძონ ამ საგნების ხმა-ბგერებს. სიმღერას ასრულებენ წრეში და „დასარტყამი საკრავებით“ უკეთებენ რიტმულ თანხლებას.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აჩვენებს **ვიდეოს „I LOVE SIXPENCE“**. მოუსმინე მუსიკას, ამოიცანი მოტივი და დაითვალე, რამდენი ბგერისაგან შედგება.



ინფორმაციისათვის

I LOVE SIXPENCE

I LOVE SIXPENCE – XVI საუკუნის ინგლისური ხალხური სიმღერაა. მეფე ჰენრი VIII დროს ეს იყო გასართობი საბავშვო სიმღერა ღვეზელიდან ამოფრენილ ჩიტებზე. სიმღერაში დასახელებულია სხვადასხვა მოქმედება, მაგალითად: მეფე ჰენრი ითვლის ინგლისურ ფულს – პენს, ჩიტები ამოფრინდებიან ნამცხვრიდან და იწყებენ სიმღერას, ისინი ღვეზელს მიართმევენ მეფეს, მეფე კვლავ ფულს ითვლის, დედოფალი პურსა და თაფლს შეექცევა, მოახლე ბაღში ფენს სარეცხს. როცა ამ სიმღერას ვმღერით, შეიძლება წარმოვიდგინოთ 400 წლის წინანდელი ამბავი, თუ როგორ მღეროდნენ და თამაშობდნენ ბავშვები ამ სიმღერის თანხლებით. ასეთი ქმედებები უვითარებს ბავშვებს წარმოსახვის უნარს. იგივე შეიძლება ვთქვათ ქართულ-ხალხურ სიმღერაზე „ჩიტის ნალი მიპოვნია“.

დააჯგუფე ხმა-ბგერები

შემაჯამებელი გაკვეთილი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

რიტმული სავარჯიშო: ამ სავარჯიშოს ბავშვები ასრულებენ ერთად.

სავარჯიშოს ამ ფორმით შესრულება ბავშვებს უვითარებს ერთობის, ანსამბლურობის შეგრძნებას.



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი

აქტივობა 9: რიტმული სავარჯიშო, რომლის ნიმუშიც აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში. ქვაბი ჟღერს 2-ჯერ, რკინის კოვზი 2-ჯერ ჭიქა 4-ჯერ. იქმნება ერთგვარი რიტმულ სურათი. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ და დაითვალონ, რომელი საგანი რამდენჯერ ჟღერს.

აქტივობა 10: რიტმული სავარჯიშო, რომლის ნიმუშიც აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში. თეფში, ქვაბის თავსახური და ხის კოვზი. ბავშვებმა ამოიცნონ და დაითვალონ, რომელი საგანი რამდენჯერ ჟღერს.

აქტივობა 11: რიტმული სავარჯიშო, რომლის ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში. რკინის კოვზი, ჭიქა, ქვაბის თავსახური და თეფში ქმნის ერთგვარ რიტმულ მონახაზს. დაალაგეთ ეს საგნები სხვადასხვა თანმიმდევრობით. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ და დაითვალონ რომელი საგანი რამდენჯერ ჟღერს.

მეთოდური მითითება: ეს გაკვეთილი სრულად ეთმობა **LMMS**-ს პროგრამას. ბავშვები ამოიცნობენ ამ საგანთა ხმებს დაითვლიან და დააჯგუფებენ – რამდენჯერ ჟღერს თითოეული საგანი. შეუძლიათ დაალაგონ ეს საგნები სხვადასხვა თანმიმდევრობითაც, რითაც იქმნება განსხვავებული მუსიკალური კოლაჟები. ამ ყველაფერში მათ მასწავლებელი ეხმარება.

მუსიკალური განტვირთვა: გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს **ვიდეოს** – ლ. ანდერსონის **„საბეჭდი მანქანა“.** სახლში ბავშვები უყურებენ ანიმაციას საბეჭდი „მანქანა“.

ნოე ბაბუს კიდობანი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

„ნოე ბაბუს კიდობანი“: მუსიკის ფონზე – **ე. გრიგის „დილა“,** სიუიტიდან **„პერ-გიუნტი“** – მასწავლებელი უკითხავს ბიბლიურ ისტორიას.

„ეს ამბავი ნოეზეა,
ნოე ბაბუს კიდობანზე,
მზე, მთვარე და ვარსკვლავები
ციმციმებენ მაღლა ცაზე.“

ეს საოცარი ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. უხსოვარ დროში ცხოვრობდა ერთი კეთილი კაცი, რომელსაც ბავშვები სიყვარულით ნოე ბაბუს ეძახდნენ. ნოე დურგალი იყო, ბავშვებს სათამაშოებს უმზადებდა – ხის თოჯინებს, ბზრიალა-ჩიკორებს, სალამურებს, დოლებს... ღმერთს სიკეთისათვის ძალიან უყვარდა ნოე და ისიც ყველაფერს უჯერებდა ღმერთს.

ერთხელ ღმერთმა უბრძანა ნოეს: „ააშენე დიდი კიდობანი – ნავი, შიგ შეიყვანე შენი ცოლი, შვილები, შვილიშვილები, გარეული თუ შინაური ცხოველები და ფრინველები, რადგანაც დიდი წყალდიდობა იქნება“. იმ დროს დედამიწაზე უამრავი ბოროტი ადამიანი ცხოვრობდა და ღმერთმა ცუდი საქციელისათვის წყალდიდობა მოუვლინა მათ. ადამიანებმა კი არაფერი იცოდნენ წყალდიდობის შესახებ.

ნოემ აღასრულა ღმერთის ნება და კიდობნის შენებას შეუდგა. ბავშვები ეხმარებოდნენ ნოე ბაბუს: ფიცრებს ასუფთავებდნენ, ლურსმანს და ჩაქუჩს აწვდიდნენ, თავადაც აჭედებდნენ...

ბოროტ ადამიანებს ვერ გაეგოთ, რას აკეთებდა ნოე. ნავის დანახვაზე ისინი ახარხარდნენ.

– სად ხედავ, მოხუცო, წყალს, სად უნდა იცუროს ნავმა? – ეკითხებოდნენ ისინი.

ნოემ უამბო, რაც უბრძანა ღმერთმა, მაგრამ უგნურმა ადამიანებმა არ დაუჯერეს მას.

გაზაფხულზე ნოემ ააშენა ნავი, შეიყვანა ცოლ-შვილი, ცხოველები და ფრინველები. დაიხურა კიდობნის კარი და... დაიწყო წყალდიდობა. დედამიწა წყლით დაიფარა. მხოლოდ ნოეს კიდობანი ტივტივებდა წყალზე. შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა, ქარი ჩადგა, წვიმამ გადაიღო, წყალმა დაიკლო, დაიწია და ისევ გამოჩნდა მიწა. ღმერთმა გააღო კიდობნის კარი და ყველანი ხმელეთზე გადმოვიდნენ. ღმერთი ნოეს შეჰპირდა, რომ ამის შემდეგ დედამიწაზე აღარასოდეს იქნებოდა წყალდიდობა და ცაზე ცისარტყელა გამოსახა.

მეთოდური მითითება: მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:
– რამდენი ფერია ცისარტყელაში?
– რამდენი ნოტი გვაქვს მუსიკაში?
– რამდენი დღეა კვირაში?



სიმღერის შესწავლა:

„ტუკ, ტუკ, ბუმ, ბუმ,
შენდებოდა ნავი,
ნავი, ნავი, ნავი,
ნოეს კიდობანი.
ნოე ჩაქუჩს ურტყამდა,
შენდებოდა ნავი,
ნავი, ნავი, ნავი,
ნოეს კიდობანი“.

„ხი-ხი ხი-ხი, ხა-ხა ხა-ხა,
დასცინოდა ხალხი,
წყალდიდობა რა არისო –
კითხულობდა ხალხი.
ნოე ჩაქუჩს ურტყამდა,
შენდებოდა ნავი,
ნავი, ნავი, ნავი,
ნოეს კიდობანი“.

ბავშვები მასწავლებელთან ერთად „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამაზე მღერიან და თან იმიტაციურ მოძრაობებს აკეთებენ. ფონოგრამაში რამდენჯერმე იცვლება ტონალობა – ზესწრაფვის, აღმასვლის, შენების მსგავსება. ეს ბავშვებს ძალიან მოსწონთ და ახალისებთ, ასრულებენ იმიტაციურ მოძრაობებს – უჭირავთ „ჩაქუჩი“ და „აჭედებენ ლურსმნებს“. ამ ქმედებას ისინი აყოლებენ თავიანთ „დასარტყამ საკრავებს“: პენალი-ჟღარუნა, მუხლებზე ხელების ტყაპუნი, ფანქრის კაკუნი, პლასტმასის ჭიქები. სიტყვებზე „შენდებოდა ნავი“ ისინი იწევიან ფეხის წვერებზე და ხელებით ჰაერში კიდობანს შემოხაზავენ.

მუსიკალური განტვირთვა: შტრაუსის „რადეცკი მარში“. ამ მუსიკის ფონზე ბავშვები მასწავლებელთან ერთად მწკრივში დგებიან და რიგ-რიგობით „შედიან კიდობანში“. კიდობნის ფუნქცია შეიძლება სიმბოლურად დავაკისროთ სკამებს ან ბავშვების ზეაწეული ხელებით გამოსახულ თაღს. მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ფურცლებს, სადაც მოცემულია ცხოველებისა და კიდობნის ნახატები. სახლში გამოჭრიან ცხოველების კონტურებს და „შეიყვანენ“ კიდობანში.

მეთოდური მითითება: ეს გაკვეთილი მოიცავს ამბის თხრობას, ტექსტის შესწავლას, ინტონირებას, თამაშს, ცეკვას, აპლიკაციას... ეს სრულებითაც არაა ბავშვისთვის რთული, რადგან გართობა-თამაშის გზით შემეცნების პროცესი გაადვილებულია. გაკვეთილის ასეთი მრავალფეროვანი სტრუქტურა საინტერესოს და ხალისიანს ხდის სწავლების პროცესს. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს, რომ ეს ყველაფერი მარტივად, გასაგებად, ზღაპარივით მიაწოდოს ბავშვებს.

შეიძლება, მასწავლებელმა ჩამოთვალოს კიდობანის ცხოველებისა და ფრინველების სახელები და ბავშვებს სთხოვოს, მოძრაობითა და ხმით მიბაძონ მათ (ძაღლებს, კატებს, თაგვებს, გოჭებს...). ამით ის ამზადებს ბავშვებს II კლასის თემისათვის – ცხოველები მუსიკაში.

ნოე ბაბუს კიდობანი

სიტყვები და მუსიკა
მაია ოთიაშვილი




ხი - ხი - ხი - ხი, ხა - ხა - ხა - ხა, დას - ცი - ნო - და ხალ - ხი,


წყალ - დი - დო - ბა რა ა - რი - სო, კით - ხუ - ლობ - და ხალ - ხი,


ნო - ე ჩა - ქუჩს ურ - ტყამ - და, შენ - დე - ბო - და ნა - ვი,


ნა - ვი, ნა - ვი, ნა - ვი, ნო - ეს კი - დო - ბა - ნი.



ნოე ბაბუს კიდობანი

„ამოვიდა, გაანათა,
ინდი-მინდი, ფერად-შინდი,
ცისარტყელა შვიდი ფერით,
მზეო, მზეო, ამობრწყინდი!“









გამოჭერი და შეეყვანე კიდობანში









ფორტეპიანო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; გაკვეთილი იწყება მოთელვით

ინტონაციური სავარჯიშო: მხიარული ნოტების გამღერება: აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით; ხმამაღლა, ფორტეზე ***f*** და ხმადაბლა, პიანოზე ***p***; მასწავლებელი ბავშვებს უხსნის ახალ ტერმინებს: ფორტესა და პიანოს. ბავშვები მხიარულ ნოტებს ასრულებენ ხან ფორტეზე, ხან პიანოზე. ამის შემდეგ ბავშვები იხსენებენ 2/4 ზომას და ასრულებენ რიტმულ სავარჯიშოს ერთობლივად.





ფორტეპიანო

– დღეს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ პატარა ამადეუსი. იცით, რომ მოცარტს, გარდა მუსიკისა, ისტორია, უცხო ენა, ხატვა და მათემატიკაც ჰყვარებია? როცა დაკვრით დაიღლებოდა, პატარა ხელებით კედლებზე ცარცით მათემატიკის მაგალითებს ჩხაპნიდა... გახსოვთ, რა საკრავზე უკრავდა ამადეუსი?

– ფორტეპიანოზე!

– გაიხსენეთ, რას აკეთებდა სამი წლის მოცარტი: ძვრებოდა სკამზე, ფეხებს იატაკს ვერც კი აწვდენდა და ფორტეპიანოზე უკრავდა.

– თუ მიხვდებით, ჩვენთვის ნაცნობი რომელი სიტყვებისგანაა მიღებული ეს სახელწოდება? რა თქმა უნდა, „ფორტესა“ და „პიანოსაგან“! ასე იმიტომ ეწოდა, რომ ამ საკრავზე ხან ხმამაღლა – ფორტეზე – უკრავდნენ და ხან – ჩუმად, პიანოზე.

ფორტეპიანო თეთრი და შავი კლავიშებისაგან შედგება. საკმარისია, მათ თქვენი პატარა თითებით შეეხოთ, რომ სხვადასხვა ხმაზე აჟღერდება. ფორტეპიანო კლავიშებიანი საკრავების – როიალისა და პიანინოს საერთო სახელწოდებაა, ხოლო ფორტეპიანოს ერთ-ერთი წინამორბედი საკრავი არის კლავესინი, რომელზედაც უკრავდა პატარა მოცარტი.

როიალი

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები თვალდახუჭული (ავტორელაქსაცია) უსმენენ მოცარტის მე-11 საფორტეპიანო სონატის I და III ნაწილებს.

ინფორმაციისათვის

ფორტეპიანოს წინამორბედად ძველი კლავიშებიანი საკრავები – კლავიკორდი და კლავესინი – მიიჩნევა. მათი დახვეწისა და ტექნიკური სრულყოფის შედეგად, XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე, შეიქმნა ფორტეპიანო. რომლის სახეებია პიანინო და როიალი. პიანინო იტალიურად „პატარა პიანოს“ ნიშნავს, „როიალი“ კი – დიდს, სამეფოს.

მოცარტის მე-11 სონატა სამნაწილიანია: I ნაწილი თემაა ვარიაციებით, II – მენუეტი, ფინალი – რონდოა, მითითებით – „თურქულივით“, ამიტომაც მას „თურქული მარში“ ეწოდება.

„აი, ჩემი საქართველო“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 70 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; გაკვეთილი იწყება მოთელვით

„აი, ჩემი საქართველო“:
ეს ახალი ინტონაციური სავარჯიშოა:
„აი ია, აი მდელო,
აი, ჩემი საქართველო“.

მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეახსენებს ბავშვებს საქართველოს კუთხეებს. ამის შემდეგ უმღერებს სავარჯიშოს და ასწავლის როგორც ერთ პატარა სიმღერა-ინტონაციას. შემდეგ სთხოვს ბავშვებს, წამოდგნენ, დახუჭონ თვალები, წარმოიდგინონ, რომ ყველაზე მაღალ მთაზე დგანან და გადმოჰყურებენ მთელ საქართველოს, – და ისე შეასრულონ სავარჯიშო. სიტყვებზე „აი, ჩემი საქართველო“ ბავშვები გაახელენ თვალებს, ხელებს განზე გაშლიან და „შემოხაზავენ“ სამშობლოს. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს: ამოიცანით რომელი გმირის **ლაიტმოტივია** გამოყენებული ამ სიმღერაში?

აი, ჩემი საქართველო

შეადგინა მაია ოთიაშვილმა



მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამაზე მღერიან ლ. იაშვილის სიმღერას **„კრიჭი-კრიჭი“.** მასწავლებელი სთხოვს მათ სიმღერას აყვნენ **„დასარტყამი საკრავებით“:** სათამაშო-მაკრატლები, პენალი-ჟღარუნები, პლასტმასის ჭიქები და ტაში. ბავშვები გადაინაწილებენ მოვალეობებს.

კრიჭი-კრიჭი

ზაფხულია, ცხელა, ცხელა,
ბუღი ასდის ქალაქს.
და დედიკომ ჩვენი გელა
მიუყვანა დალაქს.

მაკრატელი აღუღუნდა,
კრიჭი, კრიჭი, კრიჭი
და ხოტორა დაგვიბრუნდა
თმაქოჩორა ბიჭი.

დასცინიან მეგობრები,
ამშვიდებენ დები.
შემოდგომით ამოგივა
უკეთესი თმები.

მაკრატელი აღუღუნდა,
კრიჭი, კრიჭი, კრიჭი
და ხოტორა დაგვიბრუნდა
თმაქოჩორა ბიჭი.



გაიმღერე და დაითვალე, რამდენი ბგერისგან შედგება მოტივი.

„დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“

კრიჭი-კრიჭი

ტექსტი: ნ. კილასონიასი
მუსიკა: ლ. იაშვილის





მუსიკა და ჩვენი ყოფა

თემა: **თამაშები მუსიკაში**

მიზანი: მოძრაობების, თამაშების გადმოცემა მუსიკალური ენის ელემენტებით - მოტივის, ტემპის, რიტმის საშუალებით. თამაშებთან დაკავშირებული ემოციის გამოხატვა. კომპოზიტორთა ნაწარმოებებში თამაშების ასახვა, მოტივების ამოცნობა. სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება. მუსიკალური კოლაჟის შექმნა.
მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)3

ვითამაშოთ ეზოში – 1

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

ინტონაციური სავარჯიშო: მხიარული ნოტების გამღერება: აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით; ხმამაღლა – ფორტეზე ***f*** და ხმადაბლა – პიანოზე ***p***; მასწავლებელი ბავშვებს უხსნის ახალ ტერმინებს: ფორტესა და პიანოს. ბავშვები მხიარულ ნოტებს ასრულებენ ხან ფორტეზე, ხან პიანოზე. ამის შემდეგ ბავშვები იხსენებენ 2/4 ზომას და ასრულებენ რიტმულ სავარჯიშოს ერთობლივად.



ვითამაშოთ ეზოში: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, თუ რას თამაშობენ ეზოში. ბავშვები პასუხობენ: „დამალობანას“, „დაჭერობანას“, „კლასობანას“, ვთამაშობთ ბურთით, ვხტით სახტუნაოთი, დავრბივართ, ვსრიალებთ ყინულზე, თოვლზე.

მასწავლებელი ასმენინებს კლასს სიარულის, სირბილის, ხტომის ხმებს და სთხოვს გამოიცნონ მოქმედებები. მასწავლებელი ასმენინებს **ს. პროკოფიევის „დაჭერობანას“** და სთხოვს ბავშვებს, მოსმენილი ხმები (რომლებიც ქმედებებს გამოხატავდა) დააკავშირონ ამ პიესის მუსიკასთან. რომელი ხმა ესადაგება ამ პიესას: სიარული, სირბილი, ხტომა? როგორია ეს პიესა – მხიარული თუ სევდიანი? მასწავლებელი რამდენჯერმე ასმენინებს ამ ნაწარმოებს და გამოჰყოფს მთავარ **მოტივს**. სთხოვს ბავშვებს, მასთან ერთად გაიმღერონ ეს მელოდია და ააყოლონ ტაში, შემდეგი მოსმენისას – სხვა „დასარტყამი საკრავები“. ბავშვები უსმენენ მუსიკას და ხალისობენ. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, პიესის მოსმენისას ხაზითა და სხვადასხვა ნიშნებით გამოხატონ ეს მუსიკა სახატავ რვეულებში.

გაიმღერეთ მოტივი



ს. პროკოფიევი „დაჭერობანა“



რა მუსიკალური ელემენტებით შეიძლება გადმოვცეთ თამაშების ნაირსახეობები?

შაირები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

რიტმული სავარჯიშო:



მეთოდური მითითება: ამ გაკვეთილზე აქტივობაში რიტმული სავარჯიშო შემოდის სიახლე – **რიტმული ოსტინატო** რასაც ბავშვებს სმენით ვასწავლით. მესამე რიგი განსხვავებულ რიტმულ მონახაზს ასრულებს პლასტმასის ჭიქებით და მის გაბმულ ფონზე I და II რიგი ასრულებს რიტმულ სავარჯიშოს.

სიმღერების განმეორება: „ჩაიდანი“, „კრიჭი კრიჭი“, „ნოე ბაბუს კიდობანი“. მასწავლებლის მითითებით ბავშვები ამ სიმღერებს ასრულებენ ხან ფორტეზე ***f*** და ხან პიანოზე ***p***.

განტვირთვა თამაში

კახური შაირები: შაირი სახუმარო ლექსია. სოფლად არც ერთი ლხინი და დღესასწაული არ ჩაივლიდა შაირისა და მახვილსიტყვაობის გარეშე. უფრო ხშირად ორი ადამიანი შაირობს: ჯერ ერთი მიუმღერებს რაიმე სახუმაროს, მერე – მეორე, შემდეგ – კვლავ პირველი და ასე გრძელდება, ვიდრე ერთ-ერთი არ აჯობებს. სოფლის ბავშვები მხიარულად ადევნებენ თვალ-ყურს მათს პაექრობას და შეძახილებით ამხნევებენ, ხანდახან მიუმღერებენ კიდეც.

შაირებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა საკრავის – ფანდურის, სტვირის, ჩონგურის – თანხლებით მღერიან. ახლა მოვისმინოთ, როგორ შაირობს ფანდურზე ორი კახელი ბიჭი – მიხო და თედო. მასწავლებელი მოაგონებს ბავშვებს, რომ პატარა ქეთოც კახეთის ერთ-ერთი ლამაზი სოფლიდან იყო...

აჭარული შაირები: ბავშვები კიდევ ერთხელ გაიხსენებენ და ჩამოთვლიან საქართველოს კუთხეებს. მასწავლებელი განუმარტავს: აჭარა – საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე – დასავლეთით, შავიზღვისპირეთში მდებარეობს.

ბავშვები რამდენჯერმე უსმენენ **„აჭარულ და კახურ შაირებს“,** ტაშითა და **„დასარტყამი საკრავებით“** გამოხატავენ **რიტმს,** გამოყოფენ ტაქტის **ძლიერ დროს,** ცეკვავენ და მხიარულობენ.

ჩონგური თუ ფანდური?

ჩონგური

ამ გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს აცნობს ქართულ ხალხურ სიმებიან საკრავებს – ჩონგურსა და ფანდურს. სწორედ ფანდურის თანხლებით მოვისმინეთ კახური და აჭარული შაირები.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ზოგან ფანდურია გავრცელებული, ზოგან – ჩონგური. მასწავლებელი ბავშვებს უხსნის: ფანდური სამსიმიანია, ჩონგური – ოთხ-სიმიანი. ჩონგური ზომით ფანდურზე დიდია. მასწავლებელი ასმენინებს ჩანაწერებს: საჩონგურო „განდაგანას“ და „საფანდურო მელოდიებს“. ბავშვები ტაშს აყოლებენ. სასურველია, მასწავლებელმა ბავშვებს აჩვენოს, ხელში დააჭერინოს, ააჟღერებინოს ორივე თუ არა, ერთ-ერთი საკრავი მაინც. ეს განუზომელ სიხარულს ანიჭებთ მათ. მასწავლებელი შეახსენებს ქართულ ხალხურ საკრავებს.

ოსტატი რამდენ საკრავსაც ამზადებს ხისგან, იმდენ ხეს რგავს...
გაუფრთხილდი და მოუარე ბუნებას!!!...

წიკო-წიკო

ფანდური

ძვლის სალამური

დაირა

სალამური

დიპლიპიტო

დოლი

სათამაშო საყვირი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

მასწავლებელს კლასში შემოაქვს სათამაშო საყვირი და აცნობს ბავშვებს: ეს სათამაშო საყვირია, ჩასაბერი საკრავი, აი, ისეთი, როგორიც მწყემსი ბიჭის სალამური... აქამდე ჩვენს „ორკესტრში“ მხოლოდ დასარტყამი „საკრავებით“ ვუკრავდით და ვთამაშობდით... ეს საკრავი ახალ ჟღერადობას შემოიტანს „ორკესტრში“. მასწავლებელი უკრავს სათამაშო „საყვირზე“ სხვადასხვა ინტონაციებს: (დო-დან დო-მდე ან დო-სოლ-დოს). შემდეგ აჩვენებს **ვიდეოს**, სადაც ბავშვების თანატოლი პატარა ბიჭი, თორნიკე, კონცერტზე ასრულებს თავის ნაწარმოებს სათამაშო საყვირზე. ბავშვებს თავადაც უჩნდებათ სურვილი, დაუკრან ახალ საკრავზე.

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს: სანამ თითოეულ თქვენგანს საკუთარი საკრავი ექნება, მანამდე მე დავუკრავ და თქვენ ამყვებით ჩვენი ნაცნობი „საკრავებით“: ტაშით, ფანქრის კაკუნით, პლასტმასის ჭიქებით, პენალი-ჟღარუნით და სხვ. მასწავლებელი უკრავს პატარა მოტივს, დო მაჟორს გაორმაგებული საფეხურებით.



I რიგი – დაუკრავს ტაშს, II რიგი – პლასტმასის ჭიქებს, III – პენალი-ჟღარუნას და სინქრონულად შეუწყობენ მასწავლებლის დაკრულს. მასწავლებელს შეუძლია, უფრო მარტივი ინტონაციები შემოიტანოს ამგვარ აქტივობებში; მაგ.; დაუკრას თითო ბგერა: დო, დო, დო ან სოლ, სოლ, სოლ – გაბმულად ოსტინატოზე. ეს სავარჯიშოები დაეხმარება ბავშვებს, მომავალში (III კლასში) უფრო ადვილად გაიგონ და გაითავისონ ოსტინატოს პრინციპი.

მასწავლებელს თავადაც შეუძლია მოიფიქროს სხვადასხვა მარტივი რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო და გამოიყენოს კლასის აქტივობებში. ჩვენ გაჩვენეთ პატარა ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ამ ასაკის ბავშვებს გავუღვიძოთ ინტერესი სხვადასხვა საკრავზე დაკვრისა, იხალისონ და „ითამაშონ“ გაკვეთილებზე, თან გარკვეული ცოდნა და უნარ-ჩვევებიც შეიძინონ.

თორნიკე კონცერტზე

განტვირთვა-თამაში: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს კ. სენ-სანსის **„კენგურუს“ „ცხოველთა კარნავალიდან“**, ბავშვები უსმენენ მუსიკას და აჰყვებიან მოძრაობითა და რიტმული სავარჯიშოებით.

ვითამაშოთ ნახატებით – 1

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

რიტმული სავარჯიშო:



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი

მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ნახატებიან ფურცლებს და სთხოვს ხმით გამოხატონ ნახატებზე მოცემული ამბავი. I ნახატი – ბაყაყები ყიყინებენ, II ნახატი – ბიჭი ძაღლთან ერთად, ბაყაყებს ეშინიათ. III ნახატი – ბაყაყები ხტებიან გუბეში. ამის შემდეგ LMMS-ის პროგრამაში ბავშვები ააჟღერებენ ამ ნახატების შესაბამის ხმებს და ისე დაალაგებენ ტრეკებს, რომ ხმებით მივიღოთ პატარა ისტორია.

I

II

III



აქტივობა 12 ამ აქტივობაში მოცემულია სამი ტრეკი. ბავშვებმა მოისმინონ და გამოიცნონ, რომელი ტრეკი შეესაბამება ნახატზე არსებულ მოქმედებას, შემდეგ კი ტრეკები დაალაგონ ნახატების შესაბამისად.

განტვირთვა-თამაში: მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს **ი. ჰაიდნის სონატა** №7, D-dur.
I ნაწილი. ბავშვებს კლასში შემოაქვთ სახტუნაო. ბავშვები რიტმულად ხტიან მუსიკასთან ერთად, აგრეთვე, აჰყვებიან ტაშით, ფეხის ბაკუნით. თამაშები დაკავშირებულია ხმებთან და მოძრაობასთან. ამ აქტივობებით მასწავლებელი უხსნის ბავშვებს, თუ რა ხერხებით შეძლო კომპოზიტორმა თამაშობების ქმედებები გადმოეცა მუსიკით. ეს აქტივობები მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა გაკვეთილზე გამოიყენოს. ბავშვები უსმენენ მუსიკას და აჰყვებიან მოძრაობითა და რიტმული სავარჯიშოებით.

ინოლას გიტარა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით



მუსიკის ფონზე – **ფ. შოპენი. „ნოქტიურნი“** №2, Es-dur – მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს ამბავს – **ინოლას გიტარა.** (შეიძლება მუსიკალურ ფონად სხვა ნაწარმოების შერჩევაც)

...იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი...

„პირველად იყო სიმღერა,
გალობა მრავალხმიანი
და სიმღერისთვის შეიქმნა
ადამიანი“...

მართლაც, სიმღერისათვის დაიბადა შვლისთვალებიანი პატარა გოგონა, რომელსაც ბიძამ საოცარი, სახელი – ინოლა დაარქვა. დედამ ინოლასათვის „იავნანა“ შეთხზა და ხშირად უმღეროდა. ინოლასაც შეუყვარდა სიმღერა. მღეროდა ყველგან: სახლში, სკოლაში, ეზოში, მინდორში, ტყეში... უსმენდა ჩიტების გალობას და თავადაც, ბულბულივით, მღეროდა. განსაკუთრებით მშობლიური სოფელი უყვარდა, რომელიც საქართველოს ულამაზეს კუთხეში – სამეგრელოში მდებარეობდა. იქ ბევრი მეგობარი ჰყავდა – ერთად დარბოდნენ, მდინარეში ჭყუმპალაობდნენ, „ცხენობანასა“ და „კენჭობანას“ თამაშობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ...

სოფელში ძიძამ პატარა ინოლას ფანდურსა და ჩონგურზე დაკვრა ასწავლა. უკრავდა ძიძა ჩონგურს და ზედ მეგრულ სიმღერებს ამღერებდა.

ძიძისაგან ინოლამაც ისწავლა ეს საოცარი სიმღერები. თანატოლები ხშირად სთხოვდნენ:

– დაუკარი, ინოლა, ფანდურზე, ჩონგურზე, გვიმღერე რამე!

ინოლა ჩამოჰკრავდა თავის პატარა თითებს საკრავს და უმღერდა მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ცისარტყელას, მთებს, ანკარა წყაროებს, „მზიან, რძიან თეთრ გვირილებს“... ყველაზე მეტად მზე უყვარდა და „მზისფერ“ სიმღერებზე ოცნებობდა.

ერთხელ ინოლას მამიდამ შვიდსიმიანი გიტარა მოუტანა და ასწავლა დაკვრა. აიღებდა გიტარას ხელში და – ლექსი და სიმღერაც იქვე იბადებოდა... გაიზარდა, ცნობილი კომპოზიტორი, მომღერალი და პოეტი გახდა – მშვენიერი სიმღერები დაწერა.

ინოლას განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები და მათ ბევრი სიმღერაც აჩუქა.

ახლა ინოლას შესრულებით სიმღერა – **„საქანელა“** მოვისმინოთ.

ინოლა გურგულია

მეთოდური მითითება: მასწავლებელი ბავშვებს აცნობს ახალ საკრავს გიტარას სასურველია მან ბავშვებს გიტარა უჩვენოს და თუ შეუძლია დაუკრას და უმღეროს – თუნდაც „ჟუჟუნა წვიმა“ ან „ჭრელო პეპელა“ მათ ეს ყოველთვის ძალიან მოსწონთ.

მუსიკალური განტვირთვა:
ინოლა გურგულია „საქანელა“.

ცანგალა და გოგონა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

ახალი სიმღერის შესწავლა: „ცანგალა და გოგონა“

...ერთ პატარა სოფელში ბიჭი-ცანგალა ცხოვრობდა. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა – გოგონა, თედო, მიხო, ია, პეტრე, კატო, თეკლე, მაგრამ ყველაზე მეტად გოგონასთან თამაში უყვარდა. დიდი ონავარი და ეშმაკი ვინმე იყო ცანგალა: რასაც დააშავებდა – გატეხდა, დაკარგავდა თუ სხვისი ბაღიდან ხილს მოიპარავდა – ყველაფერს გოგონას აბრალებდა, გოგონა კი ყოველთვის ჩუმად იყო...

ერთხელ ცანგალა ქალაქში წავიდა. გზად სხვის ვენახში გადაძვრა, ყურძენი მოიპარა და უბეში ჩაიყარა. სიჩქარეში ვერც კი შენიშნა, ვენახში რომ კახური ქუდი დაუვარდა. ქუდი მას გოგონამ აჩუქა და ზედ „ცანგალაც“ მოუქარგა.

ცანგალა სოფელში დაბრუნდა, დაუძახა მეგობრებს და ყურძნით გაუმასპინძლდა, თან იცრუა – ყურძენი გოგონამ გამომატანაო. გახარებულმა ბავშვებმა ლხინი გააჩაღეს: თედო ჩონგურს უკრავდა, მიხო – ფანდურს, კატოს დაირა ეჭირა, პეტრეს – დოლი, იას – წიკო-წიკო.

ამ დროს სოფელში უცხო კაცი გამოჩნდა, ხელში ცანგალას ქუდი ეჭირა და მის პატრონს ეძებდა. კაცი ბავშვებთან მივიდა და იკითხა:

– რომელია ცანგალა, ჩემი ვენახიდან ყურძენი რომ მოიპარა?

გაკვირვებულმა ბავშვებმა ცანგალას შეხედეს.

– მე არ მომიპარავს, გოგონამ მომცა, – გაჯიუტდა ცანგალა.

– გოგონა როგორ მოიპარავდა, ქუდზე შენი სახელია ამოქარგული! – გაამტყუნეს ბავშვებმა.

– ბოდიში, მაპატიეთ! გოგონა, გთხოვ, შენც მაპატიო, აღარასოდეს მოვიქცევი ცუდად! – ემუდარებოდა დარცხვენილი ცანგალა.

– კარგი, მიპატიებია!

– მეც მიპატიებია გოგონას ხათრით და კიდევ იმიტომ, ასეთი ლამაზი სახელი რომ გქვია, – თქვა ყურძნის პატრონმა და სიმღერა შემოსძახა:

„ცანგალა და გოგონა და,
ცანგალა, გოგონა...“

გოგონამ ლამაზად გაშალა ხელები და ცანგალა საცეკვაოდ გაიწვია.

განტვირთვა თამაში: ბავშვები ისმენენ სიმღერის ჩანაწერს, სწავლობენ ტექსტსა და მელოდიას: სიმღერის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი კლასს გოგოებად და ბიჭებად გაყოფს. ბიჭები იწყებენ: „ცანგალა და გოგონა და“... გოგონები უპასუხებენ: „ცანგალა გოგონა“... ასევე მეორეჯერ. „გოგნი-გოგნიზე“ ბავშვები ტაშს აყოლებენ ცეკვავენ და თამაშობენ.

მასწავლებელი კლასში უყვება „ცანგალა და გოგონას“ ამბავს. ბავშვებს შეუძლიათ გაითამაშონ ეს ამბავი და გადაინაწილონ როლები. სიმღერისას აჰყვნენ თავიანთი **„დასარტყამი საკრავებით“**. ეს თამაში – სიმღერა დაკავშირებულია ხმებთან, მოძრაობებთან, რიტმულ ფიგურაციებთან, ტემპის მონაცვლეობასთან და ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელ ინტონაციებთან.

ცანგალა და გოგონა

ქართლ-კახური



მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ძირითად მოტივზე, ამღერებს ბავშვებს რამდენჯერმე და სთხოვს დაითვალონ, რამდენი ბგერისაგან შესდგება ეს მოტივი.



ვითამაშოთ ნახატებით – 2

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი

მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ნახატებიან ფურცლებს და სთხოვს, ხმით გამოხატონ ნახატებზე მოცემული ამბავი; I ნახატი – ბაჭია სტაფილოს ახრამუნებს. II ნახატი – ბაჭიას დაეცა ვაშლი. III ნახატი – ბაჭიას შეეშინდება და გარბის. ამის შემდეგ LMMS-ს პროგრამაში ბავშვები ააჟღერებენ ამ ნახატების შესაბამის ხმებს და ისე დაალაგებენ ტრეკებს, რომ ხმებით მივიღებთ პატარა ისტორიას.

აქტივობა 13: ამ აქტივობაში მოცემულია სამი ტრეკი. ბავშვებმა უნდა მოისმინონ და გამოიცნონ, რომელი ტრეკი შეესაბამება ნახატზე არსებულ მოქმედებას, შემდეგ კი ტრეკები დაალაგონ ნახატების თანმიმდევრობით.

I

II

III



განტვირთვა-თამაში: „სკამობანა“

ამ აქტივობას მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს ატარებს. თამაშში მთელი კლასი მონაწილეობს. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები, აქტიური, მოძრავი, რომლებიც სიარულთან და სირბილთან არის დაკავშირებული. მაგ. **ი. ბრამსი „უნგრული ცეკვა“; ჯ. მაღალაშვილი** სიმღერა **„ჯადოსნური ქალაქი“.**

ვაწყობთ წრეში სკამებს. თუ კლასში 10 ბავშვია, სკამი უნდა იყოს ერთით ნაკლები. ისმის მუსიკა. სანამ ბავშვები მუსიკას გაითავისებენ, ტაშითა და ფეხის ბაკუნით გამოხატავენ ნაწარმოების რიტმს. შემდეგ დარბიან სკამების გარშემო. მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გამორთოს მუსიკა. ბავშვებმა უნდა მოასწრონ სკამზე დაჯდომა. ვინც უსკამოდ რჩება, გადის თამაშიდან. სკამების წრეს აკლდება კიდევ ერთი სკამი.

მუსიკალური ლექსიკონი:

ტრეკი – ინგლისური სიტყვაა და ნაკვალევს, გზას ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას, არხს. კომპიუტერულ პროგრამაში ადამიანის ან საკრავის ხმა განლაგებულია ტრეკებზე.

ვითამაშოთ ეზოში – 2

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

რიტმული სავარჯიშო: ბავშვები ტაშით და „დასარტყამი საკრავებით“ ერთდროულად ასრულებენ სავარჯიშოს. მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს საკრავები: ფანქრის კაკუნი, მუხლებზე ხელების დარტყმა, მაკრატელი, საშლელი...



ვითამაშოთ ეზოში – 2: მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს სხვადასხვა ხმას. მაგ.: ფოთლების შრიალის, ჭექა-ქუხილის, წვიმის წვეთების, მანქანის, ცხენის ჯირითის, ზღვის ტალღების ხმას და სთხოვს ამოიცნონ ეს ხმები. ბავშვები სათითაოდ ჩამოთვლიან ამ ხმებს. შემდეგ ბავშვები უსმენენ **რ. შუმანის საფორტეპიანო პიესას – „მამაცი მხედარი“.** მათ უნდა ამოიცნონ, მოსმენილთაგან რომელ ხმას ესადაგება ეს მუსიკალური პიესა. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა თითოეული ბავშვის აზრი მოისმინოს. შეიძლება ბავშვებს სხვა განწყობა შეუქმნას ამ პიესამ და მასწავლებელმა განსხვავებული პასუხები მიიღოს. ასეთი განწყობაც საინტერესოა ბავშვებისგან, რადგან თითოეულ მათგანს ინდივიდუალური აღქმის უნარი და ხედვა აქვს.

მამაცი მხედარი

რობერტ შუმანი



მეთოდური მითითება: მასწავლებელი გამოყოფს ამ ნაწარმოების ძირითად მოტივს და რამდენჯერმე გაამღერებს ბავშვებს. ამ მოტივს ისინი აჰყვებიან დასარტყამი საკრავებით: „პენალი-ჟღარუნა“, „პლასტმასის ჭიქები“ „ფანქრის კაკუნი“...

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ და დაითვალონ ბგერები.



ვითამაშოთ ფერადი ბუშტებით

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, გაბერონ სახლიდან მოტანილი ფერადი ბუშტები. მასწავლებელი შეაბამს თოკს და გაჭიმავს საკლასო ოთახის კედელზე. ამის შემდეგ ბავშვები უყურებენ **ვიდეოს** და უკვე ხვდებიან, როგორი აქტივობა უნდა შეასრულონ. ბავშვები რიგების მიხედვით ინაწილებენ რიტმულ სავარჯიშოს 2/4 ზომაში.



I რიგი – მერხზე მონაცვლეობით არტყამენ პლასტმასის ფერად ჭიქებს.

II რიგი – ორ ფანქარს მონაცვლეობით აკაკუნებენ.

III რიგი – ბუშტებს რიტმულად აყოლებენ სათამაშო მაკრატლის ხმას. ერთი ბავშვი ამ მარტივ რიტმულ ფიგურაციას აყოლებს თავის ქმედებას, ანუ გრძელი ჭიკარტით ყოველ მეორე თვალზე ხეთქავს თითო ბუშტს. ეს სახალისო და ფერადოვანი აქტივობა შეგიძლიათ შეასრულოთ რამდენიმე გაკვეთილზე და თან ააყოლოთ ნასწავლი სიმღერა ან მუსიკალური ნაწარმოები. რაც უფრო მეტი ბუშტი იქნება, მით უფრო დიდხანს გაგრძელდება მუსიკალური ექსპერიმენტი.

ბავშვებს შეუძლიათ გადაიღონ ვიდეო კლასში საკუთარ შემოქმედებაზე.

მუსიკალური განტვირთვა: მასწავლებელი ბავშვებს ამზადებს გაზაფხულის დღესასწაულისათვის და იმეორებენ ყველა ადრე ნასწავლ სიმღერას: „ლალე“, „მზე შინა“, „ჩაიდანი“, „საათი“, „ტრიალებს ბრუნავს“, „ნოე ბაბუს კიდობანი“.

სწავლობენ აგრეთვე ახალ „სათამაშო“ სიმღერას **გრ. ჩხიკვაძის „გაზაფხული“**

ამ მხიარულ სიმღერას ბავშვები შეასრულებენ გაზაფხულის დღესასწაულზე თავიანთი **„დასარტყამი საკრავებით“:** ქვაბის თავსახურები, პენალი-ჟღარუნები, პლასტმასის ჭიქები, კენჭები, მაკრატელი, ქვასანაყი... ეს ყველაფერი ძალიან გაახალისებს ამ სიმღერას. ბავშვები მღერიან და თან თანხლებას უკეთებენ თავიანთ შემოქმედებას.

გაზაფხული

მუს: გრ. ჩხიკვაძის
ტექსტი: გ. ქუჩიშვილის









მოხვალ და თან მოგყვებიან
მოჭიკჭიკე ჩიტები,
ბულბულები, მერცხლები,
შაშვები და გვრიტები.
} 2 - ჯერ

გაზაფხულო, გაზაფხულო,
რა კარგი ხარ, რა კარგი.
ყვავილებით მორთული,
მზის სხივებით ნაქარგი.

ვითამაშოთ ნახატებით – 3

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი

მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ნახატებიან ფურცლებს და სთხოვს, ხმით გამოხატონ ნახატებზე მოცემული ამბავი. I ნახატი – ბიჭი თამაშობს ბურთით. II ნახატი – გაწვიმდა. III ნახატი – ბიჭი გარბის. ამის შემდეგ, LMMS-ს პროგრამაში ბავშვები ააჟღერებენ ამ ნახატების შესაბამის ხმებს და ისე დაალაგებენ ტრეკებს, რომ ხმებით მივიღებთ პატარა ისტორიას.

აქტივობა 14: ამ აქტივობაში მოცემულია სამი ტრეკი. ბავშვებმა უნდა მოისმინონ და გამოიცნონ, რომელი ტრეკი შეესაბამება ნახატზე არსებულ მოქმედებას. შემდეგ კი, ტრეკები დაალაგონ ნახატების თანმიმდევრობით.

განტვირთვა თამაში: მოუსმინე ხმას და იპოვე შენი მეგობარი. ეს თამაში-აქტივობა მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს როგორც კლასში, აგრეთვე, ბუნებაში, ექსკურსიაზე.

კლასში მასწავლებელი ამოარჩევს ორ ბავშვს, დაურიგებს საგნებს: პენალი-ჟღარუნასა და პლასტმასის ჭიქას. მესამე ბავშვი დაუკრავს ტაშს. თვალებახვეული ბავშვი უსმენს თანაკლასელების ქმედებებს. პერიოდულად სხვადასხვა ადგილიდან ხან ერთი ხმა ისმის, ხან – მეორე, ხან – მესამე და თვალებახვეულმა ბავშვმა საგნის ხმით უნდა გამოიცნოს თანაკლასელის ადგილმდებარეობა. ეს აქტივობა უვითარებს ბავშვებს სმენას, ყურადღებას და კონცერნტრაციის უნარს. მოსწავლე უსმენს და აკვირდება გარემოში არსებულ ხმა-ბგერებს. ამ თამაშისათვის შეიძლება გამოიყენონ სათამაშო საყვირი.

ფერხული ჩავაბათ, ბიჭო!

რესურსი: აუდიო და ვიდეომასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით

განტვირთვა თამაში: „ვისია, ვისია“ – ქართული ხალხური საფერხულო სიმღერა.

მასში ორი საფერხულო სიმღერაა გაერთიანებული: „ვისია, ვისია“ და „ფერხული ჩავაბათ, ბიჭო“. ტექსტის და მელოდიის შესწავლა აქაც ერთდროულად ხდება. მასწავლებელი გოგონებს დაურიგებს ყვავილების გვირგვინებს.

ვისია, ვისია ქალი ლამაზი, ჰე, ჰე,
ჩვენია, ჩვენია ქალი ლამაზი, ჰე, ჰე.
ფერხული ჩავაბათ, ბიჭო, შენ კი გენაცვალე, ჰეიდა,
დავაგუგუნოთ ლხინია, შენ კი გენაცვალე, ჰეიდა,
ბავშვიც ბევრი ვათამაშოთ, შენ კი გენაცვალე, ჰეიდა,
მარიამი და თინია, შენ კი გენაცვალე, ჰეიდა,
ტაში, ტაში, ტაში, ბიჭო, შენ კი გენაცვალე, ჰეიდა,
ტაში, ტაში, ტაში, გოგო, შენ კი გენაცვალე, ჰეიდა, ჰე!..

შემდგომ ბიჭები ხელებით შეკრავენ „ხიდის“ თაღს და მღერიან „ვისია, ვისია, ქალი ლამაზი?“ ამ სიმღერის ფონზე გოგონები ყვავილების გვირგვინებით სათითაოდ გაივლიან ხიდქვეშ. სიტყვებზე „ფერხული ჩავაბათ, ბიჭო“ ყველა ერთად შეკრავს წრეს და დააბამენ ფერხულს. „ჰეიდაზე“ ჩერდებიან და ხელებს მაღლა სწევენ. ფერხული თანდათან ჩქარდება და სიტყვებზე „ტაში, ტაში“, წრე გაიშლება, სოლისტები (გოგო-ბიჭი) ცეკვავენ სოფლურ ცეკვას წრის შუაგულში. ბავშვები აგრძელებენ სიმღერას. მათ „დასარტყამ საკრავთა ორკესტრიც“ აჰყვება თავისი საკრავებით, რომლებიც სიმღერისა და ცეკვის ტაქტის ძლიერ დროს „საკრავების“ ხმაბგერებით გამოყოფს. ყოველი სიმღერისა და ცეკვის შემდეგ ბავშვები შეძახილებითა და ტაშით ამხნევებენ ერთმანეთს.



მუსიკალური განტვირთვა: ახლა „დირიჟორობანა“ ვითამაშოთ, მოვისმინოთ მუსიკა და მორიგეობით ვიდირიჟოროთ.

მასწავლებელი კვლავ შეახსენებს დირიჟორის მნიშვნელობას. „პატარა დირიჟორები“ მორიგეობით „დირიჟორობენ“ ბრამსის „უნგრულ ცეკვას“, ვ.ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“ I ნაწილს, ი. შტრაუსის „რადეცკი მარშს“. „დირიჟორი“ დგება კლასის („ორკესტრის“) წინ, სახით ბავშვებისაკენ და „დირიჟორობს“. ბავშვები მუსიკას აჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“.

ფერხული ჩავაბათ, ბიჭო!

ქართლური



ვითამაშოთ ნახატებით – 4

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 35 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს ნახატებიან ფურცლებს და სთხოვს, ხმით გამოხატონ ნახატებზე მოცემული ამბავი. I ნახატი – გოგონა კუბიკებით აშენებს სახლს. II ნახატი – სახლი დაინგრა, გოგონა ტირის. III ნახატი – ბიჭმა ააშენა სახლი და უხარიათ. ამის შემდეგ, LMMS-ს პროგრამაში ბავშვები ააჟღერებენ ამ ნახატების შესაბამის ხმებს და ისე დაალაგებენ ტრეკებს რომ ხმებით მივიღებთ პატარა ისტორიას.

აქტივობა 15: ამ აქტივობაში მოცემულია სამი ტრეკი. ბავშვებმა უნდა მოისმინონ და გამოიცნონ, რომელი ტრეკი შეესაბამება ნახატზე არსებულ მოქმედებას, შემდეგ კი ტრეკები დაალაგონ ნახატების თანმიმდევრობით.

განტვირთვა თამაში: ბავშვები უსმენენ **დ. შოსტაკოვიჩის – საბალეტო სიუიტა №1, სკერცო – ვალსი „თოჯინები“.** გოგონებს კლასში მოაქვთ თოჯინები. მუსიკის ფონზე ცეკვავენ თოჯინებთან ერთად და თამაშობენ. ბიჭები **„დასარტყამი საკრავებით“** ჰყვებიან მუსიკას.

შემაჯამებელი გაკვეთილი

გაზაფხულდა. მასწავლებელი ამზადებს ბავშვებს სპექტაკლისათვის **„სკოლობანა“**. მუსიკის ფონზე – **კ. დებიუსი „მთვარის შუქი“** – უკითხავს პატარა მოთხრობას **„ჰიმნი დედა ენას“**, რომელიც საფუძვლად დაედო სპექტაკლის სცენარს.

იაკობ გოგებაშვილი

ჰიმნი დედა ენას

...გაზაფხულზე ისევ ადიდდა ლიახვი და დატბორა სოფელი ვარიანი. გუბეებში ბავშვები ფეხშიშველა დატყაპუნობდნენ და თამაშობდნენ.

– ია, ია, ია-ბიჭო!!! – დახეთ, დახეთ, ისევ ფეხშიშველა მოტანტალებს! – არ გაცივდე, შვილო!...

– არა, არა, ნინა ბებო, მიწა ისეთი თბილია, არ გავცივდები, უფრო კარგი ბიჭი და დიდი კაცი გავიზრდები!..

– ღმერთმა გისმინოს, შვილო, კარგი ბიჭი და დიდი კაცი გაიზარდე, სახელოვანი, – დალოცა ნინა ბებომ.

იაკობის მამა სიმონი სოფლის მოძღვარი იყო. სწორედ მასთან მიიჩქაროდა გულდაწყვეტილი ია-ბიჭი საჩივლელად:

– მამი, მამი, რად მეძახიან იასა, მე ხომ ბიჭი ვარ, რა არის ეს ია, ია-ბიჭო?

– ნუ დარდობ, შვილო, დახე, რა ლამაზი ყვავილი ამოსულა ფერდობზე, აი, ეს არის ია – აი ია, აბა შეაგროვე კენჭები და მიწაზე დახატე – „აი ია“.

ცოტა ხანში მიწაზე გამოისახა „აი ია“. გახარებული ბიჭი თანატოლებს ამაყად აჩვენებდა:

– შეხეთ, შეხეთ, როგორი წერა-კითხვა ვისწავლე.

პატარა იაკობს ტკბილი, წკრიალა ხმა ჰქონდა, ექვსი-შვიდი წლისას მამამ ასე თამაშ-თამაშით ასწავლა ანბანი, ლექსები, ხალხური სიმღერები და საგალობლები, ის კი ცოდნას თანატოლებს უზიარებდა: დასვამდნენ დიდი მუხის ქვეშ, გარს შემოეხვეოდნენ და ყურადღებით უსმენდნენ ია-ბიჭს. ისიც გადახედ-გადმოხედავდა ბავშვებს თავისი კაკლის მურაბისოდენა თვალებით და დაიწყებდა სიმღერას.

გავიდა წლები.. სოფელ-სოფელ ფეხშიშველა მოტანტალე ია-ბიჭი მართლაც „კარგი ბიჭი და დიდი ადამიანი“ გამოვიდა – ბავშვებს უამრავი წიგნი დაუწერა, მათგან ყველაზე ძვირფასი და საყვარელი – „დედა ენა“. იაკობი დიდხანს ფიქრობდა, რითი დაეწყო ქართული ანბანის სწავლება. ერთხელაც, მშობლიურ ვარიანში ჩასულს, თავისსავე დაარსებულ სამრევლო სკოლაში თვალხატულა გოგომ ია-იების კონა მიაწოდა – „აი იაო“. იაკობს კენჭებით გამოსახული „აი ია“ გაახსენდა, სოფელი, მამა, ბავშვობა, სიმღერები – ყველაფერი საოცრად მონატრებოდა... „დედა ენა“ „აი იათი“ დაიწყო და სოფელში ნასწავლი ხალხური სიმღერების ნოტებიც დაურთო.

იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, სოფელ ვარიანში



მუსიკალური ლექსიკონი:

ჰიმნი – ბერძნული სიტყვაა და სადიდებელ სიმღერას ნიშნავს.

სკოლობანა

საბავშვო სპექტაკლი ი. გოგებაშვილის **„დედა ენის“** მიხედვით

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 8 გაკვეთილი

მოქმედი გმირები: მთხრობელები, ია-ბიჭი, ნინა ბებო, ია-გოგო, კატო, თედო, მიხო, პეტრე და სოფლის ბავშვები, პატარა დირიჟორი სათამაშო საყვირით.

სოფლის დილა. კ. დებიუსის **„მთვარის შუქისა“** და ჩიტების ჭიკჭიკის ფონზე ბავშვები იწყებენ თხრობას. ამბავი ვითარდება სოფლად, დიდი მუხის ქვეშ. მუსიკა გრძელდება ია-ბიჭის ამბის თხრობის დამთავრებამდე.

I მთხრობელი: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა.

II მთხრობელი: მას სოფელში ია-ბიჭს ეძახდნენ, მის სოფელს კი ვარიანი ერქვა.

ბავშვები ამთავრებენ თხრობას. გუბეში მოტყაპუნობს ია-ბიჭი და გამოდის სცენაზე. (სცენის სიღრმეში, შუაგულში, დიდი მუხის სურათია. მის წინ ხის კუნძებია განლაგებული.)

ია-ბიჭი (მუსიკის ფონზე – კ. დებიუსი **„მთვარის შუქი“):** გაზაფხულზე ისევ ადიდდა ლიახვი და დატბორა ჩემი სოფელი ვარიანი. გუბეებში ჩემი თანასოფლელი ბავშვები ფეხშიშველა დატყლაპუნობენ და თამაშობენ. აი, მეც მთელი დღე ფეხშიშველა დავრბივარ სოფელში...

ამ დროს შემოდის ნინა ბებო, ხელში ია-ბიჭის ქალამნები უჭირავს და მიმართავს ია-ბიჭს:

ნინა ბებო: – ია, ია-ბიჭო! დახეთ, დახეთ, ისევ ფეხშიშველა მოტანტალებს. არ გაცივდე, შვილო, ჩაიცვი ფეხზე.

ია-ბიჭი: – არა, არა, ნინა ბებო, მიწა ისეთი თბილია, არ გავცივდები, უფრო კარგი ბიჭი და დიდი კაცი გავიზრდები.

ნინა ბებო: – ღმერთმა გისმინოს, შვილო, კარგი ბიჭი და სახელოვანი ადამიანი გაიზარდე!

(ნინა ბებო გადის სცენიდან და ია-ბიჭს უტოვებს ქალამნებს.)

ია-ბიჭი მუხის ძირას დაჯდება. სცენაზე მუსიკის ფონზე (ი.შტრაუსი – „რადეცკის მარში“) მხიარულად შემოდიან სოფლის ბავშვები. ხელში სხვადასხვა „დასარტყამი საკრავი“ უჭირავთ: პენალი-ჟღარუნები, ხისა და რკინის კოვზები, ქვასანაყი, ქვაბის თავსახურები, კენჭები, ფანქრები (კენჭებსა და ფანქრებს ერთმანეთს შემოარტყამენ. თითოეულ „საკრავზე“ დაუკრავს 3-4 მონაწილე.)

ბავშვები მუხის ძირას იკრიბებიან ია-ბიჭთან ერთად:

I მთხრობელი: ია-ბიჭს საოცრად ლამაზი, წკრიალა ხმა ჰქონდა. მისი მამა, სიმონი, სოფლის მოძღვარი იყო.

II მთხრობელი: მამა ია-ბიჭს თამაშ-თამაშით ასწავლიდა ქართულ ანბანს, ლექსებს, ხალხურ სიმღერებს, საგალობლებს.

I მთხრობელი: ის კი ყოველდღე დიდი მუხის ქვეშ დასხამდა თავის თანატოლებს და იწყებოდა „სკოლობანას“ თამაში.

შუაში ზის ია-ბიჭი – „მასწავლებელი“ და იწყებს გაკვეთილს:



ია-ბიჭი: აბა, ბავშვებო, დღეს ყველაფერი გავიმეოროთ, რაც ვისწავლეთ. ჩვენს სამშობლოს რა ჰქვია?

ბავშვები: საქართველო, საქართველო!

ია-ბიჭი იწყებს სიმღერას „ლალე, ლალე“. ბავშვები ჰყვებიან სიმღერას და ასრულებენ ფერხულში. ბავშვების დახმარებით ია-ბიჭი გაშლის საქართველოს რუკას და ეკითხება მათ:

ია-ბიჭი: ეს რა არის, ბავშვებო?

ბავშვები: საქართველოს რუკა!

ია-ბიჭი: რამდენი კუთხეა საქართველოში?

ბავშვები: 16.

(ბავშვები ჩამოთვლიან საქართველოს კუთხეებს და ბიჭები წარმოთქვამენ ლექსებს საქართველოზე ი. გოგებაშვილის „დედაენიდან“.)

1. „ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით ეხვიოს თავზე მტერია,

2. არ გადიწყვიტოს იმედი, არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაგმობს და დასწყევლის მოძმე, ერი და ბერია“.

3. „მამულო, შენთვის მოვკვდები, შენთვის ჩავიცვამ შავსაო,
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს, შემოგევლები თავსაო“.
ხალხური

4. „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი,
და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი.

5. ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო -
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“.
დუტუ მეგრელი

(ბავშვები სპექტაკლს აფორმებენ ყველა იმ სიმღერითა თუ ინტონაციური სავარჯიშოთი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ისწავლეს. ამით ხდება ცოდნის გამტკიცება და ნასწავლის შეჯამება.)

ბავშვები მღერიან „მზე შინა და მზე გარეთას“. ამის შემდეგ ბავშვების ერთი ჯგუფი ჩააბამს ფერხულს და ასრულებს მესხურ ხალხურ სიმღერას – „მამლი მუხასა“. ბავშვების მეორე ჯგუფი „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“ (ხისა და რიკინის კოვზებით, ჟღარუნებით, კენჭებით, ქვასანაყით, ქვაბის თავსახურებით) აჰყვება მათ: სიმღერის პირველ კუპლეტს აჰყვებიან მხოლოდ კოვზებით, კენჭებითა და ფანქრების კაკუნით 4/4 ზომაში, მონოტონურად. ხოლო სიტყვებზე „მამლი მუხასაო“, შემოჰკრავენ ჟღარუნებს, ქვასანაყსა და ქვაბის თავსახურებს. ეს ყველაფერი ძალიან სახალისოს გახდის სიმღერას.

ია-ბიჭი შეაქებს ბავშვებს და გოგონებს ურიგებს მინდვრის ყვავილებისაგან დამზადებულ გვირგვინებს.

ია-ბიჭი: აბა, ვინ იტყვის ლექსებს გაზაფხულზე?

გოგონები ამბობენ ლექსებს გაზაფხულზე ი. გოგებაშვილის „დედაენიდან“:

1. „გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია;
ჩვენს სალხენად კოკობს ვარდსაც
ეშხით გული გაუღია.
2. ხავერდივით მწვანე ბალახს
აბიბინებს სიო ნაზად,
თითქოს უნდა დაეფინოს
იმ ყვავილებს ფიანდაზად.
3. მაღალ მთიდან წმინდა წყარო
მოცქრიალებს ჩუხჩუხითა,
თითქოს ნანას ეუბნება,
ძუძუმწოვრებს ტკბილი ხმითა.
4. ხის ტოტებზე ჩიტუნები
ფრთხიალობენ სრიალობენ,
იშენებენ მაღლა ბუდეს,
დაჰხარიან და გალობენ.

5. და მახლობლად იქვე თავი
მოუყრიათ ყმაწვილებსა,
იმღერიან და თან ჰკრეფენ,
სხვადასხვა ფერს ყვავილებსა“.
აკაკი წერეთელი

ბავშვები მღერიან **გრ. ჩხიკვაძის** სიმღერას **„გაზაფხული“**, თან ჰყვებიან **„დასარტყამი საკრავებით“**.

შემდგომ ბიჭები ხელებით შეკრავენ **„ხიდის“** თაღს და მღერიან **„ვისია, ვისია, ქალი ლამაზი?“** ამ სიმღერის ფონზე გოგონები ყვავილების გვირგვინებით სათითაოდ გაივლიან ხიდქვეშ. სიტყვებზე **„ფერხული ჩავაბათ, ბიჭო“** ყველა ერთად შეკრავს წრეს და დააბამენ ფერხულს. **„ჰეიდაზე“** ჩერდებიან და ხელებს მაღლა სწევენ. ფერხული თანდათან ჩქარდება და სიტყვებზე **„ტაში, ტაში“,** წრე გაიშლება, სოლისტები (გოგო-ბიჭი) ცეკვავენ სოფლურ ცეკვას წრის შუაგულში. ბავშვები აგრძელებენ სიმღერას. მათ **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრიც“** აჰყვება თავისი საკრავებით, რომლებიც სიმღერისა და ცეკვის ტაქტის ძლიერ დროს **„საკრავების“** ხმა-ბგერებით გამოყოფს. ყოველი სიმღერისა და ცეკვის შემდეგ ბავშვები შეძახილებითა და ტაშით ამხნევებენ ერთმანეთს.

1. ია-ბიჭი იწყებს:
„ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა...
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იამა.....

აბა, ვინ გააგრძელებს? ვინ დაისწავლა ეს ლექსი კარგად?

2. ალერსით უთხრა: „პეპელა,
თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არა გღლის მთელი დღე
მოუსვენარი ფრენაო?“

3. პეპელამ უთხრა: „მინდორში
ვცხოვრობ მე უზრუნველადო...
იქ ყვავილები გაშლილან
ჩემ საზრდოდ, საწუწნელადო.

4. რაც დღე მაქვს, ტკბილად ვატარებ,
ჩემს ნებაზედაც დავფრენო,
მაგრამ დღეგრძელი არა ვარ...
გამიშვი... ნუღა მაცდენო!“

5. ყმაწვილმა ხელი გაუშვა,
გაფრინდა ნაზი პეპელა...
და თითქოს ნიშნად მადლობის,
თავს ევლებოდა ნელ-ნელა“.
აკაკი წერეთელი

ამის შემდეგ, სრულდება სიმღერა **„ჩემი ლამაზი პეპელა“ „მინუს“** ფონოგრამაზე. ასრულებენ სოლისტი და ბავშვები.

ია-ბიჭი: გეოგრაფიისა და ქართული ენის გაკვეთილები დამთავრდა, ახლა მუსიკის გაკვეთილის დროა! რამდენი ნოტი გვაქვს მუსიკაში?

ბავშვები: 7 – დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, (დო).

ბავშვები მღერიან შვიდ მხიარულ ნოტს ჯერ ლეგატოზე და შემდგომ სტაკატოზე, გაორმაგებული ბგერებით. თან ჰყვებიან **„საკრავებით“.**



„მუსიკის გაკვეთილზე“ გაიმღერებენ ყველა იმ ინტონაციურ სავარჯიშოს, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ისწავლეს: **„მხიარული ნოტები“, „მუსიკალური კიბე“:** ცხოველებზე, **ი და ა** ბგერებზე, **ა, ე, ი, ო, უ**-ზე, **„აი ჩემი საქართველო“.** (ია-ბიჭი უჩვენებს ნახატს **„მუსიკალური კიბე“,** რომლის მიხედვითაც ბავშვები ასრულებენ ამ სავარჯიშოებს.)

ინტონაციური სავარჯიშოების გამღერების შემდეგ გაისმის **ვ. ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადა“,** I ნაწილი – პატარა დირიჟორის ლაიტმოტივი. ბავშვები მიხვდებიან, რომ მათ პატარა დირიჟორიც შემოუერთდა სათამაშო საყვირით. ისინი შესძახებენ:

ბავშვები: პატარა დირიჟორი! პატარა დირიჟორი!

პატარა დირიჟორი: ეს სათამაშო საყვირია, ქალაქიდან ჩამოგიტანეთ.

პატარა დირიჟორი საყვირზე ასრულებს მარტივ ინტონაციურ სავარჯიშოს, მაგალითად, დო მაჟორის გაორმაგებულ ბგერებს. ბავშვები ჰყვებიან სიმღერითა და **„საკრავების“** ხმა-ბგერებით.

პატარა დირიჟორი: ყურადღება, ყურადღება! ვიწყებთ კონცერტს!

ბავშვები ასრულებენ ყველა იმ სიმღერას, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ისწავლეს:

1. „ჩაიდანი“ – მიბაძავენ ჩაიდანს.
2. „საათი“ – მიბაძავენ საათს.
3. „ტრიალებს, ბრუნავს...“
4. „მამლი მუხასა“
5. „ნოეს კიდობანი“ – საკრავებით გამოხატავენ შენების ხმას.
6. „ორი რეზო“
7. „კრიჭი-კრიჭი“ – სათამაშო მაკრატლით ჰყვებიან რიტმს.
8. „მაი ლამაზი ბაჩაჩები“, რომელიც „წიკო-წიკოს“ ჩანაწერით მთავრდება. ბავშვები ცეკვავენ.

კონცერტის შემდეგ ია-ბიჭს შემოაქვს დიდი კალათი, რომელშიც ქართული ანბანის 33 ასო-ნიშანია მოთავსებული.

ია-ბიჭი: ბავშვებო, წერა-კითხვის დროც დადგა! ახლა ანბანი გავიმეოროთ. რამდენი ასოა ქართულ ანბანში?

ბავშვები: 33.

ია ბიჭი: აქედან ხმოვანი რამდენია?

ბავშვები: 5.

ა, ე, ი, ო, უ (ყველა ერთად).

ია-ბიჭს კალათიდან სათითაოდ ამოაქვს ასო-ნიშნები და ეკითხება ბავშვებს: ეს რა ასოა?

ბავშვები ასახელებენ ასოებს.

ია-ბიჭი დაფაზე დაწერს აი ია-ს.

ბავშვები (ყველა ერთად) ხმამაღლა კითხულობენ: **„აი ია“.**

ყველა ერთად ჩამოთვლის ქართული ანბანის ასო-ბგერებს.

მუსიკის ფონი – **კ. დებიუსი „მთვარის შუქი“**.

I მთხრობელი: გავიდა ხანი, სოფელ-სოფელ მოტანტალე ფეხშიშველა პატარა ია, მართლაც, კარგი ბიჭი და დიდი ადამიანი – იაკობ გოგებაშვილი გახდა.

II მთხრობელი: მან ბავშვებს უამრავი წიგნი დაუწერა, მათ შორის ყველაზე ძვირფასი და საყვარელი – **„დედა ენა“.**

I მთხრობელი: ის დიდხანს ფიქრობდა, რითი დაეწყო ქართული ანბანის სწავლება.

II მთხრობელი: ერთხელაც, მშობლიურ ვარიანში ჩასულს, თავისსავე დაარსებულ სკოლაში პატარა გოგომ იების კონა მიაწოდა და უთხრა: აი, ია.

I მთხრობელი: იაკობ გოგებაშვილმა **„დედა ენა“ „აი ია“**-თი დაიწყო.

მუსიკის ფონზე **რ. ლაღიძე – „ჰიმნი დედაენას“** ბავშვები სათითაოდ მაღლა ასწევენ ქართული ანბანის 33 ასობგერას და ასე მთავრდება თამაში **„სკოლობანა“** – შემეცნებით-გასართობი სპექტაკლი.

მუსიკის ფონზე, **ხალხური – „მახსოვს პირველად“**, ბავშვები ემშვიდობებიან სტუმრებს, მასწავლებლებს და გადიან დარბაზიდან.

სპექტაკლის მომზადებაზე ერთობლივად მუშაობენ მუსიკისა და ქართული ენის მასწავლებლები. სპექტაკლს აფორმებენ მრავალფეროვანი დეკორაციებით, ჩაიდნის, საათის, პეპლის, კიდობნის ...გამოსახულებებით, ფერადი ბუშტებითა და ყვავილებით.

„დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“

ნახვამდის, ბავშვებო, მომავალ შეხვედრამდე!

მე ძალიან მომენატრებით. თქვენ?!



მზე შინა



საქართველოს დროშა





გაამრავლეთ და დაურიგეთ ბავშვებს









I კლასის შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები

გაკვეთილი 15 - შემოდგომის დღესასწაული

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

მასწავლებელიდამოსწავლეებიამზადებენღონისძიებას-,,შემოდგომისდღესასწაული".ჩატერებული ღონისძიება შემდეგი კრიტერიუმებით ფასდება:

ღონისძიება - ,,შემოდგომის დღესასწაული''			
შესაბამისი გარემოს შექმნა	მოსწავლეთაჩართულობა	ღონისძიების მუსიკალურიგაფორმება	შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

ღონისძიება - ,,შემოდგომის დღესასწაული''			
შესაბამისი გარემოს შექმნა	მოსწავლეთაჩართულობა	სცენარის მომზადება და ღონისძიების მუსიკალურიგაფორმება	შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა

გაკვეთილი 37, 38, 39 - ხმების ამოცნობა და გამღერება

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

რიტმული სავარჯიშოს შესრულება და ხმების ამოცნობა		
რიტმულისავარჯიშოსშესრულება სხვადასხვა ყოფითი საგნის გამოყენებით	რიტმულისავარჯიშოსჯგუფური შესრულება ხმით, ტაშით და ყოფითი საგნებით	სიმღერების (,,ჭრელო პეპელა'' და ,,ჟუჟუნა წვიმა'') რიტმული ნახაზის მიხედვით სავარჯიშოს შესრულება, მახვილებით ძლიერი დროს გამოხატვა.

გაკვეთილი 48 - დააჯგუფე ხმა-ბგერები

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

საგნების ხმების ამოცნობა		
რიტმულისავარჯიშოსჯგუფური შესრულება, ანსამბლურობის დაცვა	მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამით გახმოვანებული საგნებისჟღერადობისმიხედვით ამოცნობა	მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში საგნების ჟღერადობის რაოდენობის განსაზღვრა (მაგალითად, ქვაბის ხმა-ორჯერ, რკინის კოვზი - ორჯერ და ა.შ.)

გაკვეთილი 65 - ჰიმნი დედა ენას

განმავითარებელი შეფასება (ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მასწავლებელი აძლევს სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს).

მასწავლებელიმუსიკისფონზე(კ.დებიუსი-,,მთვარისშუქი")უკითხავსმოსწავლეებსპატარამოთხრობას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სპექტაკლს - ,,სკოლობანა".
მასწავლებელიკითხვების დასმით ეხმარება მოსწავლეებს, იმსჯელონ მოთხრობის შინაარსზე.

მოთხრობის აღწერა			
ვის შესახებ არის მოთხრობა?	რა უპასუხა მამამ მასთან საჩივლელად მისულ იაკობს?	როგორისწავლაიაკობმა წერა?	რითი დაიწყო იაკობ გოგებაშვილმა ქართული ანბანის სწავლებადარატომ?

ფსიქოლოგიური დასკვნა

გარე სამყარო ყველა გრძნობადი შთაბეჭდილების მიღების წყაროა. ბავშვი სამყაროში არსებული საგნებისა და მოვლენების აქტიური შემმეცნებელი და, იმავდროულად, მათი შემოქმედი სუბიექტია. ეს პროცესი ფსიქიკური ფუნქციების მონაწილეობით ადრეული ბავშვობიდან დაწყებული მთელი ცხოვრების განმავლობაში ხორციელდება. ამ ფუნქციებს შორის, სამყაროს შეცნობაში, განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა მხედველობით, სმენით, ვესტიბულარულ-ტაქტილური აღქმის განვითარებას ენიჭება.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თემები უშუალოდ უკავშირდება ბავშვებში ყველა ამ სახის აღქმის განვითარებას. პირველი კლასის ბავშვის აღქმის თავისებურება აღქმისა და მოქმედების ურთიერთკავშირია. ნებისმიერი საგნის ან მოვლენის აღქმა თავისთავად გულისხმობს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით, რომელიც იმავდროულად რაღაც მოვლენაშია ჩართული, აქვს მისთვის დამახასიათებელი და სხვებისგან განსხვავებული ნიშან-თვისებები. აღქმის „სოციალიზაციისათვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგის მიერ ორგანიზებულ გარემოში თვალსაჩინო საგნებზე პრაქტიკული მოქმედება. ამ ასაკის ბავშვებისთვის მასწავლებლისგან წამოსული სიგნალები მათთვის უფრო მკაფიო და დამაჯერებელი ხდება.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა სამყაროში არსებული საგნების, მოვლენების მრავალფეროვნების შესახებ სმენითი შთაბეჭდილებების მიღება-გააზრების და მათი დამუშავების კარგ საშუალებას იძლევა. სხვადასხვა საგნის ხმა-ბგერებს, ხმაურს – ბავშვი ყურს უგდებს, იაზრებს, ამუშავებს შთაბეჭდილებებს და გადმოგვცემს საკუთარი ინტერპრეტაციით. ეს პროცესი ასევე კარგი საშუალებაა როგორც ბავშვის ესთეტიკური განცდის, ესთეტიკური ტკბობის ჩამოყალიბების, ასევე ემოციურ-ინტელექტუალური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით. სმენითი აღქმა და გააზრება-ინტერპრეტირება, ბავშვის ენობრივი განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ასაკში სმენითი ყურადღების ჩამოყალიბება, ყოველივე იმის აღქმა, რის მოსმენაც ხდება ყურით. კარგი სმენითი ყურადღების გამომუშავების გარეშე შეუძლებელია მასზე მოქმედი გარკვეული რაოდენობის სმენითი გამღიზიანებლების კომპლექსური გადამუშავება (ხმაური, სხვადასხვა ხმა, მათი ჟღერადობა, მელოდიურობა, ტემბრი, ტემპი და სხვა) და დამახსოვრება, რაც სმენითი დიფერენციაციის უნარის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

პირველი კლასის ბავშვს, თუ გამიზნული მასალა არ არის სახალისო, გაუგებარი და ბუნდოვანია, ყურადღების დიდხანს კონცენტრაცია უჭირს. მრავალფეროვანი გარეგანი აქტივობების გამოყენება-შესრულებისას მისი ყურადღება უფრო მობილიზებული ხდება. თემატური გაკვეთილები, რომლებშიც ჩართულია სხვადასხვა აქტივობა (სხვადასხვა საგნის აჟღერება, ხმა-ბგერებისგან მარტივი კომპოზიციების შექმნა, ამბების შეთხზვა, ხატვა, აპლიკაცია, კონსტრუირება და სხვ.) შემოქმედებითი პროდუქციის დამოუკიდებლად დამზადება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კერძოდ კი, ფაქიზი მოტორიკის განვითარებას ემსახურება, რომელიც ამ ასაკში შედარებით ჩამორჩება მსხვილ მოტორიკას. ბავშვისა და პედაგოგის სასწავლო-თამაშობითი ურთიერთობისას, სოციალიზაციის კონტექსტში, ვითარდება ბავშვის მრავალმხრივი ყურადღება. პარალელურად ხდება მისი პირის მოტორიკის განვითარება, რაც გულისხმობს ენის, ტუჩის, ქვედა ყბის მოძრაობას. ყოველივე ეს ბავშვს საკუთარი ყურადღების მართვასა და სამყაროში არსებულ საგნებსა და მოვლენებზე საკუთარი ემოციური დამოკიდებულების გამომუშავებაში ეხმარება. ერთობლივ საქმიანობაში ჩართულ ბავშვებს უვითარდებათ მასწავლებლის დავალების მოსმენის, მისი მითითებების გაგებისა და განსაზღვრულ დროში შესრულების უნარი. მარტივი რიტმული სავარჯიშოები ასევე ხელს უწყობს ბავშვის ნებისყოფის, თვითკონტროლის გამომუშავებას, ცვლილებებისადმი ადაპტირებას, განსაზღვრული ტემპისა და რიტმის სწორად აღქმასა და შეცვლილ რიტმზე სწრაფ რეაგირებას. მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ის აქტივობები, რომლებიც საინტერესო და სახალისო ელემენტებითაა გაჯერებული, ბავშვს აძლევს ფიქრის, აზროვნების საშუალებას, რათა ინტეგრირებულად მიცემული დავალება მონდომებით და გარკვეული სიზუსტის დაცვით შეასრულოს.

განტვირთვა-თამაშები, ხტუნაობა, ტაში, ფეხების ბაკუნი, მუსიკის მოსმენა და რიტმში მოძრაობა ასევე LMMS მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამის ჩართვით ხორციელდება. იმიტაციური მოძრაობების შესრულება ბავშვის ვესტიბულარულ ფუნქციას ავითარებს და ავტორელაქსაციის კარგი საშუალებაა. მთლიანობაში, სახელმძღვანელოში მოცემული ბავშვების უშუალო თანამონაწილეობით განხორციელებული აქტივობები მათი შემოქმედებითი უნარ-ჩვევების თავისუფლად გამოვლენა-განვითარებასა და სამყაროსთან ადაპტირებულ, აქტიურ შემოქმედად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ლია ქურხული

LMMS-ის ინსტრუქცია

LMMS არის მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა. ზუსტად ამ პროგრამაშია მოცემული და შესრულებული ის აქტივობები, რომელიც თან ერთვის 1-6 კლასის მუსიკის სახელმძღვანელოს. გთავაზობთ ამ პროგრამის მოკლე ინსტრუქციას:

პროგრამა LMMS-ის გახსნისთანავე გამოჩნდება ასეთი ინტერფეისი, რომელშიც ოთხი ძირითადი ფანჯარაა, თუმცა აქ მოცემული გაკვეთილებისთვის დაგვჭირდება ორი:

Song-Editor (ფანჯარა მარცხენა ზედა მხარეს) და Beat+Bassline Editor (ფანჯარა ზედა მარჯვენა მხარეს).



პროექტის შენახვა.

უმჯობესია თავიდანვე შევინახოთ გახსნილი პროექტი სასურველ ადგილას: ჩამოვშლით Project-ს, ვირჩევთ პუნქტს Save, შემდეგ კი გამოსულ ფანჯარაში მივუთითებთ იმ ადგილს, სადაც ვინახავთ ფაილს. ასევე, დანარჩენ მოქმედებებსაც ვინახავთ (ვასეივებთ) Ctrl+S-ის მეშვეობით.

სემპლის გამოძახება.

მაუსით ვაჭერთ ნოტის ლოგოს, რომელიც Song-Editor-ის მარცხენა მხარეს მდებარეობს. გამოვა მენიუ, სადაც დაინახავთ სემპლების ჩამონათვალს:

მაუსის მარცხენა ღილაკით ორჯერ ვაწკაპებთ სემპლზე, რომელიც ავტომატურად გადავა Beat+Bassline Editor-ის ფანჯარაში. შემდეგ ორჯერ ვაწკაპებთ სემპლის გრაფას, რომელიც ისრით არის მითითებული და ამ მოქმედების შემდეგ ავტომატურად გადავდივართ ახალ ფანჯარაში,



ფანჯარა - Piano-Roll.

Piano-Roll-ში სემპლი ავტომატურად ჯდება ნოტა „ლა“-ზე (A4), სადაც შეგიძლიათ მაუსით შეამოკლოთ და გაწელოთ სემპლი.



სემპლის ჩასმა Song-Editor-ში.

როდესაც დავამთავრებთ სემპლის რედაქტირებას, დავხუროთ Piano-Roll-ის ფანჯარა და სემპლი ჩავსვათ მთავარ ფანჯარაში- **Song-Editor**-ში.

მიაქციეთ ყურადღება, რომ სემპლი უნდა იჯდეს Beat/Bassline-ს ხაზზე.

სემპლის ნუმერაციის ან სახელის შეცვლა ხდება შემდეგნაირად: მაუსის მარჯვენა ღილაკით ერთხელ ვაწკაპებთ Beat/Bassline 0-ზე და გამოსულ ფანჯარაში ვუცვლით სახელს, ან ნუმერაციას.

სემპლის წაშლა.

მაუსით ერთხელ ვაჭერთ მწვანე ლოგოს და ჩამოშლილ მენიუში ვირჩევთ Remove this track.

ტემპის და ზომის შეცვლა.

მაუსის მარცხენა ღილაკით ორჯერ ვაწკაპებთ ტემპის ან ზომის გრაფაზე და გამოსულ ფანჯრებში მივუთითებთ ჩვენთვის სასურველ ტემპს ან ზომას.

მუსიკის ჩართვა-გამორთვა.

ხდება ამ ღილაკით, ან კლავიატურის ღილაკით - Space (იგივე პრაბელი)



ახალი Beat/Bassline-ის დამატება:



აუდიო მასალის სია

1. ი. შტრაუსი – „რადეცკის მარში“
2. ს. ცინცაძე – საკვარტეტო მინიატურა „სოფლური ცეკვა“.
3. ს. ცინცაძე – საკვარტეტო მინიატურა „ლალე“.
4. ს. ცინცაძის – II სიმებიანი კვარტეტი, III ნაწილი „მზე შინა“
5. ე. გრიგი – „პერ-გიუნტი“ საორკესტრო სიუიტა N1-„დილა“
6. წიკო-წიკოს ჩანაწერი „საცეკვაო” – ქორო კაციაშვილის შესრულებით
7. ვ.ა. მოცარტი – „ღამის პატარა სერენადა“, I ნაწილი
8. ვ.ა. მოცარტი – სიმფონია №40, I ნაწილი
9. სალამურის ჩანაწერი. ტელევიზიის ხალხურ საკრავთა ორკესტრი
10. უენო სალამურის ჩანაწერი.
11. ზ. ფალიაშვილი – „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „დაისი“.
12. ი. ჰაიდნი – სიმფონია №101, II ნაწილი – „საათი“
13. ე. ენგლუდი – სიმფონის №4, II ნაწილი
14. ვ. კახიძე – „ალილო“ ფილმიდან „იავნანა“ ასრულებენ – ანა, ნატო, ვახტანგ კახიძეები, ეკა მამალაძე
15. ი.ს. ბახი – „სკერცო“ („ხუმრობა“) – ფლეიტია
16. გუდასტვირი. „საახალწლო დალოცვა“, – მესტვირე შერმადინ ჩაგელიშვილი
17. „ასლანური მრავალჟამიერი“
18. პ. ჩაიკოვსკი – „ფერია დრაჟეს ცეკვა“ ბალეტიდან „მაკნატუნა“
19. პ. ჩაიკოვსკი – ვალსი ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“
20. პ. ჩაიკოვსკი – „პატარა მწყემსების ცეკვა“ ბალეტიდან „მაკნატუნა“
21. ლ. ანდერსონი – „Sleigh Ride“ (მარხილით სრიალი).
22. ჯ. კახიძე – „იავნანა“, თამარ ჭოხონელიძის შესრულებით
23. „იავნანა” – მაია ოთიაშვილი და ნანა ვალიშვილი
24. პ. ჩაიკოვსკი – „არაბული ცეკვა“ ბალეტიდან „მაკნატუნა“
25. ი. ბრამსი – „უნგრული ცეკვა“.
26. პ. ჩაიკოვსკი – „ყვავილების ვალსი“ ბალეტიდან „მაკნატუნა“.
27. დაირა. რაჭული სიმღერა „ორიდილი“ – სიონის სამრევლო სკოლის გუნდი
28. ლ.ვ. ბეთჰოვენი – სიმფონია №9 ფინალი, დირიჟორი ჯანსუღ კახიძე
29. „ჩიტის ნალი მიპოვნია“. სიონის სამრევლო სკოლის გუნდი.
30. ქართული ხალხური სიმღერა – „ნამგალო“
31. ინგლისური ხალხური სიმღერა „I love sixpence“.
32. ვ.ა. მოცარტი – საფორტეპიანო სონატა №11, I ნაწილი,
33. ვ.ა. მოცარტი – საფორტეპიანო სონატა №11, III ნაწილი, „თურქული მარში“
34. ს. პროკოფიევი – „დაჭერობანა“
35. „კახური შაირები“ – ანსამბლი „მართვე“
36. „აჭარული შაირები“ – ანსამბლი „მართვე“
37. კ. სენ-სანსი „კენგურუ“ – „ცხოველთა კარნავალიდან“
38. ი. ჰაიდნი – საფორტეპიანო სონატა №7, D-dur. I ნაწილი
39. ფ. შოპენი. „ნოქტიურნი“ №2 Es-dur
40. ინოლა გურგულია – „საქანელა“ მღერის ინოლა გურგულია
41. „ცანგალა და გოგონა“
42. ჯ. მაღალაშვილი – „ჯადოსნური ქალაქი“. „სტუდია „ბასტი-ბუბუს“ ბავშვები
43. რ. შუმანი – საფორტეპიანო პიესა – „მამაცი მხედარი“
44. დ. შოსტაკოვიჩი – საბალეტო სუიტა №1, „თოჯინები“.
45. 45-დან 50-მდე მუსიკალური გაფორმება – „სკოლობანა”
46. კ. დებიუსი – „მთვარის შუქი“
47. მ. ოთიაშვილი – „ჩემი ლამაზი პეპელა“
48. წიკო-წიკოს ჩანაწერი. საცეკვაო
49. კ. დებიუსი – „მთვარის შუქი“
50. რ. ლაღიძე – „ჰიმნი დედაენას“
51. ხალხური – „მახსოვს პირველად“

დამატებითი აუდიომასალის სია

1. საჩონგურო „განდაგანა“ – ნანა ვალიშვილის შესრულებით. ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“
2. „საფანდურო მელოდიები“ – ნანა ვალიშვილის შესრულებით. ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“
3. ს. ცინცაძე – „საჭიდაო“
4. წიკო-წიკოს ჩანაწერი „საჭიდაო“
5. რ. ლაღიძე – „საჭიდაო“
6. „შენ ხარ ვენახი“ – ანსამბლი „ბიჭები“
7. ზღაპარი „ჩიტი და მეფე“, კითხულობს ნინო კალანდაძე
8. ლ. ანდერსონი – „ზუმფარა“
9. ლ. ანდერსონი „PLINK _ PLANK _ PLUNK“
10. ლ. ანდერსონი – „საათი“
11. ლ. ანდერსონი – „საბეჭდი მანქანა“

აუდიომასალის სია – „პლუს” და „მინუს” ფონოგრამები

1. ი. გურგულია – „კარუსელი“ – სტუდია „ბასტი-ბუბუს“ ბავშვები
2. ი. გურგულია – „კარუსელი“. „მინუს“ ფონოგრამა
3. გ. ცაბაძე – „საათი“ – სოსო ფარასტაშვილი
4. გ. ცაბაძე – „საათი“. „მინუს“ ფონოგრამა
5. მ. ოთიაშვილი – „წელო, წელო ახალო“ მღერის ია გაბუნია
6. მ. ოთიაშვილი – „წელო, წელო ახალო“. „მინუს“ ფონოგრამა
7. მ. ოთიაშვილი – „მხიარული ზამთარი“. მღერის ია გაბუნია
8. მ. ოთიაშვილი – „მხიარული ზამთარი“. „მინუს“ ფონოგრამა
9. ზ. ფალიაშვილი, ი. კეჭაყმაძე – „საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი“
10. ზ. ფალიაშვილი, ი. კეჭაყმაძე – „საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი“ „მინუს“ ფონოგრამა
11. ბ. გელოვანი – „ორი რეზო“. მღერის ია გაბუნია
12. ბ. გელოვანი – „ორი რეზო“. „მინუს ფონოგრამა“
13. მ. ოთიაშვილი – „ჩემი ლამაზი პეპელა“. მღერის ია გაბუნია
14. მ. ოთიაშვილი – „ჩემი ლამაზი პეპელა“. „მინუს“ ფონოგრამა
15. მ. ოთიაშვილი – „ჩაიდანი“. ასრულებს ანსამბლი – „დო რე მი“ – ხელმძღვანელი ნანა ყანჩაველი
16. მ. ოთიაშვილი – „ჩაიდანი“. „მინუს“ ფონოგრამა
17. მ. ოთიაშვილი – „ნოე ბაბუს კიდობანი“. მღერის ია გაბუნია
18. მ. ოთიაშვილი – „ნოე ბაბუს კიდობანი“. „მინუს“ ფონოგრამა
19. ლ. იაშვილი – „კრიჭი-კრიჭი“. ასრულებს დათო გომართელი და სტუდია „ბასტი-ბუბუს“ ბავშვები
20. ლ. იაშვილი – „კრიჭი-კრიჭი“. „მინუს“ ფონოგრამა
21. ხალხური „მახსოვს პირველად“. ასრულებენ ია და მაია ოთიაშვილები
22. ხალხური „მახსოვს პირველად“. – „მინუს“ ფონოგრამა.

ვიდეომასალა:

1. ვიდეო – „პლანეტების ხმები“ – დედამიწა
2. ვიდეო – „ პლანეტების ხმები“ – მზე
3. ვიდეო – Maracas-Creative flover სხვადასხვა საგნებზე: პოლიეთილენის პარკი, ლობიოსა და ბრინჯის მარცვლებისგან დამზადებული ფერად-ფერადი ჟღარუნები
4. ვიდეო – Pen Beats
5. ვიდეო – CUPS!
6. ვიდეო – cups
7. ვიდეო – Make Your Own Pre School Kids Musical Instruments _ Diy Shoebox Guitar!
8. ვიდეო – Edvard Yudenich conducting Mozart
9. ვიდეო – ლ. ანდერსონი „საათი“.
10. ვიდეო – ლ. ანდერსონი „PLINK, PLANK, PLUNK“.
11. ვიდეო – ლ. ანდერსონი – „Sleigh Ride„ – „მარხილით სრიალი”.
12. ვიდეო – „ააშრიალე ხელები“
13. ვიდეო – ლ. ანდერსონი – „ზუმფარა“.
14. ვიდეო – „ბურთები“
15. ვიდეო – წყლიანი ჭიქებით – პ. ჩაიკოვსკი „ფერია დრაჟე“
16. ვიდეო _ Typerwriter _ Brandenburger Symphoniker
17. ვიდეო – ლ. ანდერსონი „საბეჭდი მანქანა“.
18. ვიდეო – ფერადი ბუშტებით
19. ვიდეო – ინგლისური ხალხური სიმღერა „I love sixpence“.
20. ვიდეო – სხვადასხვა საგნების ხმებით: ფანქარი, პასტა, ჭიქა, კარები
21. ვიდეო – თორნიკე მიზანდარი უკრავს საყვირზე
22. ვიდეო _ Ok Go _ Needing Getting
23. ვიდეო _ Dance of the Sugar Plum Fairy from The Nutcracker
24. ვიდეო _ Moscow Ballets Geat Russian Nutcracker _ Waltz of the flowers 2013
25. ვიდეო _ Nutcracker Pas de Trois 2nd act Mariinsky Theatre
26. ვიდეო _ Swan Lake, Tchaikovsky _ Dance of the Little Swans
27. ვიდეო _ მაია ოთიაშვილი „ჩემი ლამაზი პეპელა“ – სტუდია „ბასტი-ბუბუს“ ბავშვების შესრულებით

კომპიუტერულ-მუსიკალური პროგრამა LMMS-ის აქტივობები:

1. **LMMS-ი აქტივობა 1:** – გვ. 47
2. **LMMS-ი აქტივობა 2:** – გვ. 47
3. **LMMS-ი აქტივობა 3:** – გვ. 59
4. **LMMS-ი აქტივობა 4:** – გვ. 62
5. **LMMS-ი აქტივობა 5:** – გვ. 64
6. **LMMS-ი აქტივობა 6:** – გვ. 71
7. **LMMS-ი აქტივობა 7:** – გვ. 76
8. **LMMS-ი აქტივობა 8:** – გვ. 78
9. **LMMS-ი აქტივობა 9:** – გვ. 88
10. **LMMS-ი აქტივობა 10:** – გვ. 88
11. **LMMS-ი აქტივობა 11:** – გვ. 88
12. **LMMS-ი აქტივობა „ნახატები 1“ 12:** – გვ. 103
13. **LMMS-ი აქტივობა „ნახატები 2“ 13:** – გვ. 107
14. **LMMS-ი აქტივობა „ნახატები 3“ 14:** – გვ. 113
15. **LMMS-ი აქტივობა „ნახატები 4“ 15:** – გვ. 116

მუსიკალური ლექსიკონი

ა

ადაჯიო _ (იტალიურად Adagio ნიშნავს ნელა, დინჯად) – ნაწარმოების მშვიდ, ნელ ტემპში შესრულება
ავთენტიკური – თვითმყოფი, ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული
ავლოსი – სალამურის ტიპის უძველესი ჩასაბერი საკრავი
აკომპანემენტი – ფრანგულად თანხლებას ნიშნავს .მუსიკალური ნაწარმოების, მელოდიის ინსტრუმენტული თანხლება
აკომპანიატორი – მუსიკოსია, რომელიც ინსტრუმენტულ თანხლებას უწევს სოლისტს
აკორდი – იტალიური სიტყვაა და შეთანხმებას ნიშნავს. მუსიკაში სხვადასხვა სიმაღლის ბგერების ერთდროული თანაჟღერადობა, ხმათა შეთანხმება, შეწყობა
ალეგრო – იტალიური სიტყვაა და სწრაფად, ჩქარა შესრულებას ნიშნავს
ალტერაცია (ლათ. Alterare შეცვლა) – მუსიკაში ბგერის 1/2 ან 1 ტონით – ამაღლებას ან დადაბლებას ალტერაცია ეწოდება. იგი აღინიშნება ქრომატული ნიშნებით – დიეზით, დუბლდიეზით, ბემოლით და დუბლბემოლით. დიეზი № ბგერას 1/2 ტონით ამაღლებს, ხოლო ბემოლი – 1/2 ტონით ადაბლებს
ანდანტე – იტალიური სიტყვაა და ზომიერად შესრულებას ნიშნავს
ანსამბლი ფრანგული სიტყვაა და ერთობლიობას ნიშნავს. მუსიკაში – ერთად, შეთანხმებულად დაკვრასა და სიმღერას
ანტრაქტი – ფრანგული სიტყვაა და შესვენებას ნიშნავს (entre — შორის, acte — აქტი, მოქმედება). თეატრში _ მოქმედებებს შორის შესვენებებს
არია – იტალიურად ჰაერს, ქარს ნიშნავს, ოპერაში კი სოლო სიმღერას

ბ

ბალეტი – ფრანგული სიტყვაა და ცეკვას ნიშნავს
ბეკარი – გაუქმების ნიშანია. იგი სანოტო ჩანაწერში აუქმებს ალტერაციის ნიშნებს – დიეზსა და ბემოლს
ბლიც-ოპერა – (გერმანულად blitz ელვას ნიშნავს) პატარა, მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები

დ

დირიჟორი – ფრანგული სიტყვაა და ხელმძღვანელს ნიშნავს. დირიჟორობს გუნდს, სიმფონიურ ორკესტრს
დუეტი – ლათინური სიტყვაა და ორი შემსრულებლისაგან შემდგარ ანსამბლს ნიშნავს

ე

ეთნომუსიკოლოგია – ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ-მუსიკალური ტრადიციების შემსწავლელი მეცნიერება
ეტიუდი – ფრანგული სიტყვაა და შესწავლას ნიშნავს. მუსიკაში ეტიუდი მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ტექნიკის გასაუმჯობესებელი პიესაა

ვ

ვალსი – გერმანული სიტყვაა და რწევას, ქანაობას ნიშნავს. მე-19 საუკუნის გერმანულ-ავსტრიული სამეჯლისო ცეკვა

ვარიაცია – ლათინური სიტყვაა variatio შეცვლას, ცვლილებას ნიშნავს, მუსიკაში – მელოდიის სხვადასხვა სახის ცვლილებას.
ვოკალი – vocale იტალიურად ხმას, ხმიანს ნიშნავს

ი

იმიტაცია – ლათინური სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს

კ

კამერული მუსიკა – (იტალიურად camera ოთახს ნიშნავს) ინსტრუმენტული ან ვოკალური მუსიკა, რომელიც მცირე რაოდენობის შემსრულებლებისთვის არის შექმნილი და სრულდება მცირე ზომის სალონებსა თუ დარბაზებში
კანკანი – (წარმოდგება ფრანგ. სიტყვიდან canard – იხვი) ალჟირული წარმოშობის ჩქარი ცეკვა ორწილადი ზომით.
კაპელმაისტერი – გერმანულად დირიჟორს, ლოტბარს ნიშნავს
კვარტეტი – (ლათ. quartus ოთხი)კამერული ანსამბლი, შემდგარი ოთხი შემსრულებლისგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი პარტია აქვს
კვინტეტი – (ლათ. qvinta ხუთი) ხუთი მუსიკოსისაგან შემდგარ ანსამბლი ან ასეთი ანსამბლისათვის შექმნილ ნაწარმოები
კლავიატურა – გერმანული სიტყვაა და ფორტეპიანოზე კლავიშთა ერთობლიობას ნიშნავს
კლავიკორდი – „კლავის“ ლათინურად გასაღებს ნიშნავს, „კორდე“ – სიმს. ფორტეპიანოს წინაპარი კლავიშიანი საკრავი.
კლავიში – ლათინური სიტყვაა და „გასაღებს“ ნიშნავს
კლასიკური – ლათინურად სანიმუშოს, საუკეთესოს, სრულყოფილს ნიშნავს
კომპოზიტორი — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ადამიანს, რომელიც წერს, იგონებს, ქმნის მუსიკას
კომპოზიცია – ლათინური სიტყვაა და ნაწარმოების შედგენას, შეთხზვას ნიშნავს, მუსიკაში კი მუსიკალური ნაწარმოების შექმნას.
კონსერვატორია – (იტალიური სიტყვაა და თავშესაფარს ნიშნავს) უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი.
კონტრაპუნქტი – punctum contra punctum (ლათინურად) სიტყვა-სიტყვით წერტილი, წერტილის წინააღმდეგ ნიშნავს, მუსიკაში კი რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ან მელოდიის ერთდროულ ჰარმონიულ შეწყობას.
კონფერანსიე – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს კონცერტებისა და წარმოდგენების წამყვანს, მონაწილეთა გამომცხადებელს; მსახიობს, რომელიც მაყურებელს ართობს სახუმარო ამბებითა და მახვილსიტყვაობით
კონცერტი – ლათინური სიტყვაა და შეჯიბრს, შეთანხმებას ნიშნავს

ლ

ლაიტმოტივი – მუსიკალური თემა, რომელიც ახასიათებს რომელიმე გმირს, პერსონაჟს ან რაიმე მოვლენას
ლეგატო – იტალიური სიტყვაა და მუსიკალური ნაწარმოების გადაბმულად სიმღერა-დაკვრას ნიშნავს
ლიბრეტო – იტალიურად პატარა წიგნს ნიშნავს. ლიბრეტო ოპერის სიტყვიერი ტექსტია, რომელშიც გადმოცემულია ოპერის შინაარსი.
ლოტბარი – მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი

მ

მაჟორი – ფრანგული სიტყვაა და „დიდს“, „მტკიცეს“ ნიშნავს. მაჟორულ ტონალობებში მხიარული, სადღესასწაულო ხასიათის ნაწარმოებები იწერება
მარში – marche ფრანგული სიტყვაა და სიარულს, სვლას ნიშნავს. მუსიკალური ნაწარმოები მკაფიო, მწყობრი რიტმით, ზომა – 2/4 ან 4/4.

მელოდია – ბერძნული სიტყვაა და სიმღერას ნიშნავს
მენუეტი – ფრანგული სიტყვაა და მცირეს, პატარას ნიშნავს. მენუეტი მე-17-18 საუკუნეების ფრანგული სამეჯლისო ცეკვაა. ახასიათებს ზომიერი ტემპი და ¾ ზომა
მესა – საეკლესიო მუსიკალური ფორმა, რომელიც კათოლიკურ ეკლესიაში სრულდება წირვის დროს. ესაა დიდი მრავალნაწილიანი ნაწარმოები სოლისტი მომღერლების, გუნდისა და ორკესტრისათვის
მეცოპიანო – ***mp*** — იტალიური სიტყვაა და ზომიერად ხმადაბლა შესრულებას ნიშნავს
მეცოფორტე – ***mf*** — იტალიური სიტყვაა და ზომიერად ხმამაღლა შესრულებას ნიშნავს
მინორი – ფრანგული სიტყვაა და მცირეს, პატარას ნიშნავს. მინორულ ტონალობებში ხშირად სევდიანი ხასიათის ნაწარმოებები იწერება
მისამღერი – ეს არის სიმღერის ის ნაწილი, რომელიც კუპლეტებს შორის მეორდება
მოდერატო – moderato იტალიური სიტყვაა და ნაწარმოების ზომიერად შესრულებას ნიშნავს
მოტივი – motivo იტალიური სიტყვაა და საფუძველს, მამოძრავებელ ძალას ნიშნავს. მუსიკაში, კი მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილს, რომელიც ნათლად გამოხატავს ძირითადი მელოდიის ხასიათსა და განწყობას. უმეტესად მოტივები 1-2 ტაქტისგან შედგება
მუსიკა – ხელოვნების დარგი, რომელიც სინამდვილეს ასახავს მუსიკალური მხატვრული ფორმებითა და განსაზღვრული წესით ორგანიზებული მუსიკალური ბგერების მეშვეობით.
მუსიკალური კოლაჟი – (coller ფრანგული სიტყვაა და შეწებებას ნიშნავს) ხელოვნებაში კი განსხვავებული ფორმების ნაწილებისაგან ახალი მთლიანის შექმნას. მუსიკაში – სხვადასხვა დამოუკიდებელი მოტივებისაგან შედგენილი ახალი მუსიკალური კომპოზიცია

ნ

ნევმები – ძველბერძნულად სუნთქვას ნიშნავს. მუსიკალური დამწერლობის შუასაუკუნოვანი სისტემა. ნევმები არ განსაზღვრავდა ბგერის ზუსტ სიმაღლესა და არც გრძლიობას
ნოტი – (ლათინურად nota ნიშანს ნიშნავს) მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი

ო

ოპერა – opera იტალიური სიტყვაა და ნაწარმოებს ნიშნავს 1. თეატრი, სადაც მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები იდგმება. 2. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ერთმანეთს ეხამება ვოკალური (სოლო, გუნდი, ანსამბლი) და ინსტრუმენტული მუსიკა, ცეკვა, მხატვრობა, სცენოგრაფია
ორკესტრი – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ერთდროულად უკრავენ
სხვადასხვა საკრავზე
ოსტინატო – (იტალიურად ostinato ნიშნავს დაჟინებულს, ჯიუტს) ერთი ბგერის, მელოდიური ფრაზის ან რიტმული ფიგურის მრავალგზის დაჟინებული განმეორება

პ

პა-დე-დე – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ორ ნაბიჯს, ბალეტში – წყვილის
ცეკვას
პარტიტურა – იტალიური სიტყვაა და განაწილებას, დაყოფას ნიშნავს. მუსიკაში – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა (ვოკალური და ინსტრუმენტული) პარტიის ერთობლიობა; ნოტების წიგნი, რომელიც შეიცავს ასეთი ნაწარმოების ყველა პარტიის ჩანაწერს
პასიონი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წამებას, ვნებას. მუსიკაში –
ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები აგებული სახარებისეულ ტექსტზე
პაუზა – ლათინური სიტყვაა და შეწყვეტას, გაჩერებას, შესვენებას ნიშნავს;
მუსიკაში კი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას ხმოვანების შეწყვეტას
პიანო – იტალიური სიტყვაა და ხმადაბლა შესრულებას ნიშნავს. აღინიშნება ასე - p
პიესა – ფრანგული სიტყვაა და ნაწარმოებს ნიშნავს
პოპმუსიკა – თანამედროვე, პოპულარული, საესტრადო მუსიკის გავრცელებული სახეობა
პოპური – ფრანგული სიტყვაა და შერეულ კერძს ნიშნავს. 1. ნარევი, ნაზავი. 2. მუსიკალური პიესა,

რომელიც სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ამოღებული მუსიკალური ნაწყვეტებისაგან შედგება – ერთგვარი მუსიკალური კოლაჟი

პრეამბულა – préambule ფრანგული სიტყვაა და „შესავალს“ ნიშნავს

პროფესიული მუსიკა – კომპოზიტორის მიერ დაწერილ მუსიკას პროფესიული ჰქვია

ჟ

ჟანრი – ფრანგული სიტყვაა და „სახეობას“ ნიშნავს. მუსიკაში მრავალნაირი ჟანრია: კამერული, სიმფონიური, საოპერო, ვოკალური, ინსტრუმენტული და სხვ.

რ

რეგენტი – ლათინური სიტყვაა და მმართველს ნიშნავს. მუსიკაში – მგალობელთა გუნდის ლოტბარს

რეგისტრი – (ლათინურად registrum სიას ნიშნავს) ადამიანის ხმის ან საკრავის ხმოვანების სიმაღლე. არსებობს დაბალი, საშუალო და მაღალი რეგისტრის ბგერები

რეკვიემი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „განუსვენე სამარადისოდ“, მუსიკაში კი რეკვიემი სამგლოვიარო ხასიათის დიდი ფორმის ნაწარმოებია გუნდისა და ორკესტრისათვის

რეპეტიცია – ლათინური სიტყვაა და გამეორებას ნიშნავს

რიტმი – ბგერების გრძლიობათა თანაზომიერი მონაცვლეობა

რონდო – ფრანგული სიტყვაა და ფერხულს, წრეში ცეკვა-სიმღერას ნიშნავს. მუსიკაში ნაწარმოების ფორმას, სადაც ერთი ძირითადი თემა-რეფრენი რამდენჯერმე მეორდება

ს

სიმფონია – ბერძნული სიტყვაა და კეთილხმოვანებას ნიშნავს. მუსიკაში დიდი ფორმის ნაწარმოებია სიმფონიური ორკესტრის შესრულებით

სოლისტი – მუსიკოსი ან მომღერალი, რომელიც მარტო უკრავს ან მღერის

სოლო – იტალიური სიტყვაა და ერთს, ერთადერთს ნიშნავს

სონატა – წარმოდგება იტალიური სიტყვიდან - sonare, რაც ჟღერადობას ნიშნავს. მუსიკაში ერთი ან ორი საკრავისთვის დაწერილი დიდი ფორმის ნაწარმოები

სონატინა – მცირე ფორმის პატარა სონატა

სტაკატო – იტალიური სიტყვაა და მუსიკალური ნაწარმოების მოწყვეტით შესრულებას ნიშნავს

სუიტა – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „თანამიმდევრობას“, მუსიკაში ეწოდება
რამდენიმე დამოუკიდებელი პიესისაგან შემდგარ დიდი ფორმის ნაწარმოებს

ტ

ტონიკა – იტალიური სიტყვაა. მუსიკაში ნიშნავს გამის პირველ საფეხურს

ტრიო – ლათინური სიტყვაა და სამი მუსიკოსისგან შემდგარ ანსამბლს ნიშნავს

ტრეკი – ინგლისური სიტყვაა და ნაკვალევს, გზას ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში ტრეკებზეა განლაგებული ადამიანის ან საკრავის ხმა

უ

უვერტიურა – ფრანგულად ouverture – დასაწყისს, გახსნას, შესავალს ნიშნავს. უვერტიურით იწყება ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, დრამატული სპექტაკლი.
მე-19 ს-ში უვერტიურამ სონატური ალეგროს ფორმაში დაწერილი ერთნაწილიანი, დამოუკიდებელი საორკესტრო ნაწარმოების ფორმა მიიღო

ფ

ფერხული – წრეში ცეკვა-სიმღერას ნიშნავს

ფინალი – იტალიური სიტყვაა და დასასრულს ნიშნავს, მუსიკაში კი მუსიკალური ნაწარმოებების (სიმფონია, კონცერტი, კვარტეტი და ა.შ.) დასასრულს - დასკვნით ნაწილს

ფოლკლორი – ინგლისური სიტყვაა და ხალხურ სიბრძნეს ნიშნავს. მუსიკალური ფოლკლორი ხალხურ მუსიკას ნიშნავს

ფოლკლორისტი – მეცნიერი, რომელიც სწავლობს ხალხურ შემოქმედებას

ფორტე – იტალიური სიტყვაა და ხმამაღლა შესრულებას ნიშნავს. აღინიშნება ასე – f

ფრაზა (ბერძ. phrasis გამოთქმა) – 1. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 2. მუსიკალური თემის პატარა, შედარებით დასრულებული ნაწილი. ფრაზა შეიძლება შედგებოდეს ორი ან სამი მოტივისაგან

შ

შაირი – სახუმარო ლექსი და სიმღერაა

ხ

ხემი – ხის ჯოხი, რომელზეც გაჭიმულია ცხენის ძუა. ხემით უკრავენ ვიოლინოზე, ჩელოსა და ზოგიერთ სხვა სიმებიან საკრავზე

ჯ

ჯაზი – ინგლისური სიტყვაა და ველურ ქცევას ნიშნავს. მიმართულება მუსიკაში, რომელიც მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა აშშ-ის სამხრეთში შავკანიანი მოსახლეობის გარემოში. ჯაზისთვის დამახასიათებელია იმპროვიზაცია

ჯაზ-ბენდი – ინგლისური სიტყვაა და ჯაზ-ორკესტრს ნიშნავს, რომლის შემადგენლობაშია: კონტრაბასი, როიალი, სასულე და დასარტყამი ინსტრუმენტები. ჯაზ-ბენდი ასრულებს ჯაზურ მუსიკას

ჰ

ჰიმნი – ბერძნული სიტყვაა და სადიდებელ სიმღერას ნიშნავს

.

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 200

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ
იხილეთ ვებ-გვერდზე:

9 789941 929502

დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში